

ლიტერატურული გაზეთი

№14(150) 17 - 30 ივლისი 2015

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

მანანა ჩიტიშვილი

ჩემი მატარებელი

ალბათ გამანადგურებს დრო, ეს უნდო მხლებელი, ითვლის ბოლო სადგურებს ჩემი მატარებელი.

და თევზით გულაღმა უამს მივყავარ ჩანჩქარით, რალა დამრჩა, სულ რალაც რამდენიმე ბაქანი.

აქ კი, ღმერთო, რა ცაა, წიგნის მოჰგავს გარეკანს, მივალ, ალბათ საცაა ჩემი ზარიც დარეკავს.

არც რისი ვარ მდომელი, არც რა ჩემი ნებაა, მეტყვის ხმა უღმობელი: „შენი გაჩერება!“

არ ჩანს მთვარის არილი, კვამლის ვამჩნევ კიკინებს, ზოგჯერ მტირალ ქალივით ორთქლმავალი იკივლებს.

ვიცი, გამანადგურებს დრო, ეს უნდო მხლებელი, ითვლის ბოლო სადგურებს ჩემი მატარებელი.

ვაჟა გიგაშვილი

შემდეგი

...ბოლო წლებში ვისწავლე რალაცების დაყოფა არაყზე... ვიგონებდი ლუკმებს... მაგალითად, სალის (შპივის) (კარგია ქიზიყური, მაგარი, მარილიანი) კუბიკის ჩანგლით ცეცხლზე მოწვა, მერე ძმარში ჩანობა და დაყოფა... კიდევ: დიდი ბოლოკის თხელ ანათალზე (ანათალის სითხელე მოქმედებს გემოზე, თავად დარწმუნდებით) ნივრის სოუსის (არის ასეთი ტუბიკების სერია „პიკადორის“ სახელწოდებით) გამონურვა და ისე... ვარიაცია: ასეთივე ბოლოკის ანათალზე — შავი პილპილი და არაყანი... კიდევ ვარიაცია: ისევე ბოლოკის ანათალზე – ცოტა ხრენი ნაუსვი და... ამეებს პური არ უნდა (ვისაც ესია მოვწება, მიაყოლოს, აკრძალული კი არაა)... ხოლო პური... შავი პურის კუბიკის ჩანობა ბაჭარზე, ინდური პილპილების ფერად თესლებსა და ნიორზე დაყენებულ ზეითუნის ზეთში (პიცერიაში მასწავლეს)... ასევე, კარაქნასმულ შავი პურის კუბიკზე სომხური სუფუკის, ანდა ბასტირმას ნაკუნები... სვანურ მარილმომოყრილი ცხელი, მოხარშული კარტოფილის ნაჭერი, ზედ კარაქის ნაკუნით (ეს ჩემი მოგონილი არაა, ცნობილია... კლასიკაა)... ჰოდა, ასე შემდეგ... ბევრი ვარიანტია და ყოველთვის შეიძლება ახლის გამოგონება... ენციკლოპედიის შედგენაც შეიძლება, როცა სხვა არაფრის გაკეთების თავი აღარ გექნება... ჰო!.. არა, ერთი უნდა ვთქვა... ესეც კლასიკაა, ოღონდ ჩვენებური... კახური წითელი ხახვი თხელ რგოლებად დაჭრილი, დაასხამ კაი ღვინის ძმარს*, სულ ცოტა ზეთს, ზედ შავი პილპილი და მარილი... მერე ხელით კარგად მოფშრუკავ იმ ძმარში... ხომ დიდი არაფერია, მაგრამ კარგია!.. მისწრება!.. ეს ჯერ კიდევ ჩემს ბიჭობაში დიდმა ბოჭომ მასწავლა და ეხლაც მიყვარს, ისევე, როგორც მიყვარს დიდ ბოჭოსთან ერთად ნადირობების გახსენება...

*ძმარი ოცდათხუთმეტნაირი შეიძლება იყოს... სხვადასხვა ღვინის, სულ სხვადასხვა გემოსი, არომატისა და სიძლიერის... მათ შორის სხვადასხვა სუნელებითა და ინგრედიენტებით მოხარშულებიც... არიან ამისი „მასტერებიც“... მიაკითხეთ ნუგზარ პერონიძეს, ანდა — ჟანრი ლოლაშვილს...

VIII-IX

IV-V



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის — „ცოცხალი ნიგნები“ — ფარგლებში გამართული შემოქმედებითი ტურნე სამცხე-ჯავახეთში

17 ივნისი

ხაშურში ველოდები „ცოცხალი ნიგნების“ პროექტში მონაწილე მწერლებს. დილის ათი საათია. ბორჯომის გადასახვევთან უცებ ტურისტების დიდი ჯგუფი გამოჩნდა, ებრაელები არიან, ქუდი და მეტყველებით ვიცანი. მართალია, ებრაელი არ ვიცი, მაგრამ ეს ენა, მისი ხმოვანება სხვა ენებში არ აერევა კაცს. ძირითადად, ასაკოვანი ხალხია, ცოლქმრული წყვილები, ალბათ, უკვე პენსიონრები. ვიფიქრე, შეიძლება, სურამელი ებრაელები არიან, აქედან წასულელები, დაბრუნდნენ, რომ დაათვალიერონ მხარე, სადაც მათი მამა-პაპა განისვენებს (ასეთი ფიქრებით ვცდილობ, დრო გავიყვანო როგორმე, სანამ ჩვენი მწერლების ჯგუფი მოვა). ჩემი ყურადღება უცნაურმა წყვილმა მიიპყრო — ებრაელი მამაკაცი, ასე ნ წლამდე და ინდოელი ქალი, კუპრივით შავი, არა ისეთი შავი, როგორც ბოლივუდის მოყვარულნი ხედავენ... რახან მე რასები და ხალხთა წარმომობა მაინტერესებს, მივხვდი, ეს ქალი ავსტრალიელი დურ-დრაიდი და ინდოელი ქალი, კუპრივით შავი, არა ისეთი შავი, როგორც ბოლივუდის მოყვარულნი ხედავენ... რახან მე რასები და ხალხთა წარმომობა მაინტერესებს, მივხვდი, ეს ქალი ავსტრალიელი დურ-დრაიდი და ინდოელი ქალი, კუპრივით შავი, არა ისეთი შავი, როგორც ბოლივუდის მოყვარულნი ხედავენ... რახან მე რასები და ხალხთა წარმომობა მაინტერესებს, მივხვდი, ეს ქალი ავსტრალიელი დურ-დრაიდი და ინდოელი ქალი, კუპრივით შავი, არა ისეთი შავი, როგორც ბოლივუდის მოყვარულნი ხედავენ...

გოჩა სხილაძე

უსილაპი დინება



დავანწყვით, ეს საჩუქარია. შევამჩნიე, ადგილობრივი პოეტი რაღაცას გამალებით წერდა. ვიფიქრე, ჩვენ თვალწინ თავისი პოეტური ნიჭის დემონსტრირებისთვის ლექსს წერს-მეთქი. ბოლობოლო დაასრულა, იქვე მდგომ ქალს გადასცა... მერე დაიწყო წარდგენა. ბატონები — ვლადიმერ ველიჯანაშვილი და შალვა კელიძე — ადგილობრივი პოეტები წარგვიდგინეს. ჩვენც ვდგებით სათითაოდ, მარჯვნივ გვახასიათებს, ჩემზე სალაპარაკო ბევრი არაფერია, გამოქვაბულს ჩუქურთმები არა აქვს და არც უხდება... წარადგინეს რობერტ მესხი, ლექსები კი მქონდა ნაკითხული მისი, მაგრამ პიროვნულად არ ვიცნობდი. სოხუმიდანაა, ფილოლოგიური აქვს დამთავრებული, ბევრი განსაცდელი გამოუვლია, თავის ოჯახთან ერთად გადმოუვლია ჭუბური, დედა რამდენიმე დღის შემდეგ დაღუპულა ქუთაისში ავადმყოფობით, სრულიად ახალგაზრდა, 43 წლის... ამას რომ ჰყვება, განიცდის, ემოციურად ჰყვება და უნებურად გამახსოვრდება... მერე ირმა მალაქიძე წარადგინეს, საბავშვო მწერალი, ჩემსავით ბიბლიოთეკარია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბიბლიოთეკაში მუშაობს. წარადგინეს ლელა ცუცქერიძე, ისიც საბავშვო პოეტი და ბიბლიოთეკარი ამავე სასახლეში... მარია მამა წარადგინა ნატა ვარადა, პოეტი. მისი ლექსები მახსოვს, „ჩვენ მწერლობაში“ იბეჭდებოდა, მერე ცირა ყურამვილიმ აურნა „ენიგმაში“ დაბეჭდა... დაიწყო ლექსების კითხვა... რობერტი ნამდვილი არტისტია, საუკეთესო გაგებით. სეველიანი კაცია, მაგრამ სცენაზე ლექსის კითხვისას ცოცხლდება, მისი ნაკითხული ლექსი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე და მსმენელებზეც. ნაკითხვს გოგონებმაც — ლელა და ირმა უშუალოდ არიან, უბრალოდ და ძალიან კარგები, ნატა უფრო დამუხტულია, საუკეთესოდ ფლობს ქართულ ენას, კახური დიალექტით ამდინდება თავის ლექსებს. მერე მოვიდა ადგილობრივების დრო, აქაურმა პოეტებმა ნაკითხვს თავიანთი ლექსები, მერე ბავშვების ჯერი დადგა, ბავშვებმა გაგაცნეს თავიანთი შემოქმედება, დამამახსოვრდა ლამაზი, სიცოცხლით სავსე გოგონა ნინო აბუთიძე (არა იმდენად ლექსებით, არამედ თავისი ამაღლებული ბავშვური ოცნებებით). სამედიცინოზე უნდა სწავლა და ამიერკავკასიაში ბავშვებისთვის ონკოლოგიური ცენტრის გახსნაზე ოცნებობს.. სხვების დახმარების სურვილი, ეს დიდი პასუხისმგებლობა და ტვირთია. სიკეთის გზა ამ მშვენიერ ბავშვს.

მერე მარია მალაქიძე კულტურის სამინისტროს სახელით საჩუქრად გადასცა ბიბლიოთეკის ნიგნები და ლიტერატურული ჟურნალები. აღმოჩნდა, რომ არათუ ასაკოვნებისათვის, ახალგაზრდებისთვისაც სრულიად უცნობია ახალი ქართული ლიტერატურა. როცა ახალს ვამბობ, ვგულისხმობ ბოლო 30 წლის მანძილზე არსებულ და შექმნილ ლიტერატურას, სრული ინფორმაციული ვაკუუმი ამ მხრივ. ეს ჩემთვის არ იყო საკვირველი, ანალოგიური ვითარებაა, შეიძლება, ცოტა უკეთესი, ჩემს ქალაქში. ამაზე ხშირად ვფიქრობ, რა შეიძლება გაკეთდეს? ჩემი

აზრით, კულტურის სამინისტრომ ბიბლიოთეკებს უნდა გადაუზავნოს ხოლმე საჩუქრად ახალი ლიტერატურული ჟურნალები, ერთჯერადი აქცია საკმარისი არ არის და კიდევ ბიბლიოთეკებში ახალი ლიტერატურის შესატანად გარკვეული ცოდნა საჭირო, თუ რა ხდება დღეს ლიტერატურაში მსოფლიოსა და საქართველოში, რეგიონებში (შედარებით მსხვილ ქალაქებს არ ვგულისხმობ) საერთოდ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ლიტერატურულ პროცესებზე, რა ეშვება ამ პრობლემას? არადა, მუნიციპალიტეტის გამგებები სოლიდურ თანხებს გამოყოფენ ხოლმე ნიგნების შესაძენად. ძველი თაობის ბიბლიოთეკარები გამუდმებით იძენენ ერთსა და იმავე ლიტერატურას, ძირითადად, მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე, ან კიდევ, შეიძლება, შემთხვევით რაღაცას წამოავლონ ხელი, მაგრამ ეს ტენდენციას არ ცვლის... დამამახსოვრდნენ ახალგაზრდები თავიანთი ლექსებით სიყვარულზე. ვინ იცის, იქნებ რომელიმე პროფესიონალი მწერალიც გახდეს ან კიდევ, როგორც ხდება ხოლმე, საყმანვილო სენივით მოიხადოს პოეტობის სურვილი და მერე არასოდეს დაუბრუნდეს ლექსების წერას...

ზარზმა

ადიგენიდან წავედი ზარზმაში — იქვეა, 6 კილომეტრში.

ტაძარი დიდებულია. ზღვის დონიდან 1340 მეტრზეა. ცივა, ბერებს კელიები აქვთ მოწყობილი, შესასვლელში ვარდები მომხვედა თვალში, ვარდი ხომ ღვთაებრივი ერთიანობის და ეკლერების სიმბოლოა დანტესთან, ისე კი სიცოცხლის და სიყვარულის ყვავილი. რომაელები თავიანთი სასახლეების იატაკს ვარდის ფურცლებს მოაფენდნენ ხოლმე, მათი მტრები, სპარსელები, მთლად შეშლილები იყვნენ ვარდზე, არცერთი პოემა და ლექსი ვარდის გარეშე, არცერთი ბავშვ და ღანვი ვარდთან შედარების გარეშე, აქ კი რა უნდა, რას მოელის იმ ხალხისგან, ამქვეყნიური სიამე დაუთმია და იმქვეყნიური ნეტარება აურჩევია? იქნებ, ფარულად თავიანთი გულისწორები აგონდებთ ბერებს, მათი სილამაზე. აღქმა აღქმა, მაგრამ სხეული და სურვილები რჩება. ჩვენში ძველი სახეები და ხატები ზოგჯერ ანმყოს ხატებზე მყარი და მტკიცე არიან, ასე ადვილად არ ნებდებიან ადამიანების რიტუალებს, რომლებიც საუკუნეების შემდეგ იცვლებიან, მაგრამ სხეული და სურვილები იგივე რჩება... მიზანიც ერთია ყოველ დროში: სიხარული და ბედნიერება, ნეტარება, რომელიც ელვასავით სერავს ჩვენს არსებებს. შესასვლელიდან ვათვალიერებ ტაძარს, მე-14 საუკუნისაა, ბექა მანდატურთუხუცეს (ჯაყელს) აუგია. რაც ყველაზე მეტად მომწონს — ეს ტაძრის პერანგია, იისფერი გრანიტი, უზარმაზარი სამრეკლო ტაძრის ეზოში, იმდენად დიდი, რომ ეკლესია მოუწყვიათ ქვემოთ, მოჩუქურთმებული, უზარმაზარი ქვეტი ეზოში, გაღმით მთები, ულამაზესი, ქვემოთ მდინარე ქვაბლიანი. ტაძარში შემოდის ბერი, გვიხსნის, გვიყვება ტაძრის ისტორიას. ცალი ყურით ვუსმენ: ამბობს, რომ რუსეთის იმპერატორის

ჭლეკით დაავადებულ ძმას მოუპირკეთებია ხელახლა და კეთილმოუწყვია.

ქალები სანთლებს ანთებენ (ყოველთვის უღირსად ვგრძნობ თავს, როცა ვუყურებ სხვების სასოებასა და მონინებას).

გავდივარ გარეთ. ჩემი მეგობარი მწერლებიც გამოდიან, ვიღებთ სურათებს. გარშემო ქართველი მუსულმანები ცხოვობენ, მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულები. ბერები ჩივიან, სწყინთ, რომ ტაძარს არ ეკარებიან, მჩუქთმი დადიან ყოველ პარასკევს — ასე ამბობენ.

რა შეიძლება, ითქვას? ამ ხალხის ბრალი არაფერია, ისინი თავისი ისტორიის ინერციით მოდიან. სარწმუნოება ტანსაცმელი არ არის, რომ ადამიანმა უცებ გამოიცვალოს. ფაქიზი მოპყრობაა საჭირო, თბილი დამოკიდებულება და დაინტერესება. ვფიქრობ, რომ სახელმწიფოც უნდა იყოს დაინტერესებული ამ ხალხის ინტეგრირებით. არ უნდა გაუუცხოვდეს ეს ხალხი ერთმანეთს, დიდი ტაქტიკა საჭირო და ასმაგი სიყვარული მოპყრობა.

წამოვედი ახალციხისაკენ, სასტუმროში უნდა მივიდეთ და დავინახავთ. წვიმს, უფრო სწორად, ყინულავს. მივკრით გზაზე, გაღმით სოფელი უფე ჩანს, შუაში ხევი. ჩვენ წინ, უფრო სწორად, მარცხნივ მინიატურული ეკლესია თუ ეკვდერი ჩანს, მწვანე ფერის, უცებ ცაზე ცისარტყელა გადაიშალა ჯერ ერთი, მერე მეორე... გზის ზემოთ ხასხასა წითელი ყაყაჩოებია და კარტოფილის ნათესები — გზის იქითა მხარეს, სადაც მინიატურული ეკლესია ჩანს. ულამაზესი ველია გადაშლილი, ლილისფერი, მაღალი ყვავილებით... ვაჩერებთ მანქანას, ფოტოებს ვიღებთ, ვიცი, რომ ეს მომენტი, ეს სილამაზე არასოდეს დავგავიწყებ, ეს კადრი, ეს ხატის სამუდამოდ შევა ჩვენი სულის ელვარე სურათებში, რომლებიც არასდროს ქრებიან და ნიშნულების და ხატების თავშესაკრებელს წარმოადგენენ. მივიღივართ სასტუმროში, „პრესტიჟი“ ჰქვია ამ სასტუმროს. სახელწოდებებში ქართველები ჩემპიონები არიან: თავადური, ბაგრატიონი, ელიტა, ვენეცია, ლონდონი, და ასე შემდეგ... ყველას უნდა, თავისი ბიზნესი რაღაც მნიშვნელოვანს დაუკავშიროს, მაგრამ თუ მხოლოდ აბრაა ხმამაღალი და მის უკან არაფერი დგას, უფრო სამასხარაოდ იქცევა... სასტუმრო ნორმალურია, სისუფთავა და წესრიგი — საკვებიც ნორმალური...

18 ივნისი

მივიღივართ ასპინძაში. ასპინძა მთიანი დაბაა... შევდივართ დაბაში, ვაჩერებთ მანქანას, რობერტს და ირმას ყველი და პური მოაქვთ მალაზიიდან, ფეხზე მდგომი ვსადირობთ... მერე მივივართ, სადაც ლონისძიება დანიშნული. გვხვდებიან კარგად. ავთანდილ ბერიძე, ადგილობრივი ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი, იქ არის. თბილი შეხვედრაა. ვკითხულობთ ლექსებს. მერე ბავშვები კითხულობენ. გადავცემთ ნიგნებს და ლიტერატურულ ჟურნალებს. ვჩქარობთ, ახალციხის უნივერსიტეტში გვაქვს შეხვედრა, არ უნდა დაავადიანოთ, მაგრამ მაინც ვავიანებთ ცოტა...

ახალციხე

დიდი შეხვედრა მოგვიწყვეს ახალციხის უნივერსიტეტში. გამოცა უნივერსიტეტის კეთილმოწყობილმა შენობებმა, ეზომ, გამართულმა ინფრასტრუქტურამ... ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ უნივერსიტეტი 90-იან წლებში დაარსდა მერაბ ბერიძის თაოსნობით, იმ დროს, როცა სოკოსავით მომრავლდა ეგრეთწოდებული უნივერსიტეტები. მხოლოდ ერთეულებმა დაიძვიდნენ თავი, მათ შორისაა ახალციხის უნივერსიტეტი. ეს არის ძალიან წარმატებული პროექტი და საქმე, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კადრების მომზადებას და ეთნიკურად რთული რეგიონის ინტეგრაციულ პროცესებს. მე არ ვიცი, რამდენად ეხმარება სახელმწიფო, მაგრამ ამ უნივერსიტეტის ხელშეწყობა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა.

უნივერსიტეტის ეზოში გრიგოლ ხანძთელის სკულპტურებია. როგორც გავიგეთ, რამდენიმე აურჩევიათ კონკურსიდან და დაუდგამთ. დახვედრა მართლაც დიდებული იყო. გავიცანი რექტორი მერაბ ბერიძე.

ერთი სიტყვით, წავიკითხეთ ლექსები, გადავეცით ლიტერატურა, გამოგვიტოხეთ უნივერსიტეტის ამბები.

მერე დაგვაბატყეს ვახშამზე...საუბარი იქ გაეგარძელეთ. უფრო დანერგებით გავეცანით რეგიონის პრობლემებს. მივხვდით, რომ ეს უნივერსიტეტი არის ქართული სახელმწიფოებრიობის და განათლების ბურჯი სამცხე-ჯავახეთში. ნეტავ, ამ რექტორისნაირი ხალხი ყველა რეგიონში იყოს, მაშინ ბევრი პრობლემა მოგვარდებოდა. ადამიანზე, მის პირად უნარებზე, ბევრი რამაა დამოკიდებული. ამ კაცის მაგალითმა ამაში დაგვარწმუნა. ერთი სიტყვით, ჩვენი პესიმისტური განწყობა ამ რეგიონით ამ უნივერსიტეტის არსებობამ შეცვალა და იმედით აღვივსეთ, რომ შეიძლება, ბევრი რამე სასიკეთოდ შეიცვალოს, თუ ასეთი პიროვნებები გამოჩნდებიან. ხალხს ძალიან მოსწონს, როცა დედაქალაქიდან მწერლები ჩადიან. მათ უჩნდებათ განცდა, რომ მათზე ფიქრობენ, ახსოვთ და ეს ძალიან კარგია. მე მგონი, ამ პროექტმა ძალიან გაამართლა და უნდა გავრძელდეს, თუნდაც იმიტომ, რომ მწერლებს ცოცხალი კონტაქტი ჰქონდეთ ხალხთან, რეგიონებთან და მხოლოდ თბილისის აღმწერად არ იქცეს ქართული მწერლობა. ლიტერატურული ჟურნალები და დაწიგნები აქაც დავტოვოთ. მივდივართ ახალციხეში, სასულტოში. საღამოს რაბათზე ავიდვართ. 7 ჰექტარზეა გაშენებული. მავრიტანული სტილის (ალჰამბრას) ნვეთები დაუმატებიათ. მომწონს. ცოტა შეიძლება წინაპრების გაკეთილშობილება. რეკონსტრუირებული მდარევე ლამაზია. მეჩეთიც, თორმეტსართულიანი აია-სოფიას გუმბათით, ძალიან შთამბეჭდავია... ადგილობრივი გიორგი ბერიძე, რომელიც უნივერსიტეტში გავიცანით, მოგვყვება. რეკავს სადღაც, და გვიშვებენ ციხის დასათვალიერებლად. გიორგი ისტორიკოსია და აქ მუშაობს, რაბათზე.

ბერე რამეს გვიხსნის, რაც ჩვენთვის უცნობი იყო. ცოტა უცნაური და სასაცილო კაცია... ბევრს გვაცინებს... მოასწრო ნატასთან გამიჯნურება 1 საათში. ჩვენ ვიცინით. მოვიდვართ კარგი შთაბეჭდილებებით.

**19 ივლისი
ახალქალაქი**

აბსოლუტურად უცხო ლანდშაფტი გზაზე. მდინარის გაღმა ტერასებია, ძველი შემორჩენილი და ახალიც. ალბათ, კარტოფილიადათქილი. ადრე ხორბალი ან ქერი იქნებოდა. მივუახლოვდით ხერეთისის ციხეს, გააჩერეთ მანქანა. ასე ბუნებრივად და თითქმის ხელუხლებლად მდგარი ციხე საქართველოში ჯერ არ შემხვედრია. ვიღებთ ფოტოებს, ვტკბებით ნარსულიდან მოღწეული სხივით. მერე ისევ მივიჩქარით ახალქალაქისკენ. უცნაური მოყვანილობის შიშველი გორები და მწვანე ხასხასა ბალახი, კაცს თავი ისლანდიაში ეგონება. შევდივართ ქალაქში, ცენტრში მესროპ მამუცის ძეგლია. ძალიან მკვიდრად გაუგებებ ფეხსი ამ ძირძველ ქართულ მხარეში სომხების. ისინი, თუ არ ცვდები, პასკევიჩმა გადმოასახლა 1829 წელს. შეეგუენ გარემოს და მისი ელფერი მიიღეს. რა ეშველება ქვეყანას. ინტეგრაციული პროცესების გარეშე საქართველო უფსკრულში მიფრინავს. სასწრაფოდ და ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დაიწყოს სახელმწიფომ ზრუნვა ქართული ენის გავრცელებისა და მის ტერიტორიაზე სავალდებულო გამოყენებისათვის, ანდა უარი თქვას ამ ტერიტორიაზე. მერე გვიან იქნება. ვიცი, რომ რაღაც-რაღაცები გაკეთდა ადრე, ახლაც, ალბათ, რაღაცები კეთდება, მაგრამ აშკარად საკმარისი არ არის. ესაა საქართველოს განსაკუთრებულად გაუცხოებული ქალაქი — ენით, ცხოვრებით, მიზნებით. რა ეშველება ჩვენს სახელმწიფოს, ყველანი ვნერვიულობთ, რობერტი, ნატა, მარიამი, ლელა და ირმა. მოუსვენრად ვართ...

მივდივართ ტურინის სუდარის ასლის სანახავად ქართულ ეკლესიაში. მეუფე ნიკოლოზს ჩამოუტანია იტალიიდან. სუდარისთვის ცალკე შენობა აუშენებიათ. თავისი მცველი და გიდი ჰყავს, ახალგაზრდა ქალი. ისიც გვიხსნის, რა მდგომარეობაა აქ. როგორია ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

აქედან მივდივართ ქართულ სკოლაში. სკოლის შენობა ახალი არქიტექტურით გამოირჩევა. კარგად არის გაკეთებული, 2012 წელს დაუმთავრებიათ. დირექტორი ალექსი ჭინჭარაულის შვილია, შუახნის

ქალბატონი, ცისფერი და ჭკვიანი თვალებით. სიხარულით გვმასპინძლობს. ბავშვები ცოტანი არიან, რადგან არდადეგებია უკვე. ავდივართ დარბაზში, ვკითხულობთ ლექსებს. ძირითადად, პერსონალია დარჩენილი და ათიოდე ბავშვი. ვჭუქნით ლიტერატურულ ჟურნალებსა და წიგნებს.

ამ ქალბატონის ჭკვიანური სახე და მეტყველება და საუკეთესო სკოლის შენობა იმედს აჩენს, რომ ქართული სიტყვის კუნძული გაფართოვდება და საინტერესო გახდება ქართული ენის სწავლა სომეხი ახალგაზრდობისთვის.

ამის შემდეგ მივმართებით კულტურის სახლში.

იქ გველიან. ქალბატონი ქართველია ან ქართული იცის — მსმენელები კი სომხები, რომლებიც რუსულად მეტყველებენ, გასაგებია, რომ არც ისე კარგად... რობი კითხულობს თავის რუსულად ნათარგმნ ლექსებს. გვიმეჩენ... ესმით თუ არა, აზრზე არა ვართ. მერე ბიბლიოთეკაში შევყავართ, წიგნებს ვათვალიერებთ, სასონარკვეთის და სიუცხოვის გრძობა არ გვტოვებს (ლმერთო, ნუთუ, ნამდვილ სახელმწიფოში მცხოვრებნი არ უნდა ეუფლებოდნენ სახელმწიფო ენას?! მოვიფიქროთ სწრაფად, უკან მოუხედავად, წინონმინდისკენ გვაქვს გეზი. იქ შეხვედრა გვაქვს სომხებთან კულტურის სახლში, არ ვიცი, რა ენაზე წავიკითხოთ ლექსები... ვფიქრობთ, რომ შეხვედრა ფორმალური და გეგმიური იქნება, მაღვე დავასრულებთ და ნალკის გავლით დღესვე წავალთ თბილისში.

გზად კუმურდოს ტაძარი უნდა ვნახოთ. გადავუხვიეთ გზიდან, შევედით სოფელში. საოცრად ნაყოფიერი მიწებია. გადამლილი დაბლობები კარტოფილის, ხორბლისა თუ შერისი ნათესებები. ვკითხულობ გზას, გადავდივარ მანქანიდან, მივდივარ მოხუც ქალთან და ვეკითხები. ისიც წვალბ-წვალბებით რუსულად მიხსნის და ხელეხსაც იშველიებს, მოკლედ, ყველაფერს ვხვდები. პირდაპირ უნდა ვიაროთ და მერე მარჯვნივ თუ მარცხნივ.

კუმურდო

უგემოვნოდ ამენებული სახლების ალყაში მივაგენით ტაძარს. ფრთადაწყვეტილს და გუმბათმორღვეულს, ჩუქურთმებრამოშლილს, ბალახმორიყული ეზოთი, უმშვენიერესი იისფერ-მოყვანისფრო კვით მოპირკეთებულს. ძველ არისტოკრატს ჰგავს, გაღარიბებულს, მაგრამ მაინც თავაღეროლსა და ამაყს, პლებეებით შევიწროებულს. თითქოს ვერც კი ამჩნევს მათ არსებობას. გარინდებული და ცისკენ ებრძალებს პროარაბულ ორიენტაციას, მაგრამ არაბული თითქმის სავალდებულოა ისრაელში. აბა, როგორ იქნება?! ჩვენ კი ჩვენი ჩაკეტილობით, უფიცობით, სამყაროს გამოწვევებს მოუშზადებელი ვხვდებით (ილიას აღწერილი ქართველი არ შევცვლია, მისი სიზარმაცე, მისი უზრუნველობა და უსაფუხელო სიამაყე დღესაც ისევ გვადგას თავზე და ხელს გვიშლის, რომ რამე შევცვალოთ სიკეთისკენ).

ჩვენ არ უნდა გავიუცხოვოთ ეს ხალხი ჩვენი წიაღიდან. ეს ქვეყანა მათი ქვეყანაა. თუ ამას გაიგებენ, თუ ამას შეიგნებენ, თავის წინ პასუხისმგებლობას აიღებენ. ელზასელ ფრანგს (რომელიც წარმოშობით გერმანელია), სეპარატიზმი თავში არ მოსდის. ის ფრანგია. ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ კი რას ვაკეთებთ, რომ ეს ხალხი ჩვენს წინააღმდეგ იქცეს? გონივრული და დახვეწილი პოლიტიკა გასატარებელი, ფრთხილი, მაგრამ ღია და არა ვერბული, სადაც ვინმე წაგებულა. ყველაფერი ღია და ცხადი უნდა იყოს მათთვის და ჩვენთვის. ჩვენი ინტერესი რაც არის, ცხადია... ანკლავების არ დაშვება და ქართული ელემენტის გაძლიერება. და კიდევ, რაც ყველაზე მთავარია, მათაც და ჩვენც ყოველივე ამისგან სარგებელი უნდა მივიღოთ და ერთმანეთის პატივისცემა არ შეწყვიტოთ. საჭიროა პროქართული ინტელიგენციის ჩამოყალიბება, მათი ნახვალისება, არა იმიტომ, რომ სიზმური რომ გაქრეს, პირიქით, საჭიროა ხიდი მათსა და ჩვენს შორის... და ეს მისია ქართულის მცოდნე ინტელიგენციას ეკისრება. ამ საქმეში ახალციხის უნივერსიტეტის როლი შეუცვლელია. აქ არიან შერეული წარმოშობის ახალგაზრდები, რომლებიც ორივე ენას ფლობენ. ჩემი აზრით, საჭიროა სომხური ფაკულტეტის არსებობაც ამ უნი-

წინონმინდა

მერე დიდ გზას შევეუერთდით, მოასფალტებულს.

გზარკინიგზის მშენებლობის გასწვრივ მიდის. მრავალი ადამიანი დასაქმდება, კარგია. და საერთოდ, მშენებლობები კარგია, აცოცხლებს ეკონომიკას. ნეტავ, ბევრი იყოს ასეთი პროექტი და ინვესტიციები საქართველოში!

ბუნება გზაზე მისტიურია, უცხო, მიმზიდველი და ამავე დროს დამაფრთხობელი თავისი სიურეალისტური, სიზმრისეული გორებითა და მშენებლობით.

შევდივართ წინონმინდაში. ვეძებთ კულტურის სახლს. მიგვასწავლეს. ეს

უზარმაზარი შენობა აღმოჩნდა. ეზოში გენოციდის მემორიალი დგას, დამშრალი აუზით. ძელსკამზე ორი სიცოცხლით სავსე, შეღერებული გოგონა ზის. ბუნების შვილები არიან, თავიანთი ასაკის ტყვეები. მათ, ალბათ, წინაპრების ისტორიისგან განსხვავებული ისტორიები აქვთ ერთმანეთისთვის საამბობლად. ამას ყველაფერს წამიერად ვხედავ. მიხარია, რომ ადამიანები, არა აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნების, როცა, ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში, ყვაილობენ, როცა დაფრინავენ, ივინყებენ ისტორიის ტვირთს და უერთდებიან სამყაროს დიდ დღესასწაულს, სადაც თანასწორია ყველა. ოღონდ ამ სამყაროში შესასვლელი ბილეთი ახალგაზრდობაა, მე კი ეს ბილეთი უკვე დავკარგე. ხანდახან მგონია, არც არასოდეს მქონია, ვიყავი კი ახალგაზრდა? მე ის სამყარო მხოლოდ თვალმოკვრით ვნახე, თითქოს მატარებელში ვიჯექი და გვერდი ავუარე ფანჯრიდან თავგაყოფილმა და კისერმოღრეცილმა ისე, რომ ხელიც კი არ დამიქნევია...

ამ ფიქრებში, ამ ბურუსში უცებ ვიგებ, რომ ეს შენობა კულტურის სახლი კია, მაგრამ ჩვენი შეხვედრა აქ არაა დანიშნული. მასპინძლები მოდიან მანქანით და მივყავართ. ერთი საათი დაგვაგვიანდა. დარბაზი მაინც სავსეა. თბილად გვხვდებიან.

არ მოველოდით ასეთ დახვედრას. ჩვენ ჩვენი ცრურწმენები გვაქვს, იმათ თავიანთი. სიმაბრთლე კი ისაა, ერთი საწუხარი გვაქვს, ერთი ტკივილი. თუ ერთმანეთს ყურს დავუგდებთ და გულს გავუხსნით, საერთო უფრო მეტი გვექნება, ვიდრე განსხვავებული. ამას ემატება ჩვენი სტერეოტიპები, კლიშეები, სახალხო მითოლოგია ერთმანეთზე და იაფსიანი პოპულისტი პოლიტიკოსების და ვაიმეცინებების ტალახი, რომელსაც ორივე ერის ცნობიერება იღებს ერთმანეთისგან. აი, ასეთი გარემოდან მივდივართ ერთმანეთთან და რას ვხედავთ? ადამიანებს ჩვენარი სიხარულით, ტკივილით. ცუდი, რომ იზოლაციის გზა ავირჩიეთ ერთმანეთისგან. უნდა დავუგდოთ ერთმანეთს ყური. სულელური გაუცხოება სიკეთეს არცერთს არ დაგვაყრის. ეს უნდა გავიგოთ, ეს უნდა შევიგნოთ. უნდა ისწავლოთ ენა ამ ხალხმა, ქართული ენა, რადგან სახელმწიფო ენაა, ოღონდ ფაქიზი მიდგომა საჭირდება და არა ხისტი. ისე, ჩვენც რომ ვიცოდეთ სომხური, ცუდი სულაც არ იქნებოდა... პუშკინის არ იყოს, როგორ ვახერხებთ ამდენი მეზობლის გარემოცვაში ყოფნას, მათ ენებს რომ არ ვსწავლობთ. ვერაფერი დასწამებს ებრაელებს პროარაბულ ორიენტაციას, მაგრამ არაბული თითქმის სავალდებულოა ისრაელში. აბა, როგორ იქნება?! ჩვენ კი ჩვენი ჩაკეტილობით, უფიცობით, სამყაროს გამოწვევებს მოუშზადებელი ვხვდებით (ილიას აღწერილი ქართველი არ შევცვლია, მისი სიზარმაცე, მისი უზრუნველობა და უსაფუხელო სიამაყე დღესაც ისევ გვადგას თავზე და ხელს გვიშლის, რომ რამე შევცვალოთ სიკეთისკენ).

ჩვენ არ უნდა გავიუცხოვოთ ეს ხალხი ჩვენი წიაღიდან. ეს ქვეყანა მათი ქვეყანაა. თუ ამას გაიგებენ, თუ ამას შეიგნებენ, თავის წინ პასუხისმგებლობას აიღებენ. ელზასელ ფრანგს (რომელიც წარმოშობით გერმანელია), სეპარატიზმი თავში არ მოსდის. ის ფრანგია. ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ კი რას ვაკეთებთ, რომ ეს ხალხი ჩვენს წინააღმდეგ იქცეს? გონივრული და დახვეწილი პოლიტიკა გასატარებელი, ფრთხილი, მაგრამ ღია და არა ვერბული, სადაც ვინმე წაგებულა. ყველაფერი ღია და ცხადი უნდა იყოს მათთვის და ჩვენთვის. ჩვენი ინტერესი რაც არის, ცხადია... ანკლავების არ დაშვება და ქართული ელემენტის გაძლიერება. და კიდევ, რაც ყველაზე მთავარია, მათაც და ჩვენც ყოველივე ამისგან სარგებელი უნდა მივიღოთ და ერთმანეთის პატივისცემა არ შეწყვიტოთ. საჭიროა პროქართული ინტელიგენციის ჩამოყალიბება, მათი ნახვალისება, არა იმიტომ, რომ სიზმური რომ გაქრეს, პირიქით, საჭიროა ხიდი მათსა და ჩვენს შორის... და ეს მისია ქართულის მცოდნე ინტელიგენციას ეკისრება. ამ საქმეში ახალციხის უნივერსიტეტის როლი შეუცვლელია. აქ არიან შერეული წარმოშობის ახალგაზრდები, რომლებიც ორივე ენას ფლობენ. ჩემი აზრით, საჭიროა სომხური ფაკულტეტის არსებობაც ამ უნი-

ვერსიტეტში, სადაც ორივე ერის კულტურას დაუფლებიან და ურთიერთპატივისცემას ასწავლიან. მაქსიმალურად უნდა შეჩერდეს მათი გადინება ერეკანში სასწავლებლად, საიდანაც მტრულად განწყობილი ბრუნდებიან და სეპარატიზმის მედროშეებად გვევლინებიან. სახელმწიფომ დიდი ფინანსები და ყურადღება უნდა ჩადოს ამ საქმეში. თუ არა, ნაღმები აფეთქდება და ვერავითარი პატრიოტული ლოზუნგები ამას ვერ შეაჩერებს. პირიქით, სულელური ყვირილი და მუშტების ქნევა, ხელების გადაგრეხვა, კარგს არაფერს მოიტანს. საჭიროა მოთმინება და მიზანდასახული პოლიტიკა. საჭიროა ისეთი ენის გაჩენა, რომელიც საქართველოში ხედავს თავის მომავალს. აქაურ ელიტას უნდა გაეხსნას გზა ცენტრალური ელიტებისაკენ. ინტეგრირდეს და მის ინტერესებში იყოს საქართველოს წარმატება. წინონმინდაში კულტურის სახლი სომეხი მწერლის შთამომავალის აშენებული აღმოჩნდა, რომელიც რუსეთში ბიზნესით არის დაკავებული. ყველაფერი კობტად და სუფთადაა... გერმანია გამახსენდა, პატარა ქალაქებში ასეთი კულტურის სახლები, კლუბები ყველგანაა, სადაც იკრიბება განათლებული ხალხი, მხატვრები, მწერლები, მოაზროვნეები, მუსიკოსები... ერთი საათი დაგვაგვიანეთ, დარბაზი მაინც სავსეა. თბილი შეხვედრაა ძალიან. გაცივანით მწერალი, განათლებული კაცი, რომელიც, ეტყობა, აქაური ინტელიგენციის მეთაურია. შევარდნაძის რეჟიმის დროს ეროვნებათაშორის ურთიერთობის კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე ყოფილა, ეტყობა კიდევ. წარმოსადგვია, მოქნილი, რუსულად შესანიშნავად ლაპარაკობს... ამბობს, რომ რედაქტირება გაუკეთა 150-მდე წიგნს. მოკლედ, ცნობილი ფიგურაა სომხებისათვის. გვიღიმის, ისეთ ადამიანებს ეკუთვნის, რომლის ჩანაფიქრის გამოცნობა ძნელია. ჭკვიანია, მიწაზე მყარად დგას. გავიცანით ასაკოვანი მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი — ძალიან კეთილი და სათნო ადამიანი. თავის ძველ მობილურ ტელეფონში ვცდილობდით მისი ნამუშევრების დათვალიერებას, მაგრამ ვერ შევძელით. ძალიან კეთილად განვენყვეთ ამ კაცისადმი. წინონმინდის სევდანი განწყობა კეთილი ადამიანის გაცნობამ შეგვიცვალა. იქნებ, კიდევ არიან ასეთი ადამიანები აქ?! სწორედ ასეთ ადამიანებზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი, ჩვენი მეგობრობა.

დაიწყო შეხვედრა. გაცნობისა და წარდგენის შემდეგ რობი დგება, თავის ლექსებს კითხულობს რუსულად და ქართულად. კითხულობს დიდებულად, ვირტუოზულად... კარგი ადამიანია!

მერე ჩვენ ვკითხულობთ. სომხებიდან ჩვენ გვერდით ახალგაზრდა ქალი იჯდა, პოეტი. ვთხოვეთ ლექსის ნაკითხვა. ნამოდგა, პირველი ორი წინადადება რუსულად გადათარგმნა: „მე შენ მძულხარ, არა მე შენ მიყვარხარ“ — მერე სომხურად გააგრძელა. ძალიან ემოციურად წაიკითხა. თარგმანიც კი არ იყო საჭირო. ემოცია დაგვეუფლა ყველას. როცა საღამო დამთავრდა, პატარა სუფრაზე მიგვიპატიჟეს, საუბარი იქაც გავრძილდა. ვფიქრობ, მწერლებმა, მხატვრებმა უნდა იქონიონ მუდმივი კონტაქტი ერთმანეთთან. „ცოცხალი წიგნების“ პროექტი ძალიან კარგია, თუ გაგრძელდა, გზადაგზა შეიძლება, იდეებით შეივსოს, უფრო სრულყოფილი გახდეს, უფრო დიდი ფუნქციაც აიღოს თავის თავზე. ამის პოტენციალი არის (ჩვენ არა თუ სხვებს, ერთმანეთსაც კი არ ვიცნობთ, ამ პროექტმა დაგვაახლოვა, დიდია გაუცხოება და ჩაკეტილობა ჩვენში). გამოვდივართ გარეთ, ელექტრობოძების თავზე უზარმაზარი ყარყატების ბუდეები მოჩანს. პირდაპირ განსაცვიფრებელია, სიურრეალისტურ ნახატს ჰგავს.

გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და თბილისისკენ გამოვეშურეთ. გზად უმშვენიერეს ფარავნის ტბას მივყვებოდით, წინ ცხვრების ფარა გვხვდებოდა... ცაზე, ფარავნის თავზე, დაისის შერეული ნისლი იყო განალოლი. ვაჩერებთ, გადმოვდივართ მანქანიდან ფარავნის სანაპიროზე. ცოტა მოშორებით უამრავ სურათს ვიღებთ, მაგრამ მთავარი ის ფოტოებია, ის ხატებია, რომელიც ამ მოგზაურობისას ჩვენ სულში აღიბეჭდა და არასდროს დაგვაკინწყდება.

ალარც ის საპარტიველოა

მთები რომ ჯანლმა მინისლა,
მტერმა სავალი დალახა,
„ვაჟკაცსო გული რეინისა“ —
შენ ის ვაჟკაცი არა ხარ.

მკლავი, ცხენ-კაცის მკვეთელი,
მუხრანს სძრავს ქვიშას ნამიანს,
მახვილი, რკინის მკვეთელი,
დრო და ჟამს შეუჭამია.

თუმც ჯიხვთ ხორონი კმა იყო,
ვეფხვს შეუღენა ნანოლი,
იმ მოყმის გული სხვა იყო,
სხვა ძუძუ ჰქონდა ნანოვი.

ცად ქართველთ სისხლი ამხედდა,
წინამურს მოსკდა ბალახად,
წაგებულ ომში არ შეხვალ,
შენ ის ქართველი არა ხარ.

თითქოს კვლავ ის მთა-ველია,
წყლის პირს იგივე ლელები,
ალარც ის საქართველოა,
ალარც ის არაგველები.

მარადისოვა

ვერც ეს სანუთრო როდისმე ვაქე,
ვერც საიმქვეყნოს ხიბლით გაგვიჟდი,
მარადისობა იქიდან აქეთ,
აქედან იქით — ერთი ნაბიჯი.

მზე ეფერება მინას ნამიანს,
მთებს შემოხვია სხივთა ულო და
აქედან იქით ერთი წამია,
იქიდან აქეთ — უსასრულობა.

ქსნის ხეობაში

ამ ხეობამ,
მხრებით ცას რომ ელტვის
ან ამ მინამ,
სისხლით რომ ჰგავს ნაბანს,
მამულს
რალა უნდა მისცეს მეტი,
შალვასი და
ელიზბარის გარდა.

სამუხრანო...
მე გზას ლარგვისის მივდევი,
შორს ჩანს
ქსნისპირს დაფრენილი მტრედი...
სჯულს და რწმენას
რალა მისცეს კიდევ,
მკერდდამანთულ
ქეთევანის მეტი...

ჩვილის პირანგი

არ მკითხოთ ახლა,
როდის ან როგორ,
მიზეზი წყენის
არც როდის ვთვალე,
ოთახში სხედან
ბიჭი და გოგო
და არიდებენ
ერთმანეთს თვალებს.

იქნება, სიტყვით
ან სულაც იჭვით,
ნერგი ეკლისა
უნებურ დარგეს,
გაბუტვით სხედან
გოგო და ბიჭი
და ჩუმი ჯავრით
იკვნეტენ ბაგეს.

და აივანზე,
სად ბალბა ყვავის
და სადაც ქარიც
ფრთხილობს ვერაგი,
როგორც ქათქათა
ალამი ზავის,
ფრიალებს ჩვილის
თეთრი პერანგი.

პოეზია

შორს ცისკარი აღმობდება გამთენია,
გაანათებს ცის თალებს და მერიდიანს,
ლექსი თავად სიყვარულის სანთელია,
პოეზია — მარტოობის რელიგია.



მანანა ჩიტიშვილი

ალიონზე ზარებს რეკავს ზეცის მნათე
ტოროლა და შეაფხიზლებს მდუმარ მუხებს,
ლექსი, უფლის უბემი რომ ღამეს ათევს,
დრო მოვა და სამუმივით დაიქუხებს.

ზოგჯერ უნდა სიყვარულით გაგვაბროს,
გვნახოს, მიჯნურთ რა სიმძაფრით გული გვიცემს,
ნაღდი ლექსი დამდორებულ წყალს ვერ ჰგუობს,
ჭეშმარიტ ლექსს გულის სისხლი უნდა მისცე.

ხან მშვიდია, ეფერება ტანთეთრ ვერხვებს,
ხან სურნელობს, ვით ქათქათა მაგნოლია,
გოლგოთაზეც ასულია არაერთხელ,
ეშაფოტზეც მრავალ ჩვენგანს აჰყოლია.

ის ყოველთვის გაგლეჯილი მღერის გულით,
უფლის ცრემლი ცინ ნამივით დასდენია...
რამდენია იუდასგან გაყიდული,
მარტოობით შეშლილებიც რამდენია.

მან არ იცის დროისა და სივრცის ცნება,
სხვა სიბრძნე და გრძნების ძალა მისცა ღმერთმა...
პოეზიაში ორი დიდი საოცრება —
სიცოცხლე და სიყვარული შეაერთა.

თუ მსახურებ, უნდა გული მისცე სრულად,
სიტკობც ბევრი, ტანჯვაც მრავლად მოძალდება,
ავდგეთ ფეხზე, მივეგებოთ ღირსეულად,
დედოფალი —
პოეზია მობრძანდება!

აღმომხდარა შორს ცისკარი გამთენია,
კვლავ ანათებს ცის თალებს და მერიდიანს,
ლექსი თავად სიყვარულის სანთელია,
პოეზია — მარტოობის რელიგია.

თამარ

„ისურვებდა და
სასურველ იყო,
ინადებდა და
სანადელ იყო,
იქებოდა და
საქებელ იყო,
ინატრიდეს და
სანატრელ იყო.“

ამოსდევს სიტყვას
ბადაგის გემო
და ილტვის ზეცად
მალლა და მალლა...
დავდგეთ მუხლებზე,
სიცოცხლე ჩემო,
ჩვენ დიდ თამარზე
ვსაუბრობთ ახლა.

ალუბალი

დილის სხივი,
წყლის სარკეზე გადახრილი,
ფშანს კოცნის, თუ
სურს ამბავი დაუბაროს,
გამოვედი,
დაგინახე თავდახრილი,
ნეტავ იმას,
ვისიც შენ ხარ, ალუბალო.

მოგხდენია
სადედოფლო თეთრი კაბა,
ალბათ მარტო
წუხელ ღამით შეგიკერა,

ჩვენი ბალის
ნიავიც კი გაინაბა,
რაინდულად
მუხლზე დგომა შეიფერა.

შავი შაშვი
რა მდულარე ვნებით გალობს,
ბალს ყვავილის
თოვლი თეთრად აფენია,
ერთი ნახვით
შემიყვარდი, ალუბალო
და ამგვარი სიყვარულის
არ მრცხვენია.

პირასდროს ბატყვი

ჩამოხდა სხივი არაგვის ნაპირს
და ჩუმი ვნებით ძენა შეირხა,
შარშან გადრიდი უნაზეს აპრილს,
წელს გაცილებით მშვენიერი ხარ.

მზე ეფინება მუცოს და ლაშარს,
მინაც ხალისობს შენი მშვენიებით,
მიუწვდომელი იყავი შარშან,
წელს კიდევ უფრო შორს მეჩვენები.

ათასფრად ელავს მინდვრების თექა,
ქარმა ნაილო ღრუბელი სეტყვის
და შარშან შენთვის რაც უნდა მეთქვა,
ვიცი, რომ უკვე ვერასდროს გეტყვი.

ნასვლას ვნატრობდი

მახსოვს სახლის გზა
წვიმით ნალტობი,
ჭალის ნარიყით
სავსე ურიკა...
მე მუდამ სადღაც
ნასვლას ვნატრობდი
და არ ვიცოდი,
სად წავსულიყავ.

დრო ბევრ ოცნებას
ამოსდებს ლაგამს,
სევდით გავეყურებ
ღრუბლის ქარავანს,
უკვე აღარსად
აღარ მსურს წასვლა,
თუმც წასასვლელიც
არსად არა მაქვს.

ჩემს გზაზე
ნათლის იმედი არ ჩანს,
ვერც გაზაფხულმა
ვერ იამინდა,
მე ახლა მხოლოდ
ერთი გზა დამჩნა,
მაგრამ იმ გზაზე
წასვლა არ მინდა.

ალუბი გზისპირს

გზაზე ალუბის გრძელი ჩრდილია,
გზისპირს — ქარისგან აშლილი ლელი,
მივდივართ...
წასვლა რა ადვილია
და დაბრუნება რარიგად ძნელი.

მწვანეკაბიან ქალს მოჰგავს ფიჭვი,
ტოტზე რომ ართავს ნისლებს ფთილებად,

რად სიყვარული ესოდენ გვიჭირს და სიძულვილი გვეადვილება.

გადმოჰყვენს მარტი იების სუფრას, შინდებს სანთლებად ჩამოგვირიგებს, ბაგით რომ თითქოს ვადიდებთ უფალს, საქმით სატანის მივდევთ ბილიკებს.

აღარც კი ვიცი, ხვალ რას გვიპირებს დრო, დაუნდობლად დღეს რომ გაგვსრისა და მხოლოდ ქარი თუ დაიტირებს მტრისთვის ნაბოძებ მინდვრებს ქართლისას.

ყვითელი ჩადრით ამოდის მთვარე, იშლება ღამე, ვით შავი წიგნი, რა მამაცნი ვართ მამულის გარეთ და რა ჯაბანნი — მამულის შიგნით.

გზაზე ალვების გრძელი ჩრდილია, გზისპირს — ქარისგან აშლილი ლელი, მივდივართ...

ნასვლა რა ადვილია და დაბრუნება რარიგად ძნელი.

თათრი შროშანი

სიზმარი არც დღეს არ ამიხდება, მინა გაბზული თქორით ილტობა, თეთრო შროშანო, როგორ გიხდება ეგ ქალწულური მიამიტობა.

გაიკვირტება მალე ატმები, მე წლებმა ზამთრის ზვავებს მიმკირეს, ვიცი, რომ წავალ, მოგენატრები და ნამალავი ცრემლით მიტირებ.

ამოიფრქვევა მინა ვარდებად, ცა მოგიჩრდილებს ღრუბლის ფარდებით, აღარცვინ ჩემებრ შეგიყვარდება, აღარცვის ჩემებრ შეუყვარდები.

პოეტი

ნეტავ, ეს შაშვი რას შემომტირის, ლამის ცრემლების ზვავში ჩამჩუმქროს, პოეტსაც ძალუძს, ზოგჯერ ღმერთივით რომ უკვდავებით დაგასაჩუქროს.

გვაფხიზლებს მინცივ — „შეიბ მახვილი!“ სძულს მონობაც და მონის საყელოც, მხოლოდ მას ძალუძს, ერთი ძახლით ერი რომ ფეხზე წამოაყენოს.

უნყის პოეტმა, ვარდი მიწიდან როგორ იფრქვევა ცეცხლის ალებად, მან სიძულვილის ფასიც იცის და არც სიყვარული არ ესწავლება.

უნინდებურად ისევ შემტირის შაშვი და ლამის ცრემლში ჩამჩუმქროს, პოეტსაც ძალუძს, ზოგჯერ ღმერთივით რომ უკვდავებით დაგასაჩუქროს.

სადაც შინ არ ხარ

ვერ იქნა, ველარ გაიაშინდა, ზეცა ღრუბლებით არის ნალესი, სადაც შენ არ ხარ, მე იქ რა მინდა, შენი სიცილი სადაც არ მესმის.

ვიდექი შორით, როგორც კოცონთან, ბედმა შემყარა რამდენ მოცილეს, თვალები, მე რომ ასე მომწონდა, ერთხელაც კი არ დამაკოცინინეს.

ჯერ დაკარგული არაფერია

ჩემი ყრმობის სახლს, პაპის ანაგებს, ვნახავლა კიდევ, ჟამი დამაცდის? ვაი, რომ ყველა ბრძოლა წავაგე, ვაი, რომ ყველა ომში დავმარცხდი.

ვუსმენ ნიავის მოწყენილ ღლიწის, შორს ქართლის დროშა მოჩანს დახრილი... ასეთ წუთებში არაფრად მიღირს მამულის გარეთ ქნევა მახვილის.

მომხდურს შენი ძმის სისხლი თუ მართებს, როცა გართმევენ მამულს შენმიერს, ამ დროს სხვის ომში ჩახარჯულ ქართველს ცოტნეს გვერდით ვერ მოვიხსენიებ.

დღეს ჩემს ეზო-კარს ქარი განაგებს და ტყემლის ყვავილს თეთრად დამარცვლის... და თუმცა ყველა ბრძოლა წავაგე, და თუმცა ყველა ომში დავმარცხდი.

სულო, შენს სიმხნეს ჯვარი სწერია, სულო, ხომ ისევ მამულის ყმა ხარ?! ჯერ დაკარგული არაფერია, ფეხზე ამაყად ვიდრემდე დგახარ.

მეხუთე სახარება

კი, სახარება ოთხია, რომ განანათლა ქაოსი, თუმც ქართველთათვის ოდითგან მეტია „ვეფხისტყაოსნით“.

ამბავი ტარიელისა მიწისა — არა, ცისია, საღმრთოა, საღმრთოდ ნათქვამი, საღმრთოდვე საკადრისია.

ამა სიბრძნისა შემეტყობი ალბათ მკვიდრობდა აქ არა, ანგელოზს დაუნერია, მერმე ზეცაში გამქრალა.

კი, სახარება ოთხია, რომ განაბრწყინა ქაოსი, ამაყობს ერი ქართველი მეხუთით, — „ვეფხისტყაოსნით“.

გამოვიღვიპავთ

დღეს კარზე გვიდგას შავი ავდარი, არც „ოროველა“ ისმის მეგუთნის და მინა, ქართულ სისხლით დამბალი, მოძალადეს და უცხოს ეკუთვნის.

არ წავა ჟამი ასე ბინდებად და უკანასკნელ სუნთქვით ვიფიცებთ, — რომ საქართველო თუ გაბრწყინდება, ჩვენ ყველა ერთად გამოვიღვიძებთ.

გადმოფრინდება ალალი

გადმოფრინდება ალალი, ვაი, ნიბლიას წერასა, ქალო, დაგშლია დალალი თავნებას, თავისწვერასა. თვალი მზიანობს მალალი, მალვით რომ მიწყებ მზერასა, გვერდით მყავს რაში ფრთამალი, ჰგავს არწივსა და ძერასა, რო გაფრინდება, ტრამალი მეცხრე ცის თალებს მტვერავსა. რად მიწდა ქვაბულ-სამალი მოყმესა ლომის ფერასა, კლდეზე გავკვალო სავალი, მამის ჩამოგსვა კერასა, რა დროდან დედა საწყალი სარძლოს საკაბეს ჰკერავსა. მედევნონ ქარის ამალით, ვერ დამაკლებენ ვერასა, დაუბარებავ სალამი მათსავე ისრის წვერასა, ოღონდ შენ ექმენ წამალი. ჩემს უღვთო ბედისწერასა.

რა უსასრულო გახდა ზამთარი

დრო, უცაბედი, როგორც აფთარი, ხან ნაზი, როგორც ფრესკა ხახულის... რა უსასრულო გახდა ზამთარი, რა გვიან მოდის წელს გაზაფხული.

ვარ ასე — ჩემი სიმარტოვეთი, დამცილდა სოფლის ყველა სიამე, ალბათ ან ძლიერ ადრე მოვედი ან მეტისმეტად დავავგვიანე.

ცისკენ სავალი გზები ამებნა, განქრა ყოველი, რაც მიფარავდა, რა უმთენარო გახდა ღამე და დღეები როგორ დაპატარავდა.

მთებზე გადადის ნისლის ანთარი, მალე დაქარგავს მინდვრებს ია და რა უსაშველო გახდა ზამთარი, გაზაფხულს როგორ დაავგვიანდა.

თვით სიყვარული მარადისია

არ აჰყვე ქარის ონავარ ჭორებს, არც ცას ემსგავსო რუხს და ნისლიანს, დრო მიდის და ჩვენც მივყავართ, თორემ თვით სიყვარული მარადისია.

ჩვენც ხომ გვესმოდა ვარსკვლავთა ტაში, ნება საუფლო ერთად ვინამეთ, სიყვარული ჯერ იწყება ცაში, მერე გრძელდება დედამიწაზე.

რომ ჩათავდება მცირე ეწერი, რომ ჩაყუჩდება ჩხრიალა ღელე, სადმე ხშირ ტყეში წამოგენევი და ბნელში ჩუმად შემოგხვევ ხელებს.

და მოვა ღამე, როგორც ზმანება, ნუკრები ცხელ შუბლს ამილოკავენ და მერე აღარ დამენანება, შენი თმის ტვერში თუკი მომკლავენ.

გამოიღოცეთ ტკივილი

ცრემლი — ტკივილის ყვავილი, სიმწრით ნაკორტნი ბაგე... ცრემლს გისახსოვრებ მთვარისფერს, სადმე შენს ახლოს დარგე.

შავტარა დანით ულოცე, გადაუფრინე მტრედი, ეგება, ცოტა მომშვიდდეს ჩემი მრისხანე ბედი.

ბედისმწერლები მოსულან, მალლა, ჭერხოში სხედან, ყუჩობენ, უჩინარობენ, მაინც თვალნათლივ ვხედავ.

გამომეპარა აპრილი, მიწის შესუღვრა მწვანით, გამომიღოცეთ ტკივილი შავძაფშებშული დანით.

სიკვდილი გამომიღოცეთ, თოვლში ნანოლი წლები, როცა სიცოცხლით დაღლილი არც რჩები, აღარც კვდები.

ავაჰმე, წუთისოფელი როგორ ნელ-ნელა მრიყავს, თუ მიტირებენ, — ქარები, სხვა მოტირალი ვინ მყავს.

ცრემლი — ტკივილის ყვავილი, სიმწრით ნაკორტნი ბაგე... ცრემლს გისახსოვრებ მთვარისფერს, — შენს გულთან ახლოს დარგე.

რალა დროს

ქუჩაში უცებ შემომენათე, თვალი შემავლე უცხოდ, ნელიად, ვერ გეუბნები, რომ მომენატრე, ვერც ვერავისთვის გამიმხელია.

ვიცი, ყოველი უფლის ნებაა, კვირტი სხვაა და სხვაა სიმწიფე, რალა დროს ჩემი დამორცხვებაა, რალა დროს ჩემი ღაწვის სინითლე.

ცაზე ღრუბელი გადადის მდორედ, გიყურებ ასე ლალს და ჟინიანს, შენი პასუხი მაფიქრებს, თორემ ჩემი შეკითხვის არ მეშინია.

არაგვისპირს

არაგვისპირს თლილ წვივებით წყვილი ტირიფები დგანან, მაჰატიე, ღვთისმშობელო და შიშველ ქალწულებსა ჰგვანან.

ჩაუშლიათ წყალში თმები, კრძალვით მარიდებენ სახეს, უკეთესი არ მინახავს, რაც მე არაგვისპირს ვნახე.

ბია ხომარიძე

რამდენიმე თვის წინათ „ლიტ.გა-ზეთის“ რედაქციაში ერთი ადამიანი შემხვდა. ვერ ვიცანი, არადა ის დაკვირვებით მათვალისწინებდა კარგახანს, მე კი, რომ მოვიხედე, აღარ დამხვდა. ბიჭებს ვკითხე, ვინ იყო ის კაცი?! მიპასუხეს, გია ხომარიძე! ავფორიაქდი, რატომ ვერ ვიცანი და ფიქრმა მწარე დასკვნამდე მიმიყვანა. არ ღირს ამის გამხელა, მაგრამ რომ ვერ ვიცანი, ამან ძალიან შემამწოფა. ჩვენ ხშირად ვხვდებით და ვსაუბრობდით ანტიკურ პოეზიასა და საერთოდ პოეზიაზე. თვითონაც ძალიან უბრალოდ და მგრძობიარედ წერდა, ყოველგვარი პედ-ალირების გარეშე. გუშინ გავიგე, რომ გარდაცვლილა. გული ჩამწყდა და იმ „უცნობის“ თვლები გამახსენდა, ასე დაკვირვებით და დაფიქრებით რომ მიყურებდა, მე კი ვერ ამოვიცანი. ეს დარდი მუდამ იქნება ჩემთან. ასეთ წრფელ და ბავშვური ბუნების ადამიანს არასოდეს შევხვდები ვარ. ეს კი უფრო ამძიმებს ჩემს განწყობას და მის ხვედრზე ვფიქრობ...

დღეს ამას ვერ ხვდები...

თქვენი სითამამე, უფრო მკვეთრ სიტყვას არ ვამბობ, თუმცა ის უფრო შეეფერება არსებულ რეალობას, ამჟღავნებს თქვენს ნაკლებ ინტელექტს და უტაქტობას, რომელიც ბევრ სხვა ნაკლებ მიმანიშნებს. ვგრძობ, რომ აზრი არ აქვს, გირჩიოთ რამე, რადგან ხუნვეთბინური აგრესიით ექცევით ყველას და ყველაფერს, რაც აუცილებლად შეაფერხებს თქვენს განვითარებას და 30-იან წლებში არსებულ პრო-ლეტკულტურულ დაემგვანებათ.

შეიძლება, მომავალში მართლაც მიად-წიო შემოქმედებით წარმატებას და საკუთარ საქციელზე მწარედ გაგვიცინოს, მაგრამ დღეს ამას ვერ ხვდები და დროა საჭირო ამის ამოსაცნობად. მე გავლილი მაქვს ეს პერიოდი და ამიტომ გირჩევ, რომ უფრო დაკვირვებულად და ღრმად შეხედო ვითარებას. თუმცა, უნდა ვაღიარო, ვიდრე თვითონ არ დარწმუნდები საკუთარ შეცდომაში, ასე აგრესიულად გააგრძელებ მოქმედებას, მაგრამ დადგება დრო და დიდი სინანული შეგიპყრობს, რასაც შეუძლია შენში უაღრესად მნიშვნელოვანი სულიერი ძვრები გამოიწვიოს. ეს ჩემი მინიშნება წააგავს შენზე ზრუნვის ცდას, რაზეც ხელი იმიტომ ავიღე, რომ მიხვდი, საამისოდ გარკვეული დროა საჭირო, დრო და ნიჭი. ეს ყველაფერი მომავალში გამოჩნდება. გამოჩნდება, ოკეანეში ცურვა გიზიდავს თუ აბაზანაში ჩუქმალაობა?!

თვითმარქვია პურისტი

ეიჯიზმით შეპყრობილმა თვითმარქვია მორალისტმა ჯერ ხანდაზმულობა შემახსენა, სარკასტულად, მერე კი დამტყუა „სპამებთან ამო ბრძოლისათვის“. ამას არ განვიცდი, შეილიშვილი რომ პაპას ჭკუას ასწავლის, აქ უკვე არაფერია გასაკვირი. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!“

P.S. თუ ვინმე შევანუხე მაშინდელი დონკიხოტური საქციელით, ვგულისხმობ სპამებთან ამო „ბრძოლას“, ყველა დაზარალებულს მოგიბოდიშებთ, თან იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი სიყმაწვილის უსაყვარლეს პერსონაჟს, დონკიხოტს — სამწუხაროდ, სიბერეშიც ვერ ვლაღობ. რაც შეეხება ნეოლოგიზმებსა და ევფემიზმებს ჩემს წერილებში, ძვირფასი პურისტი ნუ წაიკითხავს და მეტადრე ნუ შეაფასებს, ეს მისთვის არავის უთხოვია და არც მაინტერესებს, რადგან ვიცი, ის ინტერპოლაციასა და ციტირების საკითხში ბოლომდე გარკვეული არ არის, მაგრამ ახლგაზრდა და თანდათან შეიძენებს. რა არის გოიმობა და რა არა, ადამიანები საკუთარ გემოვნებაზე დაყრდნობით განსაზღვრავენ. აი, მაგალითად, ზოგიერთის გემოვნებას, მე ვუნსოდე გოიმოვნება. ვინ არის ეს ზოგიერთი, ამის დაზუსტებას არ დავიწყებ, დრო ისედაც გამოაჩენს!

ნუ შემეკითხებით მოპაექრის ვინაობას. ის ერთი ნიჭიერი, ამავე დროს, ფრიად თავხედი ახალგაზრდაა და თუ ჩემს შეცდომას მიხვდა, თავის შეცდომაც უნდა გაასწოროს, მაგრამ არა მგონია, საკუთარ პატივმოყვარეობას მოერიოს.

გივი ალხაზიშვილი



იგი, დარწმუნებული ვარ, ამჯობინებს თავის კომპ-ლექსს ხარკი გადაუხადოს, რითაც დაადასტურებს თავისი პრიმიტიული სანყისის ხელშეუხებლობას!

გემოვნების გრადაცია: გემოვნება, გემოვნება, გოიმოვნება, უგემოვნობა! უგემოვნება და ასე შემდეგ.

დროული დორაული...

იგი თამაშობს ტერმინოლოგიით და უცნობილესი კულტუროლოგების რთული ტექსტების ციტირებით. ვხვდები, რომ ეს სათქმელის გააზრებული შეფუთვაა, რომელიც გაუმჭირვალე ზღვარზე მერყეობს და მისი დამახინჯელი ზემოქმედება თითქოს ადგილს არ ტოვებს ნამდვილი, ბუნებრივი სინათლისთვის და ძირითადად ხელოვნური განათებით სარგებლობს, რაც მას გზას უხსნის — ტერმინებით ისე ითამაშოს, როგორც ლითონის ბურთულებით და ხისგან გამოთლილი ჯამებით თამაშობენ ხელმარჯვე ტიპები, უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად, რომელთა მთავარი მიზანია, ოსტატურად გააქრონ ბურთულა და შეტყუებულ არიფს გამოსძალონ თანხა. ამ შემთხვევაში თანხის გამოძალგასთან არ გვაქვს საქმე, ხოლო სათქმელის ისე შეფუთვა, რომელიც თვალსა და ხელს შუა ქრება მერყევე ზღვარზე, მერე ისევე ჩნდება და ქრება ახლა უკვე კაშკაშა სინათლეში, მართლაც ვირტუოზული აზრობრივი მანიპულაციის ბრწყინვალე შედეგია, რომელიც ლაკმუსისთვის ამოუცანებს, ალიზანებს იმ მკითხველს, საკუთარ უმწიბრობას რომ აღმოაჩენს და თავის არცოდნა სტანჯავს. ვფიქრობ, ამ თამაშს გარკვეული პერსპექტივა აქვს (როგორც მხატვრულ და არამხოლოდ მხატვრულ ტექსტს ვგულისხმობ), თუ იგი თავის ქმედებას მიმზიდველ პირობით რეალობად აქცევს და მეტ სინათლეს მოჰფენს მის მოძრაობას. ეს ინტელექტუალური წერილობა თავისთავად მომხიბლავია და არ არის მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის ავ-კარგანობით თავის შექცევა. რაც უაღრესად მნიშვნელოვანია — ამ თამაშს აქვს ძალიან სერიოზული სიღრმეები, სადაც შეფარული ნეგატიურობა და გამჟღავნებელი სიდიადე, წერილობის მიზანმიმართულებას რომ აბალანსებს, სრულად ამჟღავნებს აბსურდის ესთეტიკას, ასე ვირტუოზულად რომ ფლობს ეს ახალგაზრდა ავტორი. თამაშისთვის არსებულ საშუალებათა გადახალისება, ახალი კონცეპტის ძებნა გამუდმებით მოუწევს, რადგან თამაშს ტკეპნა ადუნებს, კლავს და მხოლოდ მოუხელთებლობის ამპლუაში პოულობს განხორციელების საშუალებას.

როგორც ვხედავთ, ჩვენ საქმე გვაქვს მართლაც ძალიან ნიჭიერ ადამიანთან, რომლისთვისაც ლიტერატურაში ყველაფერი დასაშვებია, რადგან არა მხოლოდ ნიცქესს მოუკვდა მამა! მისი ტექსტები ჟანრული და სტილისტური ეკლექტიკის უნიკალური ნიმუშებია.

ლიმილისმომგვრელია პირველობისთვის ხელდაკაპინებული კოლეგების გაგულისება, სხვისი სიკეთით დამწუხრებულთა ტრადიციული სარ-შური არაფრის გამო და ეს რომ გამოჩნდა და დადასტურდა, იმას ნიშნავს, რომ ძალიან საინტერესო და და მრავალმნიშვნელოვანია დორაულის ტექსტები. ფარდა ახადა უვიცობას!

ისინი, ვინც ამ სიტყვიერ პერფორმანსს, მიმზიდველ თამაშებს არასერიოზულად

უყურებენ, თავიანთ რეტროგრადობას და ჩამორჩენილობას ადასტურებენ, რაც ჩემთვის სრულებით არ არის გასაკვირი და ლოგიკურ მოვლენად მიმაჩნია, რადგან მათ იციან მხოლოდ გადაკითხვა, ამოკითხვა კი არ ეხერხებათ...

რეიტინგული ღლაპუცი!

ლიმილისმომგვრელია ფეისბუქზე რეიტინგული ღლაპუცი, რომელიც ისეთივეა, როგორც მონანილეთა სახელდახლო სია. რეალობა ზუსტად ისეთივეა, როგორც ექსპრომტული ჩანაფიქრის ავტორთა სურვილი... შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ თამაშებით ვილაძები თავს იმხვევებენ, მაგრამ ვინ იცის, როდემდე გაძლებს ამ პასუხებით გამოვლენილი ჭეშმარიტება?! ეს გახლავთ მასების ამბოხის გამოყენების ტექნოლოგია მასების გარეშე, რომლის სრული უფლება მათ აქვთ, მაგრამ ამავე დროს საყურადღებო შეფასების საეჭვო კრიტერიუმი, რომელიც სინამდვილეში გააქტიურებული ამბიციის გამამხნეველი ღლაპუცია. კაცმა რომ თქვას, რას აშავებენ? არაფერს! მამ, აცადეთ თამაში!

ჩემი ცოდვა გაცილებით მეტია, ვიდრე ჩემი მონანიების სინოფელე... ეს არის კონტროლის პრიმიტიული მექანიზმი, რაც მან აღიარა თავის უპირატესობად, ხოლო სინამდვილეში უზნეო საქციელია. გაკმინდე ხმა და ნუღარ ილაპარაკებ! დაუბრუნდი მამო მამას!

ერთმა პოეტმა მითხრა, რომ მე ვერ-ლიბრს უკეთ ვწერ, ვიდრე კონვენციურ ლექსს, ხოლო მეორე პოეტმა მიჩნია, ვწერო ეპოსი კონვენციური ლექსით! გამელ-იმა და არ ვუპასუხე ამ ორ გენოსს. ან რა უნდა ვუთხრა მადლობის მეტი ჩემზე ზრუნვისთვის ავტოფსიქოთერაპიაში ჩაკარგულ სუბიექტებს?!

ავტოპაროდის მსხვერპლი

სცადა სხვისი ლექსის პაროდირება, მაგრამ გამოუვიდა საკუთარი სტილისტიკის პაროდია. როცა ვინმეს შემოქმედების პაროდირება გსურს, უნდა აითვისო იმ ვინმეს პოეტიკის ნიუანსები, სინტაქსური სტრუქტურა, პროსოდიული მოტივები, ტროპული მეტყველება, არქიტექტონიკა, სტილისტიკა, მაგრამ ეს რომ შეძლო, მიმისთან უნდა იყო წილნაყარი და პროსოდიული უნარიც უნდა გააჩნდეს. ეს კი დაჯდა და ყოველივე ამის აუთვისებლად, ან რას აითვისებდა იმას, რისი სწავლებაც შეუძლებელია (ზოგისთვის), შეუდგა ვითომ პაროდის წერას „ლექსად“. საკუთარი მარადუცვლელი მანერით და ტონალობით და გამოუვიდა ავტოპაროდია, თუმცა თამაშიში ამოვლენილი მათხოვარი პოეტის მსხვერპლშენიარვა ნამდვილად განახორციელა, მაშინ მას კუდიც კი გამოუჩნდა მკვეთრი, ენერგიული მოძრაობისას! ასე გაბოროტებული იგი არასოდეს მინახავს. უფრო გამიღრმავდა მის მიმართ სიბრალული...

სარკველა

ნამდვილი სარკველაა, სხვას ვერაფერს შევადრი, რადგან ზუსტად შეესაბამება მისი ცხოვრების წესს და საქმიანობას! იპოვა თავისუფალი ნიადაგი და ეგრევე ფესვი გაიდგა. კატასტროფული სიჩქარით მრავლდება და იპყრობს ახალ ტერიტორიებს. მერე რა, რომ ნიჭნაკლულია?! მთავარია, რომ სარკველაა და თუ მიუშვი, კიბეზეც ავა და ყველას და ყველაფერს გადაუვლის! ბოლოს მაინც მარცხდება, რადგან აღძრული მადა და ნიჭნაკლულია მასვე აზარალებს. ცელიც მზად აქვს მთიბველს, დროზე მოუსვამს და შეუკურთხებს კიდეც, მაგრამ მისი ფესვი ისევე აღმოცენებასა და გამრავლებაზე ფიქრობს და ახერხებს კიდეც წრებრუნვის გამეორებას, რადგან მისი ამოძირკვა შეუძლებელია, ზოგიერთები ანგარიშს უწევენ მის სარკველურ სიჯიუტეს და მასთან ურთიერთობას აბალანსებენ მანამ, ვიდრე დამბალანსებელს არ გადაუვლის და გაანადგურებს!

„შენ უნდა გქონდეს ბალახის სიჯიუტე, ხედავ, რამდენი საუკუნეა თიბავენ და

მაინც ამოდის!“ რამ დამანერინა ეს სტრიქონები სამოციანი წლების დასაწყისში?! მაშინ ბალახის სიჯიუტეში პატრიოტულ სულისკვეთებას, ჩვენი ხალხის გამძლეობას ვგულისხმობდი და არა უნიჭობის კერკეტ სიჯიუტეს...

პორეპცია

სამწუხაროდ, ზოგჯერ ისეთი რამ წამოცდება, რაც გარკვეული დროის მერე მონანიების სურვილს მიჩენს. ალბათ, ეს არის ერთადერთი გზა, რათა, როგორმე გავთავისუფლებ იმ ილუზიისაგან, რასაც ვემორჩილები დროადრო, რადგან მათი ზეგავლენა განუსაზღვრელად ძლიერია. თუმცა, გათავისუფლება იმ ფრთხილგან, აღმადრენა რომ წარმოშობს, ალბათ, თითქმის შეუძლებელია მიზეზთა გამო.

იმის თქმა მინდა, რომ ბოლოდროინდელი ჩემი გამხელა, რაღაც წყაროთი ვსაზრდობ, არ არის სიცრუე, მაგრამ მერიდება ამ თემის აფიშირება და აუტანელ დისკომფორტს მიქმნის.

მაპატიე ჰერმეტულ თემაზე ასე ღია საუბარი კი არა, ქადილის ინტონაცია და თავდაჯერებული ადამიანის პოზა, რაც მე ძალიან მალიზიანებს და ცვდილობს მისგან გათავისუფლებას.

რადგან ვხვდები დაშვებულ შეცდომას, მისი სულიერი კორექცია შესაძლებელია. ადამიანი ვერ იშლის გნომურ მიდრეკილებებს, სამწუხაროდ.

მეგობარო, „ბიძგი“ არ არის რომელიმე კონკრეტული სუბიექტისადმი მიძღვნილი ლექსი და არც გულისხმობს ვინმეს. ეს ლექსი, როგორც ზოგიერთი სხვა ლექსი, გამოხატავს ავტორის ტრანსცენდენტთან დამოკიდებულებას. ამიტომ, თქვენი მარჯვე გამოხატულება „ლექს-ძეგლი“ არ შეესაბამება იმ შინაარსს, რასაც გულისხმობთ. თუ თქვენ აიგივებთ ღმერთისა და კონკრეტული ადამიანისადმი სიყვარულს, ეს უძველესი ტრადიციაა და სავსებით შესაძლებელია, მაგრამ „ლექს-ძეგლი“ მაინც არაზუსტი გამოხატულებაა, რადგან კონკრეტული ადრესატი არ არსებობს. თქვენ შეგეძლოთ ლექს-ძეგლები გეწოდებინათ იმ ეპისტოლეებისათვის, რომელიც მართლაც კონკრეტულ პიროვნებას ეძღვნება, მაგრამ ეპისტოლეთა განზოგადებული მნიშვნელობა ვერ მოიხდენს სტატუსს „ლექს-ძეგლი“, თუნდაც იმიტომ, რომ ცდება ამ კონკრეტულის და ყურს არ უგდებს ცინიკურ შესმინებას, როგორც მიზნმიმართულ „დამინებას!“ არ ვიქნები მართალი, თუ თქვენს კომენტარს არ გავიმეორებ, თუნდაც მკითხველთა საყურადღებოდ — „რომ ვიცოდე, ასეთ ლექს-ძეგლებს დამიდგამენ, დღესვე დაუფიქრებლად დავუხუჭებოდი ცხოვრებას“. თქვენ შეიძლება, იქცეთ იმ სუბიექტად, ვისაც სიცოცხლეშივე მიუძღვნო ისეთ ლექსპრომტს, რომელიც ძეგლობას ნამდვილად ვერ შეეგუება.

ის ლამის გახდა ისლამის, თუმცა ბოლოს გახდა ის ლამი!

მეგობარო, შეიბრალებ იგი! კერპს ნუ ქმნით მისგან, ნუ აკერპებთ, თორემ სწრაფად და აუცილებლად დაიმსხვრევა. ასეთი ნამსხვრევებით მოფენილია წარსული.

რას ნიშნავს „წყნარულობა“

„რა საყვარელი სტუმარი შეჰყავს, ვითარ სასიამოვნო ამხანაგს წყნარულობს, როგორც ერთგულ მეგობარს პოულობს“ — ესაა ციტატა მეცხრამეტე საუკუნის მინურულს, 1890 წელს, გორში გამოცემული ნიგინდან. საინტერესო ნიგინა. მე დამაფიქრა ერთმა სიტყვამ. ალბათ, მიხვდით, არასოდეს ნამიკითხავს, არც გამიგონია ასეთი სიტყვა — წყნარულობს. თქვენ გაგიგიათ? ალბათ, მთარგმნელს უნდოდა ეთქვა — შეინყნარებს. ან იქნებ მე ვცდები და „წყნარულობს“ სხვა რამეს ნიშნავს? ჩემი მეგობრობის, ნანა ნემსაძე-პაიჭიძის რჩევით საეჭვო ფრაზა ასე დალაგდა: „რა საყვარელი სტუმარი შეჰყავს, როგორც სასიამოვნო ამხანაგს წყნარულობს“... ასე გაქრა ლიმილისმომგვრელი „წყნარულობს“.

ეკა მაჭარაშვილი

მე თუ შენსავით დავიბადებოდი
 უსახელო და უნივთობას შეთვისებულ დროში,
 ვივლიდი ფეხით,ვიოცნებებდი,
 გადავითვლიდი ხელისგულებით გამთბარ მიწას
 დაბომბილ ქალაქში.
 ცივ სარდაფში ჩრდილების თეატრით გართული
 მოთმინების ზღვარზე
 მეც შენსავით ვიტირებდი.
 მე თუ შენსავით ამ ოთახში ვიჯდებოდი,
 უსათუოდ გამადებორტებდნენ.
 აღარ გათენდებოდა და დაღამდებოდა.
 მაჯებით შევეუხორცდებოდი სარკეს.
 გადამისხამდნენ დროს და
 მეც შენსავით გამადებორტებდნენ.

მე თუ შენსავით ძალიან შორს მოვკვდებოდი,
 როცა დამმარხავდნენ, დაველოდებოდი და
 გავცოცხლდებოდი.
 მე თუ შენსავით ღმერთს ვიპოვნიდი,
 აღარასოდეს დავკარგავდი.
 და თუ შენსავით შემცივებოდა,
 წვიმიანი თვალებიდან დასევდილს,
 იატაკზე დავწვებოდი და ვერ დავიძინებდი.
 მე თუ შენსავით ვისწავლიდი წერას,
 დავწერდი ადამიანებზე,
 რომლებიც ჩვენსავით ცხოვრობენ.
 მერე, ამ წერილებს რომ წაიკითხავდნენ,
 მეც შენსავით დამკითხავდნენ.
 და ამ სიჩუმეში, მე რომ შენსავით გაქცევა შემძლებოდა...
 და შენსავით დავბადებულებოდა.

ალმოდავული მზა

წუხილი სულის დროის გაყვანაა.
 დრო ილექება ფიქრებს შორის და სიტყვებს შორის
 არდასრულების, მოლოდინის და
 წუხილის კოქტილიდან.
 ის, ვინც დამარცხდა საკუთარ თავთან და
 პრინციპებიც გადალახა ამ საუკუნის შესაბამისად.
 ემართავთ გრძნობებს და ცრემლებს ანაბარა,
 ეს საღამო ანბანივით დაიმარცხდება...
 ქუჩის ქაოსი: გრძნობები, ფიქრები.
 ამ თაობის ფეხისგულებით თბება მიწა და
 ჩვენც გვეგონა...
 და მეც მეგონა
 ალმოდავულ მოედანზე დაკარგავდი, გიპოვნიდი,
 და დაგკარგავდი.
 დრო დაგკარგავდა.
 ზამთრის ჩრდილი, იანვრის წვიმა.
 თებერვლის ქარი. რწმენა დაგკარგავდა.
 სუნთქვა, ჩამალული მზერა გზებს შორის
 ჩუმი ფეთქვა
 სიჩუმე გიპოვნიდა.
 ალმოდავული მზე.
 ათიათასი სუნთქვა, ჩრდილები და გაგიჟება.
 გიპოვნიდა ის, ვინც სიცოცხლე დაწერა,
 სიცოცხლე იმერა,
 სიცოცხლე დაიჯერა,
 სიცოცხლეს გაუღიმა,
 ის, ვინც ფეხისგულებით მიწა გაათბო,
 თვალებით ალმოდავული მთვარე დამალა,
 ის, ვინც ეს ქალაქი დაიჯერა,
 ის, ვინც ეს ქალაქი შეინახა,
 ის, ვინც თვალებით დაგიმახსოვრა და დროს მიენდო.
 მან გიპოვნა.

დილა რომ სუსხიანი ყავით დაიწყო,
 ჩემი მეზობლის ბრაღია,
 სადარბაზოს რომ აღარ ალაგებს და
 შემოსასვლელში გაურკვეველი მიზეზის გამო
 მუდამ წიგნებს ყრის.
 გადასასვლელზე რომ დამაჯარიმეს,
 ამინდის ბრაღია.
 გაუთავებლად რომ წვიმს და წვიმს,
 მუდამ რომ ვალი მაქვს,ჩემი ბანკის ბრაღია,
 ყოველთვის კრედიტს რომ მაძლევს.
 ამდენი ფორიაქი სტრესის ბრაღია,
 სულ რომ ჩქარობს და ჩქარობს.
 დევნილი რომ ვარ, ბაბუაჩემის ბრაღია,
 ოცდაჩვიდმეტში რომ დახვრიტეს.
 თავს თუ ვერ მოვთოკავ და ვინმეს უხეშად მოვეპყრობი,
 იმ წერვიული აშლილობის ბრაღია,
 ჩემი რომ არ გესმით.
 ეს დეპრესიაც ზამთრის ბრაღია, ყოველთვის
 სამთვიანი ვადით ჩემს ოთახში ჩუმად რომ ცხოვრობს.
 რომ გიყურებ და მეშინია,
 იმ გენეტიკური კავშირის ბრაღია, ნათესაობა რომ ჰქვია.
 არსად რომ არ მივდივარ,
 დედამინის ბრაღია,
 ის ხომ ბრუნავს და ბრუნავს.

ნონა ფიფია



ბილინგვა

მინას ნელ-ნელა ედება ობი,
 არც ზეცას შერჩა კვალს მითების,
 დგას დედამინა ვერცხლისფერ გობით
 და უცახცახებს მკრთალი თითები.
 თოვლის ფიფქვით მონყდები ღრუბელს
 და შეერევი მინას ნაზამთრალს,
 ჩაგიკრავს ყინვით დამზრალი უბე
 და დავინყვების ფსკერზე დაგმარხავს.
 აღარ დასცალდათ სიყვითლე ფოთლებს,
 მწვანედ დამჭკნარი გაფანტა ქარმა,
 შენი თვალებით სამყარო გოდებს—
 სიკვდილ-სიცოცხლის უწყვეტი გამმა.
 გადავა ხსოვნა უფერულ ყოფის,
 ლექსსლა შერჩება ამ ქვეყნის სევდა,
 აქ იმდენია შხამი და ცოფი,
 ხსნას მხოლოდ იმქვეყნიურში ხედავ.
 სულიერ სიკვდილს ფიზიკურს არჩევ
 (ამ ცხოვრებასთან ვაჭრობა არ ღირს),
 სულს — სიცოცხლეს და ხორცს — სიკვდილს აჩვენე
 და გესიზმრება ედემის ბალი;
 თვალებით დაგაქვს ლოდი სამარის,
 როგორც ბილინგვა სულის და ხორცის,
 მარადისობა — ზეცის კამარა,
 ეფემერიდი — სამარის ბორცვი.

 ტყემლის ტოტებზე ტორებს სცემს ქარი
 და მარტის ქარი წააგავს კენტავრს,
 ტყემალი — მფრთხალი, ფერმკრთალი ქალი,
 შიშით დარაბებს აღებს და კეტავს;
 ათრთოლებული იხდის ფარჩეულს,
 იხსნის ალმასებს და მარგალიტებს,
 ასე ნატიფს და ასე დარჩეულს
 ქარს შეატოვებს და თავს არიდებს;
 და თავს არიდებს მის ველურ გრძნობებს
 და შეურყვნელი სულით და ტანით,
 მოუხმობს აპრილს — მეგარდერობეს
 და იმოსება უებრო მწვანით.
 მაგრამ დათრთვილავს როცა ხავერდებს,
 როცა ზურმუხტი იქცევა ქარვად,
 არ შეუძლია, რომ არ დანებდეს,
 არ შეიძლება, არ სძლიოს ქარმა.

ჩვენ ისე ვჩქარობთ, თითქოს შავად ვწერთ
 და სტრიქონ-სტრიქონ ვტოვებთ ცხოვრებას,
 ასე გვეგონია, მოვასწრებთ ერთ დროს
 გადათეთრებას, გადასწორებას;
 მაგრამ როდესაც ბოლომდე გავალთ
 ბრძოლით დაღლილნი და დაწრეტილნი,
 აღიმართება უკანასკნელად
 სამარის ლოდი,
 როგორც წერტილი.
 სისხლით ნაწერი ჩვენი წარსული
 და შეცდომებით სავსე ცხოვრება
 აღარც არავის დაენანება
 და არც არავის ემახსოვრება.

ნელ-ნელა სულს ლაფავს ზამთარი,
 ვარდისფერ თოვანში ატმების
 ვდგავარ და, მზის სხივით გამთბარი,
 ნაზამთრალ ცივ მიწას ვადნები.

აპრილში ცა სულ სხვა ფერია,
 ცას ლურჯი ფერი აქვს, ოცნების,
 აპრილში სხვაგვარად მღერიან,
 სხვაგვარად ტირიან მგოსნები.

სიკვდილი ძარღვებში დამიდის
 და მკანრავს ალესილ ემეებით,
 არ მიდგას სალექსო ამინდი,
 და მაინც სულ დამაქვს პეშვებით.

არც ვინმეს სიდიდე მაშინებს
 და მყოფნის ეგ ყოფა მარტივი,
 სხვები რომ მღერიან, მაშინ მე
 მკვდრადმობილ სიცოცხლეს დავტირი.

დავალ და დამყვება ეგ ბლენძი
 სანუთრო, უნდო და ვერაგი,
 თან დამაქვს ქარისგან ნაძენძი
 გული, ვით მათხოვრის პერანგი.

სიცოცხლე სულ ერთხელ გვეძლევა
 გვსურს თუ არ... შორია მიწამდე,
 ვალად გვაქვს, ბოლომდე გავუძლოთ,
 ღვთის ნაბომ საჩუქარს ვიცავდეთ.

და რადგან სულს ლაფავს ზამთარი,
 ვარდისფერ თოვანში ატმების
 ვდგავარ და... მზის სხივით გამთბარი
 ნაზამთრალ ცივ მიწას ვადნები.

დასაწყისი პირველ გვერდზე

...ესაა ცვლილება ამ გასული ოცდახუთი წლის მანძილზე, ჩემსა და არაყს შორის ურთიერთობაში მომხდარი... ადრე არაყს მხოლოდ წყალს ვაყოლებდი ხოლმე და ვჭამდი მერე, როცა მომშივდებოდა... ამას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სვამდი ყველა სიტუაციასა და ადგილზე... ეხლა კი გჭირდება მყუდრო ადგილი (ყველაზე ნაღდი — შენივე სამზარეულოა), საჭირო მასალითა და „პრიჩინდალებით“... თუმცა არც ძველი ვარიანტი აუკრძალავს ვინმეს... მაგრამ ეხლა ასე უფრო მომწონს...

...ჰოო, ცვლილებები... სხვა ცვლილებები კი ბევრზე ბევრია და უმეტესობა... უმეტესობა კი არა, თითქმის ყველა — ცუდი... არის მოულოდნელად კარგიც, მაგრამ სულ სამი-ოთხი... ცუდი კი, რომ დაფიქრდები, უთვალავია და მრავალნაირი... პირველად ისაა სათქმელი, რომ ბევრი წავიდა ამ ქვეყნიდან... არა, იმაზე არ ვამბობ, ვინც „დაითესნენ.“ საქართველოდან... მე ვამბობ იმაზე, ვინც, უბრალოდ, აღარ არიან... აღარაა ჩელენტანოც...

...ვიმეორებ ძველ ნათქვამს, გასახსენებლად: „ეს მასხარა, ყველას გამშაყირებელი ჩელენტანო, „ჯუ-პაო“, „ელ-გრეკო“, „ჩიკი-ბრაუნი“, „ტინტო-რეტო“-სა და სხვა ასეთი ტერმინების გამოგონებელი, პანტომიმებისა და იმიტაციების, ათასნაირი მიქარების ოსტატი (ორი დღე ამასთან ჩაკეტილმა რომ სეა, არ მოგწყინდება და სიცილისაგან, შეიძლება, ინსულტიც დაგმართოს)... აი, ეს ჩელენტანო პირნინდად კარგავს ხოლმე იუმორის გრძობას ამ ქეთევანასთან და ცემს!... „ელ-გრეკოებისა“ და „ტინტო-რეტოების“ სერიებს უტარებს... უბრაგუნებს ჭკუიდან გადასული!... მერე ისევბა ისტერიკები, შერიგების გიჟური სცენები და მერე ისევ ორივენი კვდებიან სიცილით და „ჩიკი-ბრაუნებს“ აკეთებენ...“

...და ერთი რამეც გავამხილოთ, რადგან დრო გავიდა და არავის არაფერი დაუშვდება... ეს ჩელენტანო, ვაკის ერთ უბანში რომ თავისი წყნარად მოწყობილი რეკეტი ჰქონდა (მაშინ ქალაქ თბილისში ეს ტერმინი უცნობი იყო, ქართულად — „შენ-ერვა“ ერქვა) სამ „გასტრონომში“ და ერთ ტანსაცმლის მაღაზიაში... ჰოდა, ეს ჩელენტანო თავის ფაიზალ „რეკეტ-ობიექტებთანაც“ არ კარგავდა იუმორის გრძობას...

...არ დაუკარგავს იუმორის გრძობა მაშინაც, როცა ესროლეს და ამანაც ესროლა... ოღონდ იმან ვერ მოარტყა და ამან მოარტყა... არც სასამართლოზე დაუკარგავს იუმორის გრძობა და არც მერე, ციხესა და ზონაში... როგორც ვთქვით, მხოლოდ ქეთევანასთან კარგავდა... მაგრამ კიდევ მეორე ბზიკიც ჰქონდა (სულ ორი ჰქონდა, მეტი არა), როცა იუმორის გრძობას კარგავდა... ციროზი!... შიგადაშიგ ეჩვენებოდა, რომ დაეწყო ციროზი და დიდძალი ეძლეოდა... პანიკისაგან გადარეული გარბობდა გამოკვლეულ (გამოკვლევები მაშინ წარმოუდგენლად იაფი, ანდა სულაც უფასო იყო)... გაკვირვებული ექიმები ადასტურებდნენ, რომ ციროზის ნასახიც არსადა... ექიმებს ეს უკვირდათ: რატომ აქვს ამ კაცს ასეთი საღ-სალამათი დიდძალი?...

* (ესეიგი, იმათ, ვინც სხვა ქვეყნებში გავარდნენ, საკუთარი „მეობის“, „პრესტიჟის“ შესანარჩუნებლად და ბრიყული წარმოდგენით, რომ რაღაც ბრწყინვალე, არსებობს, უცხო წარმატება ელოდათ სადღაც წინ (რატომ?... ამაზე არავინ ფიქრდებოდა) და ესეც, ეს წარმოსახული წარმატებაც, განიხილებოდა, არა იმ ახალი საარსებო გარემოს კონტექსტში, არამედ — ისევ თავის უბედურ, გაჩათლახებული, პროვინცია-სამშობლოში დარჩენილი გოიმებისა და ფრანგების თვალში „გასამარჯვებლად“ — „ბუთა ნასულია!... საფრანგეთშია!“... (ესეიგი, ვახ!... მაგარი!)... თორემ, იქ რას ნვლობდნენ, იწმინდებდნენ და ისეთ დამცირებასა და სირცხვილებს იტანდნენ, ადრე რომ ვერც წარმოიდგენდნენ, ამაზე ხმას ვინ ამოიღებდა?... ამაზე განსჯა-ლაპარაკიც წარმოუდგენელი იყო...

...ამ პერიოდმაც ჩაიარა... ვილაცხებოდა რაღაცები გარკვევის და ისწავლეს, რაღაც ჩასაბღალუჭებლად მოხაზეს (რათქმანუნდა, საცოდავი ბანძობა: სუტენორობა, ფულიანი ბებერი დედაკაცებისა და ფულიანი ბებერი პედერასტების მომსახურება, შედარებით უფრო „ვაჟკაცური“ — ნარკოკურობა და შედარებით კიდევ უფრო „ვაჟკაცური“ — ბანდიტურ ჯგუფში განწევრიანება) და ეს ჩაბღალუჭებები უპირობო აღმოჩნდა...

ვაჟა გიგაშვილი



...საკვირველია, მაგრამ ბოლო-ბოლო მაინც ციროზმა იმსხვერპლა... იმ ბოლო გამოკვლევებზე აღმოჩნდა, რომ ციროზი არის და თანაც უკვე ძალიან მიძიმე ფაზაში... ვეღარ გადაარჩინეს ჩელენტანო!...

...მე მაგ დროს თბილისში არ ვიყავი... სამი თვე ვიბოდილა ერთ სხვა ჩემს ძმობილთან ერთად ჯერ კრასნოდარში, მერე გროზნოში, მერე ყიზილარსა და ჩერნი რინოკში, მერე ვიდალი და მესაფალტე ქართულ ნაცნობ-მეგობრებში, რაღაც-რაღაც საქმეებზე... დაბრუნებულს დაძვება ეს ამბავი... ისიც გავიგე, რომ ქეთევანა ბოლომდე თავზე სდგომია საავადმყოფოში... მაგრამ დაკრძალვის შემდეგ აღარ გამოჩენილა... აღარც ვინმეს უნახავს და აღარც ვინმეს რამე გაუგია... ერთი პირობა გამკრავარმა: ხომ არ დურთა თავი ქეთევანამ შორეულ ნაოსნობაში?... არა, კი არ ვლადობ... აბა, რა შუაშია „შორეული ზღვასნობა“?! მოგახსენებთ, რა შუაშიცაა...

...ადრე ნათქვამი მაქვს ამითი ჩხუბებისა და დათესვების შესახებ... როცა ქეთევანა ითესებოდა, მერე თითონ მოდიოდა ხოლმე... როცა ჩელენტანო ითესებოდა, ქეთევანა თითონ მოსვლას არ აცდიდა და მალევე თავად პოულობდა... დათესვისას ჩელენტანო იფიცებდა ხოლმე: „...ვისიო!... ან ჯულბარსითაც ვერავინ მიპოვის!“... (ჯულბარსი — ჩვენი ბავშვობის კინოს ლეგენდარული გმირი-ნაგაზი, მესაზღვრე-მაძებარი, შპიონების კვალზე უშეცდომოდ მავალი და მათი შავი ანგელოზი)... მაგრამ ქეთევანა თითონ იყო, მე მგონი, ჯულბარსი... წარმოუდგენელი ნიჭი ჰქონდა პოვნისა და მიგნების... ერთხელ მაღაროსკარში, თურმანაულებს სუფრაზე დაგვადგა... საიდან მოგვადგო?... ჩვენთვისაც, ჩემთვისა და ჩელენტანოსთვისაც, შემთხვევითი და მოულოდნელი იყო აქ გაჩითვა... იმ კომპანიას ნამოყვებით, რომლის არსებობაც არ იცოდა ქეთევანამ... რომ ჩავეკითხეთ, როგორ მოგვადგინა-თქო, რაღაცები მიკიბ-მოკიბა, ვერაფერი გავგავებინა... ეჭვი გამიჩნდა, რომ, მგონი, თითონაც არ იცოდა... (?!)...

...ადრე, რაღაც ლაპარაკებში, ყური მქონდა მოკრული, რომ მისი ყოფილი ქმარი შორეულ ნაოსნობაში, სადაღაც ოკეანეებში, თევზჭერ ფლოტილიაზე მუშაობდა... რამდენადაც ვიცოდი, ასეთი ფლოტილია შედგებოდა თევზჭერი სეიწერების, ტრალერებისა და ერთი უზარმაზარი მცურავი ბაზა-თევზ-ქარბანა ხომალდისაგან... ჰოდა, გაჭაბტა აზრი: ეტყობა, ეგ კაცი, რაღაც მომენტში „გლუბოკად“ დაეთესა ქეთევანას... მიდი, აბა, იპოვე კაცი, ოკეანეებზე მობოდილად ფლოტილიებში?... მაგრამ ამ საკითხში ჩემი საკუთარი გამოცდილებისა და სალი გაანალიზების შედეგად ეგეთი დასკვნა მივიღე, რომ ქეთევანა, რომ ნდომებოდა, იქაც მიაგნებდა ამ დათესილ კაცს... ეტყობა, აღარ უნდოდა... ჩელენტანო კი იქით დაითესა, სადაც აღარავითარი მიგნება არ არსებობს... მაგრამ ალაღად ისიც უნდა ითქვას, რომ ჩელენტანოს ნამდვილად და საბ-

ოლოდ დათესვა ქეთევანასაგან არც არასოდეს ნდომებია და სინამდვილეში დიდ სიამოვნებასა და კმაყოფილებასაც განიცდიდა ქეთევანას მოგნებებისაგან... მაგრამ ბოლოში არ გაუმართლათ... რას იზამ?... სულ დასაწყისშივე არ გაუმართლათ რომეოსა და ჯულიეტას, თორემ ვინ იცის, რა საინტერესო კუკუ-დამალობანას თამაში გაეტარებინათ ცხოვრება?... ბევრს გაუჩნდება კითხვა: რა იყო?... რა იყო ამისთანა?... რატომ უნდა დათესვოდნენ ამ ულამაზეს, ცინცხალა ქალს?... აბა, რა ვიცი?... შეიძლება, სწორედ ეს ულამაზესობა და ცინცხალა იყო მიზეზი?... ვვარაუდობ, რომ მთავარი აზრები „კუკუ-დამალობანაში“ იყო... როდემდე გაგრძელდებოდა?... არ ვიცი... ციროზმა განწყვიტა ეს ამბავი... რეალობა კი ასეთია: ჩელენტანო სამუდამოდ დაითესა, ქეთევანა კი გაქრა... ყოველშემთხვევაში, ჯერჯერობით... შემდეგში რა იქნება, არ ვიცი...

...კაი!... ამაზე კიდევ შემდეგ... ოღონდ ეხლა სხვა რამეზე მინდა ვილაპარაკო... მაპატიეთ ამ არალიბერალურ, ეგოისტურ განაცხადზე... თანამედროვე, ლიბერალურ, „თავისუფალ“ ადამიანს, ესეიგი, რასაც ქვია „ევროპული მოქალაქეობა“, მოეთხოვება, ჯერ დაუფიქრდეს, ჯერ გაითვალისწინოს ინტერესები და უფლებები მამათამაშლების, ფსიქიური ავადმყოფების, სიფილიტიკების, სექსუალური მანიაკების, სადისტების, მაზოხისტების, ლესბიანების, ზოოფილების, ყველანაირი უკულმართი „უმცირესობების“ (კიდევ კარგი!... ჯერჯერობით უმცირესობების...) და ისე გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულება... ხომ არაა რაიმე არადემოკრატიული და არატოლერანტული, რამაც ამ „დაჩაგრულ“ და „შეურაცხყოფილ“ უმცირესობათა წყენა და გულისტკენა შეიძლება, გამოიწვიოს?...

...მინდოდა ისევ „ბარახოლკაზე“ ლაპარაკო... გახსენება... ადრე გვქონდა ამაზე საუბარი და ეხლა ისევ... კაცობრიობის ეს უზარმაზარი ნაგავსაყრელი... რომელიც ამავე დროს ისევ ბაზრობაცაა... სადაც ისევ თავიდან აირჩევა და იყიდება, თითქოსდა, დიდი ხნის გადაყრილი და ნახ-მირი ამბები, კაცობრიობის მიერ თავის დროზე აღმოჩენილი, დამუშავებული და გათამაშებული, ნახმარი და გადაგდებული რამეები... ამ „ბარახოლკაზე“ მუდმივად მობოდილად ტიპები (რალა შორს წავიქვით, მე თითონაც ხომ მათ ოცნებში ვარ) იქვედები, იჩხრიკებიან და ამოანკვესენ რაღაცას, რაც, ერთი შეხედვით, ვერც მიხვდები, რა არი... მერე ამ „რაღაცას“ რაღაცებს უკეთებენ (სრულიად იდუმალი პროცესია) და იბადება „რაღაც“ აქამდე უცნობი და ამაღლებული, რაც გარკვეული (თუ გაუარკვეველი) დროის შემდეგ ისევ ამ „ბარახოლკის“ შენამატი ხდება... და ასე და ამგვარად...

...და მაინც ჩავცეცხლე ეს არაყი... დაფიცებული მქონდა (ჩემთვის!... სხვასთან კი არა...), რომ სამი-ოთხი დღე არ გავკეარები, იმ შეხვედრამდე... საქმისთვის

ვამბობ... ჩემი საქმისთვის... მაგრამ ეს ჩემი საქმე გადახვლანჯულია სხვების საქმეებთან... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს სხვები (ყველანი... და, მათ შორის, მეც...) ჩუმ-ჩუმად და ნელ-ნელა ცდილობენ, ამ გადახვლანჯულობაში თავისი გაქარონ და შეტენონ... თან ამტკიცონ, რომ სწორედ ესაა ყველასათვის სასარგებლო... არცერთს არა სჯერა ერთი სიტყვაც სხვა დანარჩენებისა, მაგრამ რატომღაც ჰგონია, რომ მისი სიტყვა უნდა ყველამ დაიჯეროს... ზოგჯერ ბრაზდებიან და კაპასდებიან კიდევაც (გულწრფელად!), როცა მათ სიტყვას (ამკარად და გულწრფელად!) არ იჯერებენ...

...როცა გადაბმულად სვამ, ყოველდღე, პატარა დოზებით, როგორც გეხსიათება, ისეთი ინტერვალებით, გასული ხარ შენს „მოგზაურობაში“, მოძრაობ შენს ვარიანტებში, სრულად ხარ დაკავებული ამითი და მაგრად გიტყდება სხვა, გარეშე რაღაცების შემოჭრა, არ გინდა, ვერ იღებ, ირევა ყველაფერი, იჭრება... აღარც ერთია და აღარც მეორე... მხოლოდ გალიზინება... აუტანელია... ამიტომ საჭიროა ხოლმე ორი-სამი დღე იმ „სხვა რეალობიდან“ სრულად გამოსასვლელად... მაშინ ხდება ადაპტირება „ამ რეალობასთან“ (აკლიმატიზაციისავითაა, როცა ერთბაშად დიდ სიმალეზე ხვდები... აი, მაგალითად, ჯირგიტალიდან (1800 მ.) ვერტმფრენით მიფრინავ და ოცდაათ წუთში გადმოდიხარ ფორტამბუკზე (4500 მ.), მყინვარზე... ინწყება აკლიმატიზაცია — შენი ორგანიზმის სისტემები უნდა გადაეწყონ სხვა ატმოსფერაზე (გაუხშობელი ჰაერი)... ამას დრო უნდა... უნდა დააცადო...)

...ჰოდა, დავიწყე ეს დროის დაცდა, მაგრამ ვეღარ დავცადა და ჩავცეცხლე... დავაყოლე შავი პურის ლუკმა-კუბიკი, კარაქნასმული და ზღ სუფუკის ნაკუნით... გავაბოლე სიგარეტი... ჩემს თავს მოვუყევი ეპიზოდი-გახსენება... უფრო სწორედ, გავუშვი ვიდეო-ლენტა... ჰოდა, დავინახე: ...სწორედ ფორტამბუკი კი არა, იმის ახლოს, მეორე მყინვარი — ვალტერი... იქ, ბანაკთან ახლოს, პატარა ტბასთან ვიჯექი და იმ დილას მოკლულ ვაცს ვატყავებდი... მოვიდა ვერტმფრენი... სამი კაცი გადმოვიდა... ერთი ჩემსკენ ნამოვიდა, დადგა და პირდაღებული მომჩერებია... ეფიშოვი იყო, ალპფედერაციის წევრი, ძველი ნაცნობი ტიან-მანდიან...

„...ეტო ტი?!“ — დაიძახა — „...აპიაც სკოზლომ!... ია დუმალ, პოჩუდილოს!... ფანტასტიკა!“

...პირველად, სწორედ ასე, ვერტმფრენიდან გადმოსულმა, ამავე პოზაში, ვაცის ტყავებში გამიცნო მაშინ, ჩონ-ტაშში...

...მეორე მაშკოვი იყო, შორიდანვე ვიცანი: მალალი, ათლეტური ფიგურა, მალალი, სწორი კისერი, ზურგზე დიდი ზურგჩანთა, შიგ ჩადგმული ლარტყეებით შეკრული ძარით... ძარაში უეჭვოდ აქაური დიდი ზაზუნი ეყოლებოდა... აჰყავს ხოლმე უფრო დიდ სიმალეზე, 6000-ზე, ან უფრო ზევით, სტოვებს იქ მოწყობილ სპეციალიზებში, საჭმლის მარაგით, რამდენიმე დღით... მერე უკან ჩამოჰყავს და აკეთებს სისხლის ანალიზებს, აფიქსირებს ცვლილებებს სისხლში, დიდ სიმალეზე, გამიშვიათებულ ჰაერში ცხოვრების შედეგებს... ფორტამბუკზე დიდი კარავი-ლაბორატორია უდგას გრძელი ფანჯრით... სხვაგან არასოდეს მინახავს კარვის კედელში ჩამონტაჟებული შუშის ფანჯარა... საკუთარი სისხლის ანალიზებისა აკეთებს დროდადრო... მთელ სეზონს აქ აკეთებს... დიდ მასალას აგროვებს კვლევებისათვის... აქვს საკუთარი რაცია და მუდმივი კავშირი ცენტრთან... ოცნებობს „ზიმოვკაზე“ — ესეიგი, აქ გამოზამთრებაზე... ჯერჯერობით ეს შეუძლებელია... (კიდევ კარგი!...)

...ჰოო!... ჩავცეცხლე მეორეც... ვზივარ, ვაბოლებ, ვუყურებ ცეცხლს... ოღონდ ცეცხლს კი არა, ამ „ვიდეო-ლენტას“ ვხედავ... ეხლა, ჯერ სინამდვილეში მომხდარს ვხედავ... კიდევ ერთი-ორი ჩაცეცხვლის შემდეგ დაიწყება შემდეგი, ამ მომხდარების არმომხდარი გაგრძელებები... ისეთები, რომლებიც შეიძლება, მომხდარიყო და ისეთებიც, რომლებიც სრულად შეუძლებელი იყო, რომ მომხდარიყო... ერთი და იგივე მომხდარს შეიძლება, ოთხნაირი, ანდა ბევრნაირი გაგრძელება ჰქონდეს... ლაბირინთში ბოდილისას აწყდები გზა-გასაყარებს... წინ სამი გზა... ერთერთი

უნდა აირჩიო... ხომ არ შეიძლება, ანრი მიშოს ჯადოქრებით, მდინარის ორივე ნაპირზე, გაღმაც და გამოღმაც, ერთსა და იმავე დროს მიდიოდე?... ჰოდა, არჩევ ერთს და მიდიხარ... ჩვენს რეალობაში იმ დანარჩენ ორ გზას სამუდამოდ, უკანმოუხედავად კარგავ... ესაა ადამიანური ყოფის ტრაგიზმი: ველარასოდეს გაიგებ, რას ნახავდი და რა შეგემთხვეოდა იმ მეორე და მესამე გზაზე... დრო მხოლოდ ერთ მხარეს მიდის — მოუსაგლეთში... ხმელი ფოთოლი თავისი ყუნწიდან მხოლოდ ერთხელ წყდება... მილიარდობით ფოთოლი წყდება თავისი ყუნწიდან, მაგრამ ერთიადიგივე ფოთოლი მეორედ ვერასოდეს მოწყდება თავისი ყუნწიდან... შეიძლება, სინანული და ინტერესიც აგეკვიტოს, რომელსაც ვერასოდეს დაიკმაყოფილებ... ამ სხვა რეალობაში კი, მართალია, ანრი მიშოს ჯადოქრებით სამივე გზაზე ერთბაშად ვერ გაივლი, მაგრამ შეგიძლია, ცალცალკე, თანმიმდევრულად, სამივე გზა მოსინჯო, რა თქმა უნდა, თუ არ მოგწყინდება და სულ სხვა ბილიკებზე არ გადაინაცვლებ...

...ამგვარად და ამიტომ მოვიდა დრო მესამე ჩაცეცხვლისა... ჩავეცხვლე და კიტრის წნისის მარინადის ყლუპი დავაყოლე, შიგ ჩანწილებული მწვანილების ნაგლეჯებით... ვუყურებ დილა-ბნელის ლანდების ქაოსს... მოუშეშე შიგადაშიგ ჭიატებენ ბაცი ლაქები — ეს თოვლის დაფეხია... საძილე ტომარაში ვარ, კარავში, ისევ ვალტერზე... კარავი ტბის პირიდან შემალელებულ ფერდაზე მიდგას — ძველი, ოღონდ საიმედოდ შემონახული „პამირკაა“... შავბნელში წყლის პრიალიც ჭიატდება ხოლმე...

ააა!.. ეს ისევ მომხდარის ჩვენებაა... ჯერ კიდევ არ დანყებულა **შემდეგი**, არმომხდარი გაგრძელებები... **შემდეგი** თავად მოჰყვება დროის უცნობ მომენტს, ძალით ვერ მოიყვან, ვერც წინასწარ დაგეგმავ... ეხლა კი მომხდარის ჩვენებაა... ეხლა თარხნიკას ლანდი გამოჩნდება...

...ეს თარხნიკა მომცრო ტანის, ხმელი, კაჟივით მაგარი და მამაცი ვინმეა... ოღონდ ფსიხია... თუ გაბრაზდა, შეიძლება, ისეთ რისკზე წავიდეს, რომ თმები ყალყზე დაგიყენოს... ამ ექსპედიციაში ახალი ვნება დამართა: ნადირობაზე დაიცენტრა... თანაც სხვადასხვა... ჩვეულებრივ, ნადირობაზე ახლად დაცენტრირებული ლოკატორებით დაყენებული ყურებით იჭერენ ინფორმაციას ნამდვილი გამოცდილების მქონე მონადირეებისაგან... ისმენენ ტყუილ-მართალს, იმის მიხედვით, მოხრობელის როგორ ტიპს გადაეყარნენ... საქმე ისაა, რომ ნამდვილად გამოცდილი, ნადირი ინფორმაციის მფლობელი მონადირეებშია... არიან სხვადასხვანაირები... არიან ასეთები: კაცი გამომრძმედილია მაგარ თავგადასავლებში, მაგრამ თუ შეეკითხები, ისეთ ენაბრგვნილ და ულიმამო რამეს გეტყვის, რომ საშუალოდ და გაკარგვინებს ინტერესს... არიან მეორენაირები: ნამდვილ, ასპროცენტრიან მაგარ ამბავს ისე გაპრანჭულად, გაფორმებითა და ტრახახით გაიმბობენ, რომ ეჭვს აჩენენ ამბის სინამდვილეში და უსიამოვნო ნალექს უტოვებენ მსმენელს... (ასეთი იყო, მაგალითად, თოვლის ჯიქებზე განთქმული მონადირე ივან ბრატკო)... აი, მესამენი კი... ესენიც ხომ მაგარი და გამოცდილი ხალხია, მაგრამ ამ გამოცდილების კარგად გადმოცემაზე შეუძლიათ... ყველა გარემოებას, პერიპეტას, ზუსტ დეტალებს ისე ცოცხლად დაგისაუბრებ, გეგონება, შენც იქ იყავი იმ წუთებში... ასეთი მონადირე ტყუილსა და შელამაზებას ვერ იტანს, რადგან საინტერესო ისაა, რაც სინამდვილეში მოხდა, როგორც მოხდა და რატომაც მოხდა, თორემ გამოგონება ყველაფრისა შეიძლება... გამოგონილი აუფასურებს ნამდვილ ამბავს, ტყუილს შთაბეჭდილებას... (ასეთი მთხრობელია გიგი ხორნაული, მედათვე)... ასეთი მონადირეების ნამბობები დიდ ინფორმაციას (ტექნიკურსაც და ემოციურსაც) აძლევს ახალბედა ატანილებს და ისინიც ხარბად ენაფებიან ამ წყაროს... ამიტომ იყო, რომ თავიდანვე გამაჰკვირვა თარხნიკას უეცარმა დაცენტრირებ ნადირობაზე და თან სრულმა უინტერესობამ ინფორმაციისადმი ამ ნადირობის შესახებ... ერთი შეკითხვა არ დაუსვამს, ისე უეცრად დაიფინა, სანადიროდ უნდა წავიდეთ... გიჟივით მეხვეწებოდა, თოფი მათხოვეო... თოფი ერთი იყო,

თორემ, ალბათ, არც ხეენდა დასჭირდებოდა... თოფი მივეცი და არც მე დამისვია რამე შეკითხვა... არ მიყვარს კაცის ჭკუაზე დარიგება, თუ თითონ არ აინტერესებს რამე... კატეგორიული ტიპია, გულჩახვეული... მე რა ვიცი?... იქნებ რამე აქვს საგანგებოდ ჩათქმული?... იქნებ საკუთარი თავის გამოცდა ჩაიფიქრა სხვანაირ სიტუაციაში?... მაგარი ვინმეა და თავისი თავისა თითონ იცის...

...ჯერ ისევ ბნელოდა, როცა ჩუმად მომადგა კარავში... ჩუმადვე მივეცი ვინტოვკა და ვაზნები... ბინოკლი თავისი ჰქონდა და ნავიდა... ერთი საათი თუ იქნებოდა გასვარდა... ერთი, ორი, სამი, ოთხი... გამიკვირდა: ასე ადრინად და ასე ახლოს რას ნაანყდა-მეთქი... მერე ვიფიქრე: რომ იქიატა და რალაცები გამოჩნდა, ალბათ, თოფის გასინჯვა მოაფიქრდა-მეთქი... თოფი ხომ ისე წაიღო, მანამდე ერთხელაც მიზანში არ უსვრია... დღე რომ გადაინვერა, თარხნიკას კარვის პარტნიორი ბესო მოვიდა და ჩუმად მითხრა: თარხნიკამ გთხოვთ, მოხვიდეთო... შემეშინდა, რა მოხდა?... როგორ არი-მეთქი?... „...კარგად, კარგად!.. ბანაკში შემოსვლა არ უნდა და თქვენს ნახვა უნდა!“...-ო... გადავიდით მორენაში და დიდ ქვებში ჩამჯდარი თარხნიკა ვნახეთ... აი, რა მომხდარა: ცხვარი მოუკლავს!.. დაბმული!.. (აქ ეგრე ხდება: ექსპედიცია ქვებით, მწყემსობთან ყიდულობს ცხვარს (იაფია!), ამოჰყავთ ვერტმფრენით, კონსერვები რომ მოწყინდებოთ, დაკლავს)... ჩვენს გვერდზე დაბანაკებულ ესტონელებს ჰყავდათ ცხვარი შორიხლო, ბალახიან პატარა ნაკვეთზე დაბმული...

„...არ იცოდა?...“ — ცხვარზე ვკითხე... „ვიცოდა!.. იმ მომენტში ტვინი დამიბნელდა!.. რომ გაიქცა, თოქმა მოქაჩა და უკან გადმოვადგე... ვერც ამითი მივხვდი... თოქი არ ჩანდა... ბინდი იყო...“

...ჩუმად გავაბოლეთ... „...თქვენ ნადით!.. მე, მაგრად რომ დაღამდება, მერე შევალ კარავში...“ — თქვა თარხნიკამ...

„...საჭმელს მოგიტან!“ — უთხრა ბესომ...

„...არ მინდა!.. ცხელი ჩაი მომიტანე, თერმოსით...“

„...შემდეგში ერთად გავიდეთ!..“ — ვუთხარი... შემომხედა, თვალები გამოუცოცხლდა...

„...რანაირად?... თოფი რომ ერთია?...“ — მკითხა...

„...თოფი შენ გეჭირება!.. ეგ ჩემგან ფეშქეშ-ნადირობა იქნება...“

ბანაკში რომ მივბრუნდით, უკვე მოსულიყვნენ ესტონელები, შოთას ელაპარაკებოდნენ... შოთამ არაფერი იცოდა... ჩავერთე ლაპარაკში... შევთავაზეთ, ვერტმფრენს ფულს გავატანთ და ცოცხალ ცხვარს ამოგიყვანთ-თქო... უარი თქვეს, მაინც უნდა დაგვეკლო...

„...კაკ ტირი!...“ — თქვა მაგარი აქცენტით ერთმა და გაიცინა — „...ვიცე კოზლოვ ს პულიაში კუშაეტი!.. მი ტოფე, კაკ ტირი, პაკუშაემ...“

...მოვილაპარაკეთ, რომ ამბავს საიდუმლოდ შევინახავდით... შოთამ თქვა: „...მე მაგისი ხასიათი ხომ ვიცი?... შეიძლება, პრობლემად გადაიქცეს... ასეა ნინა გვაქვს და არ შეიძლება ამისი დაშვება...“-ო... ესტონელებსაც იგივე სთხოვა... ესტონელებმაც გაგვიგეს...

...ეს გრძელი გადახვევა წერისას გახდა საჭირო და ჩავამატე... რეალურად მომხდარის „ვიდეო-ფირის“ ყურებისას კი არავითარი გადახვევები და წყვეტები არა ხდება...

...ჰოდა, ის იყო, რომ ველოდებოდი თარხნიკას ლანდის გამოჩენას... ეს ლოდინი არ იყო პირველად, ჯერ არ მომხდარის დროს მოლოდინი... მაშინ ხომ არ იცი?... ხომ შეიძლება, სულაც არ მოვიდეს კაცი?... ან დაგვიანდეს და უკვე შეთენებულზე მოვიდეს?... არც ის იცი, სახელდობრ, რანაირად მოვა?... ამჯერად კი ზუსტად ვიცოდი, როდის და როგორ მოვა... როგორ გაჩნდება სიბნელეში კიდევ უფრო ბნელი კონტური, როგორ ვიგრძნობ ფეხზე შეხებას... ..ჰოდა, ვიგრძენი შეხება და ხმისამოუღებლად გავძვერი, გავიტანე შაშხანა, ბინოკლი, შტორმოვკა და ჩქამი არ გარხეულა, ისე გავქრით ბანაკიდან...

* „დიჩ“-ის (ნანადირევი რუსულად) მაგიერ ამბობდა — „ტიჩ“-ს...

...ტბის გადაღმა, კორყენეცკაიადან ჩამომავალი მყინვართან, მოკლედ აუფხსენი, სადამდე შევიდეს მორენაზე, სად ჩასაფრდეს, რა მონაკვეთზე ჰქონდეს ყურადღება... (ადგილი იცის: ასვლის წინა დაზვერვებზე მოიარეს)... მივეცი თოფი, ერთი გაუსხნელი პაკეტი ვაზნები... ბინოკლი თავისი აქვს... გავბრუნდი მარჯვნივ, ტბის თავზე ნამომდგარი მასივის მარჯვნივ გამომავალი მყინვარის მორენაზე გადავიდი და ვიარე ერთი ათი წუთი... მერე ჩავეჯექი ქვებში და დაველოდე შუქის მომატებას...

...აი, ნელ-ნელა ბინდიდან გამომჟღავნდა მასივის კლდოვანი კვერდი და თითქმის მაშინვე დავინახე კვერდი პნკარივით გავლებული ჯოგია... ეს ის ჯოგია... ამასწინათ შევამჩნიე ბინოკლით ზვერვისას... მერე დაიკარგნენ... ეხლა ისევ აქ არიან თარხნიკას ილბაზე... ჩემგან, ასე, ექვსას მეტრში იქნებიან, მძივის ასხმასავით შეკიდებული ფრიალოზე... აქეთ მოდიან ნელა-ნელა... გზადაგზა ჩერდებიან, ცოტას ნაიძოვენ, ალბათ, აქა-იქ ცალცალკე გამოჩნდებიან ქუჩის ბლუჯებს კორტნიან... რამე საძოვარი, ბალახიანი ნაგლეჯი, აქ არცა ჩანს, თორემ წესით, ამ დროს, ასეთ ადგილზე გაჩერებული მარჯვნივ და მარჯვნივ უნდა იყვნენ დაკავებულნი... კიდევ ერთი უცნაურობა: მერეული ჯოგია, ერთი დიდი ვაცია, სამი-ოთხი საშუალო რქებიანი, სამი-ოთხი ცოკლერქებიანი ახალგაზრდა, მერე რამდენიმე თხა და კიდევ რამდენიმე ნამოზრდილი თიკანი... ჯოგების შერევა შემოდგომაზე იწყება და რას უნდა მივანეროთ ეს ადრინა გაერთიანება, არ ვიცი... მოდიან ნელა-ნელა... შიგადაშიგ პნკარი ირღვევა, თხები და თიკნები შექანდებიან ხოლმე მწკრივის ზეით-ქვეით, წანწკნიან აქა-იქა ბალახს... უკვე გამოვიდნენ ჩემს პირდაპირ კედელზე, მანძილი განახევრდა, იქნება საბასამდე... კარაბინი რომ მქონდეს, სროლაც შეიძლება... მოძრაობენ მარცხნივ, ტბისკენ... აი, უკვე გამცდნენ კიდევაც... ეხლა შემიძლია, ამათ უკან ჩავედგე და მივეყვ დისტანციის შენარჩუნებით... ტბასთან რომ გავლენ, დავენახვები და დავაფრთხილებ... გადავრეკავ კორყენეცკაიას შესახვევში და მერე უკვე თარხნიკას მზერის არეალში მოექცევიან... არ მინდა, ზედმეტად დაფრთხილდე და თარხნიკას ჭენებთ ჩაუარონ... მოძრავს ვერ მოარტყამს... მოძრავს კი არა, ნეტა გაჩერებულს მოარტყას... რა ვიცი, აბა?... ვიცი, რომ ამ თოფით არ უფარვია (თუ არ ჩავთვლით ცხვრის დახვერტას)... სხვა თოფით თუ უფარვია, ეგეც არ ვიცი... ვინცე მოძრაობას... მივეყვები...

...აი, უკვე გადაინ ტბის თავზე... მეც გავდივარ... უკვე ას მეტრში მივეყვები უკან... უკვე დროა, დამინახონ... გამოვდივარ საამქარაოზე, შუა მორენაზე, და უკვე ლიად მივდივარ მათკენ... უკან არ იხედებიან... საჭიროა ხმაური... დავცხე ტაში და დავუსტვინე... კაი ტლაშანი გამოვიდა თავისი ექოთი... დიდი ვაცია მათარხნობრტყმულივით შემომხივალდა, შემომხუნდნენ დანარჩენებიც... მაგრამ... ევე?... ესენი ვინა ყოფილან?... მგონი, არც აპირებენ დაფრთხობას, მიყურებენ... თხები, კორდებალეტივით, მწკრივში დგანან, ერთნაირად კოხტად ყელმოღერებულები, ერთნაირად გვერდზე დახრილი თავებით... დამჩერებიან... (აი, ამას ქვა: „რა თხასავით მომჩერებიხარ?...“-ო)... სულ ახლოს ვარ, ჩემს ზემოთ, ასე სამოც-სამოცდაათამდე მეტრში იქნებიან... ორლულა თოფი რომ მქონდეს ჟაკნებით, ორ ცალს ხე-დახელ ჩამოგხსნიდო... ხელებს ვიქვეც, ვყვირივარ: „ჰაუ!..“, „ეეეე!..“, „ფსტ!...“ „ყვააუ!...“ ... დიდმა ვაცმა მკაცრად დამიბაკუნა ფეხი და მჭახედ დასტვინა... მერე შეტრიალდა და ამაყი ჩოროთი წავიდა იქით, საითაც საჭირო იყო... მიჰყვნენ დანარჩენებიც...

...გავიდა ხუთი-რვა წუთი და გავარდა „ვინტოვკა“... გავარდა და... წავიდა!.. მიჰყვა ზედიზედ... მხოლოდ საკეტის გადატენის ინტერვალებით, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... მერე — ინტერვალ, რაც ახალი, ხუთიანი პნკალის ჩადგმას დასჭირდა და ისევ ინტერვალებით ხუთი ბრავგანი... ისევ ნამიერი მონტრევალი და ისევ — ხუთი!.. რა არი?!.. რა ხდება?!.. კიდევ სამი გავარდა და გაჩერდა... თვრამეტი!.. პაკეტი ოცი ვაზნა იყო, თვრამეტი გაისროლა!.. რა ქნა?... მთელი ჯოგია ამოწყვიტა?... არადა, რა?... ის ჯოგიც ადგილზე დაუდგა სამი-ხუთი წუთი... მივრბივარ... აგე, თარხნი-

კა დგას ხელებჩამოშვებული და რალაცას უყურებს... დაუფახე... მკვეთრად შემოტრიალდა და სწრაფად მოალაჯებს ჩემსკენ... მოვიდა... სახეზე მინისფერი ადევს... ვეკითხები: „რა ქენი?...“

„...არაფერი!..“ — აღმოხდა ხრილ-ლრენასავით და შეუჩერებლად გააგრძელა ქვევით ლაჯება... მივეყვი... მერე შეთქმულბევით ერთად ვსხდებით ტბის პირას და ვიღებთ სიგარეტებს... ვაბოლებთ...

„... რა მოხდა?...“ — ვიკითხე ბოლო-ბოლო... შეკითხვის კილო ნაწყენივით გამოვიდა, თუმცა არავითარი წყენა არა მქონია... თარხნიკა, ისევ რალაცას მიშტერებულ, ჩუმად აბოლებს... ვიფიქრე, ეს ლაპარაკს არ აპირებს-მეთქი... რალაც ბრაზიანი ჯიბრი დამეხდა — აღარც შევეკითხები აღარაფერს-მეთქი... და უცებ ნამოიძახა, ისევ ღრენა-ხრიალით:

„...ვერ მოვარტყი!.. ვერცერთი ვერ მოვარტყი!..“ — და გამოხეთქა... — „...ყველა ტყვიას ვხედავდი, სადაც ხვდებოდა... ბუქი ადიოდა... ხან ნინა ხვდებოდა, ხან უკან!.. ესენიც ხან მარცხნივ მიანყდნენ, ხან მარჯვნივ... აირივნენ... დაიფანტნენ... ზოგი ა-ემ პიტალოებს შეეკიდა... ყოველ გასროლაზე ვამბობდი — „ჩემია!“ და იმ ნამსვე ხედავდი გვერდზე ამდგარ ბუქს... რალაცა ცუდი დამემართა... ტყვიამ-ფრქვევი მჭირდებოდა!.. ტყვიით უნდა მომერწყა იქაურობა... თითქოს მტრები იყვნენ!.. უნდა დამეხსრო... სიკვდილ-სიცოცხლის საქმე იყო!.. უკვე ბრინჯის ხელად რომ ჩანდნენ, მაინც ვესროდი... ვიცი, რომ ამისი ტყვიან კილომეტრზე მიდის და... ოღონდ ბოლოს მივხვდი, რომ სამიზნე რვაასზე უნდა გადაამყენებინა... ვაზნებიც გამოთავდა... „ჰაჰაჰა“ გადავაგდე...“

„...ორი კიდევ დაგრა“ — ჩავერეი... „...რაა?...“

„თვრამეტი გასროლა იყო...“ „თვრამეტი?... ჰოო, ორი, ალბათ, დამიცვიდა...“ — ჰაუზა გააკეთა — „... მერე ძალიან ცუდად ვიყავი... თითქოს მომკლეს... შენ რომ მოხვედი...“ — და აქ განწყობა ლაპარაკი... იჯდა ჩუმად და ენო-და... მეც ვიფიქრე და ვენუოდი... ხმა არ ამომიღია, არავითარი სურვილი არ გამჩნია ანალიზების, გარჩევების, კომენტარების გადმოლაგებისა... მერე ერთი ფრაზა დავალაგე და უნდა მეთქვა: „...სალამობით ნავივარჯიშით... მიზანზე... თოფი უნდა მოირგო... შტურმზე გავვლამდე ერთ თავისუფალ დღე კიდევ გავიდეთ“-მეთქი... მაგრამ თქმა ვერ მოვასწარი... თარხნიკამ დამასწრო, თითქოს ჩემს ფრაზას უპასუხაო... სრულიად დანმენდილი, წყნარი და მტკიცე ხმით თქვა:

„...არა!.. აღარ მინდა... სანადიროდ აღარ წავალ!.. არაა ეგ ჩემი საქმე!..“ — შეყვონდა და დაამატა — „...ამაზე მე აღარსად აღარაფერს ვიტყვი... შენთან ვალდე-ბული ვიყავი, მეთქვა და ვთქვი... მორჩა...“ — და თვალბნე შემომხედა... თითქოს უსიტყვოდ მკითხა: „ალბათ, შენც არ იტყვი?...“-ო... ისევ ზედმეტი მომჩერვანა კომენტარები და ისევ არაფერი მითქვამს... შენიშნა სიტყვები: „**რალაცა ცუდი დამემართა...**“ — მაგარი კაცია, კატეგორიული კაცია და თავისი თავისა თითონ იცის...

შენყდა „ვიდეო-ფირი“ და არავითარი გაგრძელებები არ მოჰყოლია... ჩამოვასხი კიდევ ერთი ულუფა ჩასაცეცხლი... ვუყურებდი ცეცხლს ბუხარში... „...რალაცა ცუდი დამემართა...“-ო, თარხნიკამ... ჰოო!.. ეგაა... გამახსენდა ერთი მონადირე ყარაიაზე, დიდი ხნის წინათ... დაჭრილი კურდღელი უკანა ფეხებს რომ თავსოკი-ალებდა, ეს მივარდა და ჩასცხო კონდახი... თვალბნე ჭკუიდან გადასულის გაუხდა და ჩასცხო და ჩასცხო და ჩასცხო, კინალამ კონდახი ზედ არ დააფშვნა... მერე კურდღელი ასწია, საქმიანად იჩალიჩა თასმა-ყულფებით, კარგად მოიგრა და აიკიდა... სახე დანყნარებული და კმაყოფილი ჰქონდა და თოფმომარჯვებულმა გააგრძელა ნადირობა... ალბათ, დღესაც აგრძელებს ნადირობას, თუ ცოცხალია... ასეთები ბევრი მინახავს სხვადასხვა ვარიანტში... ესენი აგრძელებენ ნადირობას და ვერა ხვებიან „**რა ემართება...**“... თარხნიკა მიხვდა და შეზარა ამან... და მაშინათვე მოჭრა კატეგორიულად... კატეგორიულად არ შეიძლებოდა დაშვება იმ სიტუაციისა, როცა ის გემართება, რაც ვაზარავს... ხომ ვთქვი, მაგარი კაცია და თავისი თავისა თითონ იცის-მეთქი...

ნაწილი ნიშნები

დილაადრიან მწერალთა კავშირის შენობას ვეწვიე (მარაბლის 13). აშკარად ცუდ დროს მივედი. წინა დღეს მწერალთა ყრილობა ჩატარდა. ახალი თავმჯდომარე ავირჩიეთ. ერთი — ყველასთვის საყვარელი მწერალი მეორე — არანაკლებ ღირსეულმა მწერალმა შეცვალა (გვარებს არ დავასახელებ). ყველაფერი მისაღები ჩანდა. ოღონდ მოულოდნელობამ გამოაცა, დილით მწერალთა კავშირში რომ მივედი, შესასვლელში ნიგნები დამხვდა მიმოფანტული. ვილაცხა დაუდევრად მოესროლა. გავარკვიე, ახლადარჩეული თავმჯდომარე ადრიანად სწევოდა სასახლეს (ნეტავ, რა ექარებოდა!), კაბინეტის გამოთავისუფლება ებრძანებინა. ვერ მოეთმინა და თავად შედგმოდა საქმეს. ძველი თავმჯდომარისადმი მიძღვნილ, მწერლების მიერ ნაჩუქარ ნიგნებს, მეგობრული წარწერებით, ქება-დიდებათ, დაუდევრად ყრიდა გარეთ. პანტაპუნტი ცვიოდა. ერთი-ორი ცალი ჩემს ფეხებთან დავარდა. სქელყდიან, თავმომხრე ნიგნებზე უფრო მეტი თხელი, ფარატინა კრებულები იყო. ყოველ მათგანზე გულითადი მიძღვნა, სიყვარული და პატივისცემა იკითხებოდა. დარწმუნებული ვიყავი, ჩემგან მირთმეული ნიგნიც სადღაც აქვე ედგო, მაგრამ არ მიძებნია. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი... მიძღვნილი კრებულები ძველმა თავმჯდომარემ ხომ არ წაიღო, არც ახალმა ინება მათი დატოვება. ერთხანს ბიბლიოთეკაში ეწყო, მწერლები შემოდიოდნენ და წარწერებს კითხულობდნენ, ერთობოდნენ, ქილიკობდნენ... რა იყო საქილიკო, არ ვიცი, მაგრამ ამის შემდეგ, ვცდილობ, ნიგნი არავის ვაჩუქო, მით უმეტეს, თანამდებობის პირებს...

თოვლიანი ღამე (დოდო ჭუმბურიძე)

1974 წელი. თბილისში გამართულ მწერალთა შეკრებებს, სემინარებს ხშირად ვესწრებოდი. ყრილობის დღეგატებადაც დაგვასახელებს. ერთ ამგვარ შეკრებაზე მე და დოდო ჭუმბურიძე ქუთაისიდან თბილისში მივემგზავრებით. ზამთარია, თოვს. კუპე დავიკავებთ. დოდო ხშირად „გრიპიანობს“ და ახლა შალით სახეგაკრული ადრიანად წვება. მატარებელი ჯერ არ დაძრულია, გვექმის, ბაქანზე ხმაურია, ქუთაისელი ახალგაზრდა ექიმები თავიანთ სტუმარს აცილებენ. კონიაკის ყუთით ხელდამშვენებულ ბიჭებმა ჩვენს კუპედე მოაღწიეს. კარი შემოაღეს. ჩვენ ქვედა საწოლებზე ვწევართ. მასპინძლები ებოდიშებიან სტუმარს, უკეთესი ადგილი ვერ შეგიჩივრებთ. თან აჩრებთ დაგვექცევიან, ერთმა ისიც კი იკადრა, „თუ გინდა, ამათ აქედან გავიყვანო.“ სტუმარმა იუარა, მეგობრები გააცილა, კარი მიხურა, „დუბლიონკა“ გაიძრო და ზედა საწოლზე ამოწვია. კუპე ჩახუთულია, სუნთქვა ჭირს. ვაჟი ნასვამი ჩანს, ვერ ისვენებს, ბორგავს. მატარებელი შეუჩერებლად მიქრის, მინას მსხვილ-მსხვილი ფანტელები აცვივს.

უცებ ვაჟი გადმოიხარა და ფანჯრის მინა ბოლომდე ჩასწია. გაწყრა დოდო — „დახურეთ ფანჯარა, გაციებული ვარ!“ „არაუშავს, სუფთა ჰაერი შემოვა“ — პასუხობს ვაჟი. ფანტელები სახეზე გვაცივია. „დახურეთ!“ — ხმას უწევს დოდო. „არაფერი გამოვა, ჩემს დახრობას, თქვენი გაციება სჯობს.“ „ვითომ რატომ?“ „ექიმი იარ. მოგარჩენთ!“ ვაჟი თამამი და ხალისიანი ჩანს, ცოტა უდარდელიც. ფანჯრის ჩარჩოში ნახევრად იხრება, სახეზე ფანტელები აცვივს. ხელებს შლის: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა, მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის და სიყვარულის ასე მოთმენა.“ ლექსს გზნებით, შთამბეჭდავად კითხულობს. დოდომ სტრიქონი შეუსწორა: „და ზამბახების წყებად დანვენა“. უმაღლ გამოერკვა. „არა მგონია! გალაკტიონის რამდენი ლექსი იცით?“ — ინტერესდება. „რამდენიც საჭიროა“ — პასუხობს დოდო. „მოდი, შევთანხმდეთ, რამდენ ლექსსაც იტყვი, იმდენჯერ ავწევ ფანჯრის მინას“. იცინის ვაჟი.

ერთ ლექსს მეორე მოჰყვა... მეორეს — მესამე. თანდათანობით მალლა მიიწევს მინა. კუპე თბება. თოვლით გადაფიფქული შორეული სივრცე ზღაპრულ სამყაროს ემსგავსება... დიდი პოეტის სტუმრობამ სამახსოვრო გახადა ის უცნაური ღამე.

ლეილა მესხი

ფიქრის კრიალოსანი

მოგონებები ხშირად ფიქრის კრიალოსანს ჰგვანან, ხან ერთი ბურთულა ჩამოიმარცვლება, ხან — მეორე... ერთმანეთს ნაკლებად ემსგავსებიან. იცვლიან სახეებს, ფერს, იერს, წარსულსა და დღევანდლობაში მონაცვლეობენ და რომ გგონია, ბევრი რამ დაიწყებული გაქვს, თურმე ყველაფერი გახსოვს...

დილით გაგვეცნო, პროფესორ ლუარსაბ მამაცაშვილის ვაჟი აღმოჩნდა. ცნობილი ექიმი. სამახსოვროდ ნიგნები ვაჩუქეთ.

გაკო ლორთქიფანიძე 1982 წელი.

მახსოვს, ლიტერატურული მუზეუმი ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 100 წელს აღნიშნავდა. იგი ჩემთვის გამორჩეულად საყვარელი მწერალია. მის შემოქმედებასთან საოცარ სულიერ სიახლოვეს ვგრძნობ. მუზეუმში გამოფენილ მწერლის ნივთებს, სურათებს, წარწერებს გული-სყურით ვათვალიერებდი.

უცებ! ერთ ადგილზე გავშემდი. კედელზე, ნიკოს ხელით შედგენილი, ლორთქიფანიძეთა გვარის, მისი წინაპრების გენიალოგიის ფოტოასლი გაეკრათ. ყველანი აქ იყვნენ. მერაბ ლორთქიფანიძე (ნიკოს მამა), მისი ძმები, ბიძები, ბიძაშვილები, პაპები, პაპის პაპები... ერთ ადგილას, ისარი მარცხნივ იხრებოდა. ბევრ ლორთქიფანიძე — იკითხებოდა წარწერა. ეტყობა, მათი ახლობელი, სისხლი და ხორცი სხვაგან გადასახლდა.

არადა, ოდითგან მსმენია (დედისგან, დეიდებისგან), რომ ჩვენი პაპის, ენუქის მამა, თავადი ბეკო ლორთქიფანიძე ახალბედისეულში ჩუნეშიდან გადმოსახლდა. „ფიცის კაცებს“ — ლორთქიფანიძეებს სოლომონ მეფემ ახალი მამულები უბოძა. გამოდის, რომ ნიკო ლორთქიფანიძის საგვარეულო ხეზე ჩემი დიდი წინაპარი ვიპოვე... მეც მათი შთამომავალი ვარ! ჩემს ძარღვებში მათი სისხლი ჩქეფს!

ხოლო 2008 წელს, როცა შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის ნიკო ლორთქიფანიძის პრემიით დამაჯილდოვეს, ორმაგად გავიხარე...

აოთხური კრება „მთვარის ნიშნობა“

1989 წელი. გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი ვარ. ერთ დღეს დირექტორმა (გურამ გვერდნითელმა) გამომიძახა და ლექსების კრებული გადმომიცა. დავხედე, ზვიად გამსახურდიას პოეზია აღმოჩნდა. სიხარულით მივიღე. ლექსებიც მაინტერესებდა და ავტორთან შეხვედრა მენადა. მოგვიანებით გავიგე, გამომცემლობის ზოგიერთმა რედაქტორმა უარი განაცხადა ზვიადის ნიგნის რედაქტორობაზე, დამოფრთხალინი წანდნენ... სულ ახლახან კოლაუ ნადირაძის ლექსის „25 თებერვალის“ დაბეჭდვის გამო, „მერანის“ შვიდი თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

შიში არ მიგვერძინა, ნიგნს ჩაუფუჯე და გამოსაცემად მოვაგზავნე. მალე ბატონი ზვიადი გვეწვია, თბილად ვისაუბრეთ. მცირედი შენიშვნები გაიზიარა და, რაც მთავარია, კმაყოფილი დარჩა... სათაური შეარჩია. „მთვარის ნიშნობა“ — ასე ერქვა ლექსების კრებულს. უკვე აწყობილი ბოლო რედაქციისთვის მინ მივუტანე. შეუძლოდ ბრძანდებოდა. სიამოვნებით გაეცნო. გახალისდა. სუფრის გაშლა ბრძანა. სტუმრებიც შემოგვემატნენ, მრგვალი მაგიდის მაშინდელი წევრები, მისი თანამოაზრეები. ჩემ გვერდით ლუიზა შაკიაშვილი და ციალა არდაშელია ჩამოსხდნენ. ზვიადმა ლექსები წაგვიკითხა. „მთავარია მუსიკა, სიღრმე... ამ ნიგნის გამოცემა დავაგვიანე, რამდენჯერმე დამიბრუნეს გამომცემლობიდან, ახლა რა ადვილად გამოსცეს?“ — გაოცებული ჩანდა.

ქალაქი ხმაურობდა, ტორტმანობდა, მიტინგები. ლოზუნგები. ცეცხლოვანი გამოსვლები. კოლხურ კოშკში კი სიმშვიდე იყო. დიდი მწერლის ხელშეწავებით ნივთები მოჩანდა. ნიგნები, სურათები, სანერი მაგიდა... რაც მთავარია, საოცარი უბრალოება იგრძნობოდა. მომეჩვენა, დიდი მწერლის სული ჩვენს შორის ტრიალებდა, საყვარელი ვაჟის ყოველ სიტყ-

ვას უსმენდა... კედლიდან ბატონი კონსტანტინეს სურათი გვიცქერდა. იმ დღის შთაბეჭდილება კარგახანს გამეყვა, არ გამენელებია...

მოგვიანებით, უკვე დაბეჭდილი ნიგნი, ბატონი ზვიადის ავტოგრაფით (თბილი წარწერით), დაცვის თანამშრომლებმა მომიტანეს „მერანში“. ოთხნი შემოვიდნენ, მალაღ-მალაღი, ტანადი ვაჟები, სალამი მითხრეს, ზვიადისგან მოკითხვა გადმომცეს და ნიგნი მომანოდეს. საოცრად მეამა.

მოთხრობა „მეოთხე მგზავრი“

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ისედაც დაზაფრულეს და გაუბედურებულეს, ჩვენი სატანჯველი გვეყოფოდა, ზვიად გამსახურდიას ნაბოძები, ახალთახალი, შავი 06 მოგვპარეს. გარაჟიდან ჩუმად გაიყვანეს (ეს უკვე მეორე მანქანა იყო). კარზე დაკიდებული მძიმე ბოქლომი გაუთოვებელ, ცივ ბინებში მძინარე ადამიანებს, მათ შორის ჩვენც, არაფერი გავიგია, სუსხი და სიცივე თოშავდა ხალხს... ყოველივე ეს უზნის ქურდ-ბაცაცა ბიჭებმა ჩაიდინეს. ახლო-მახლო კორპუსებში მცხოვრებლებმა. ისინი სილიკატის ქარხნის ყოფილი მუშების შვილები იყვნენ. უმუშევარი მამები, ცხოვრებაზე გააყვებულნი და განანწყებულნი, შინ ისხდნენ! მათმა შვილებმა გარაჟში დაყენებული, პრეზიდენტის ნაბოძები მანქანა ჩუმად გაიყვანეს. ამ უბანში ისედაც უცხოდ ვგრძნობდით თავს (ქუთაისიდან ახალი გადმოსვლები ვიყავით). ოჯახის ბურჯის გარდაცვალების შემდეგ მთლად უმწეონი გავხდით. რაც მთავარია, მამის გარდაცვალებამ იმდენად დაზაფრა მამუკა (ჩემი ვაჟი), დიხანს ვერ მიეკარა მანქანას. შიგ ანზორის ნივთები ეწყო, მისი ნასუნთქი ჰაერი იყო საესე (სიგარეტის სუნს გრძნობდა!), აშკარად წუხდა, მამა ენატრებოდა... ამიტომ იყო, კარის გამოღება და შიგ ჩაჯდომა გაუძნელდა.

იდგა და იდგა ახალთახალი, პრიალა მანქანა. რადიომიმღები, „დინამიკებით“, სავარძლებით. ყოველივე ეს, ეტყობა, აღიზიანებდა და ჭკუიდან რევდა „შოსან“ ბიჭებს. სანამ ცოცხალი იყო პატრონი, ახლოს ვერ მიეკარნენ. უბანში იცნობდნენ მას, პატივს სცემდნენ... თავადაც ეხერხებოდა ახალგაზრდების ტვინიდან „მწყრების აფრენა“. ხოლო თავიანთ თანატოლს, რომელიც „შოსან ბიჭებს“ სათოფეზე არ ეკარებოდა, სათვალეს ატარებდა და კარგადაც სწავლობდა, ძალზე ადვილად შებედეს (შურდათ კიდევ, მისთვის არ ემეტებოდათ). ჰოდა, მოპარეს... დილით მეზობელი მეძახის: „თქვენი გარაჟის კარი ღიაა!“ გამოვცვივდით. თოვლს მანქანის კვალი აჩნდა. ერთხანს გავედევნეთ, მერე ქუჩაში მიმქროლავ მანქანებში აირია და გაქრა...

მანქანისთვის აღარ გვეცალა. კიდევ უფრო აირია ქვეყანა, გახშირდა სროლეუნი. ხალხის არჩეული პრეზიდენტი აიჭულეს, რომ საქართველო დაეტოვებინა. უკვე ჩენთში იმყოფებოდა. ჩემი მანქანისთვის ვის ეცალა... პირველი მანქანის დაკარგვისას თუ შევატყობინეთ პოლიციას და საექვო პირთა ვინაობა ვამცნეთ, რა გაკეთდა?! არაფერი. მეორე მანქანის შესახებ საერთოდ არ მიგვიმართავს. რთული დრო იყო...

გულის მოსაოხებლად, მოგვიანებით, მოთხრობა დაწერე, რომელსაც „მეოთხე მგზავრი“ ვუწოდებ. მანქანის მოპარვის სცენა იმგვარი სიზუსტით აღვწერე, თითქოს თავად ვესწავებოდი... დაიხარა ცივი ღამე, ქურდ-ბაცაცა ბიჭები და უზნის მანანალა ძალები. ეს ძალები მართლაც არსებობდნენ. ბოლო ხანს მეუღლე ხშირად ავადმყოფობდა, სანამ მე სამსახურში ვიყავი, შალმოხურული აივანზე იჯდა და მელოდა. მეზობლები გაოცებულნი იყვნენ, ეზოში მანანალა ძალები მომ-


რავლდნენ. ჩვენი ფანჯრების წინ, ასფალტზე ინგენ და მცირე გაფაჩუნებაზე ყურდაცქვილები წამოცვივდებოდნენ. გაირკვა რომ, მათ ჩემი მეუღლე ანებივრებდა, უყრიდა ძვლებს, პურის ნაჭრებს. მგონი, საკუთარ ლუკმასაც. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულად უყვარდა. მალაღი, ზორბა, ნაცრისფერი, მეცხვარე ძაღლი. დიდი, ზომბორა თავი ჰქონდა. ჩუმად, მიპარვით ჩვეოდა კბენა...

მოთხრობაში, მცირედი მინიშნებით, ქურდ-ბაცაცა ბიჭების მომავალ ბედზეც ვდარდობდი. თითქოს მათ მხარეს ვიჭერდი, ვამართლებდი კიდევ, ყმანვილური ჟინით და ფორიაქით რომ გაიყვანეს გარაჟიდან მანქანა. ქროლეს, ფრენის, სხვა სამყაროში გადასვლის ყინს რომ შეეპყრო ისინი... ოღონდ, შეღვიძებულ სინდისით მეოთხე მგზავრად მანქანის ძველი პატრონი, ჩემი გარდაცვლილი მეუღლე ჩაუუსახლე. აშკარად გრძნობდნენ მის არსებობას... თითქოს იქ იჯდა მათთან ერთად. მისი ნივთები ხელუხლებლად ეწყო მანქანაში, სიგარეტის კოლოფი, კონიაკის ბოთლი, ძველი ქართული სიმღერების დისკი. მანქანის ყოველი კუთხე-კუნჭული მის არსებობას ადასტურებდა, ამხელდა... ამას ემატებოდა შუალამისას ადევნებული მანანალა ძალები გუნდი. თითქოს იგრძნეს მანქანის გამოყვანა. პატრონის სუნიც იყნოსეს... დაფეთებით მოსდევდნენ, ქელვით, განგაშით. უღრენდნენ, ერთ მათგანს ფეხზეც მიწვდნენ. გაისროლეს ბიჭებმა... ერთხელ, მეორედ... ფიცის კაცებივით, ერთგულების ნიშნად, ზედიზედ გადაცივდნენ ხიდიდან ჭკუიდან გადასული, აყვებულნი უზნის მანანალა ძალები. თავზარდაცემული ბიჭებიც გარბოდნენ, სადღაც, მთებსა და ნამქერს შეაფარეს თავი. მანქანას თოვლში ტოვებენ და სხვადასხვა მიმართულებით გარბიან... ასეთია სიუჟეტი.

მოთხრობას მსუბუქი იუმორი ახლდა და კარგად იკითხებოდა.

მოგვიანებით, როცა „მეოთხე მგზავრი“ ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა, ჯანსუღ ღვინჯილიამ მითხრა: „საოცარია, შენმა მოთხრობამ სიმპატიამ გამოიჩინა არამარტო ქურდ-ბაცაცა ბიჭების მიმართ, გარეუბნის მანანალა ძალებიც შემეყვარა...“ მეც შევიყვარე ისინი...

ღამე. მატრო. (ოთარ ჭილაძე)



1995 წელი. საღამო. წვიმს. ბნელა. მეტროში ვზივარ. ვაგონი მგზავრებითაა გაჭედილი. ადამიანები ერთმანეთს ეკვრიან, ეხებებიან, ეხახუნებიან. უხეშობენ, იბღვირებიან. ვილაც იგინება, სადღაც ბავშვი ტირის. თვალდახუჭული ვზივარ. არავის დანახვა არ მსურს! უცხო ხმები ყრუ გუგუნად ჩამესმის. მეჩვენება, სამყარო შევიწროვდა და ჩემს გარშემო უთვალავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

სუნთქვა მეკვრის... — შემდეგი სადგური... — ისმის დიქტორის ხმა.

თვალს ვახელ. ჩემს წინ საშუალო ტანის, თხელი, გამხდარი კაცი დგას, ჭაღარა თმა და გაცრეცილი პირისახე უჩანს. ნაავადმყოფარს ჰგავს. ნაცრისფერ ქურთუკში თითქოს ჩამძვრალა. ცალი ხელით სახელურს დაჰკიდებია, მეორეში გაზეთები ჩაუბლუჯავს. დიხანს შინ წაჯდომს ჰგავს. უმზეოდ, უჰაეროდ ნამყოფს. ვილაცები ეხლებიან, ბორძიკობს, თავს ძლივს იკავებს.

ადამიანებს შორის უცხო და გარეშე ჩანს.

კვლავ გაგხედე... ღმერთო! რა უცნაურია ცხოვრება! ეს უფერული, გამხდარი კაცი დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძეა! შესანიშნავი ლექსების, პოემების, ზრნინვალე რომანების ავტორი...

აფორიაქებული შეეჩერებოდა, თვალებს არ ვუჯერებ. მეოცე საუკუნის დიდი ქართველი პროზაიკოსი! სურვილი მაქვს, ნამოვდგე და ადგილი დავუთმო, მაგრამ ვერ ვებედავ. დარწმუნებული ვარ, თავად არ ინებებს, ქალმა ადგილი დაუთმოს. ირგვლივ მყოფთ ვაცქერდები. ნუთუ, ამ ადამიანებმა (გაუხეშებულსახიანმა ქალებმა და კაცებმა) იციან, მათთან ერთად ვინ მგზავრობს?! გადაჭედვით ვაგონში ვინ იმყოფება?! ალბათ, წარმოდგენაც არა აქვთ. იგი თანამედროვე ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. დიდებული მწერალია. ზედიზედ ვისხენებ მის რომანებს: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „აველუმი“, „რკინის თეატრი“. თარგმნილია ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, რუსულად... სულ ახლახან ნობელის პრემიაზე წარადგინეს. მნიშვნელობა არა აქვს, გახდა ნობელიანტი თუ არა. მთავარია, მისი ნივთების შემდეგ ქართველ ერს სამყარომ სხვა თვალთ შეხედა.

ესენი კი ევკიავებიან, ალაგ-ალაგ მუჯღუგუნს გაჰკარავენ... ეუხეშებიან.

ჩეხებმა წარადგინეს ნობელის პრემიაზე (1991 წელს). საქართველოში კი ამის შესახებ არაფერი თქვეს. არც ტელევიზია, არც პრესა დაინტერესებულა. რატომ?!

მასთან დიდი ნაცნობობა არ მაქვს, არც სიახლოვე. იგი თავისთავში ჩაკეტილი, თავის სამყაროში ჩაკარგული შემოქმედი. ერთმანეთს კიდევ ვიცნობთ და არც ვიცნობთ, თუმცა ახლა ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვერ ვისვენებ...

— წარმოდგენა არა აქვთ, ვისთან ერთად მგზავრობენ! — ხმაბალა ვამბობ.

— ბატონო? — ჩამეკითხა ოთარი.

— არაფერი... — ვიღიმი.

ზუსტად ამ წლებში თავის „ჩანაწერებში“ ოთარ ჭილაძე წერდა: „ვინც გარენარს ხელს ართმევს, თავადაც გარენარია. გარენარობა გადამდებია, შეხებითაც გადადის.“ იქვე აგრძელებს: „ჯოჯოხეთურ, აუტანელ ყოფაში ხელოვანმა, კონკრეტულად მწერალმა, გიჟის ხალაში კი არ უნდა ჩაიცვას, არამედ, თუ კი იქამდე ეცვა, უნდა გაიხადოს, ანუ, თავი კი არ უნდა მოიგიჟიანოს, ვთქვათ, ჰამლეტით, ჭკუას უნდა მოუხმოს, ძალა მოიკრიფოს, ნებისყოფა დაძაბოს და მთელი არსებით უკანასკნელ წამამდე დარჩეს მონანილი იმ გაურკვეველი პროცესისა, რომელსაც თავის გადარჩენა ჰქვია“.

მრავლისმეტყველი სიტყვებია... ნათელში მისი სული!


ჭაბუას სტუმრობა დიმი

2013 წელი.

დეკემბრის ცივი დღეებია, დიდ ქართველ მწერალს ჭაბუა ამირეჯიბს დასტორის ხალხი, მთაწმინდაზე ფეხით მიაცილებენ, სასახლე მხრებით მიაქვთ, გამოსათხოვარ სიტყვებს წარმოთქვამენ, ემშვიდობებიან... შინ დაბრუნებულს, ჩემდა უნებლიედ, გონებაში წარსული ამიტვინებდა. ძველი ამბავი გამახსენდა... შემოდგომის საღამო. სოფელი დიმი. ჭაბუას სტუმრობა ჩვენს ოჯახში (ისე წავიდა ამ ქვეყნიდან ბატონი ჭაბუა, არ გამიმხელია, რომ მისი მაშინდელი მასპინძლის, სტუმართმოყვარე იმერელი ოჯახის რძალი ვიყავი და მათ მხიარულებას გვერდითა ოთახიდან ვაყურადებდი). გამოსვლას ვერ ვებედავდი. საუბრის მოსმენა უფრო მსურდა, საამო შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფებოდი...

ჩემს მუღუღეს ჩვევად ჰქონდა, თავის საყვარელ ადამიანებს, მეგობრებს ხშირად დიმიში, მშობლების ოჯახში ინვედა. ორსართულიანი აგურის შენობა, ვაზის მწკრივები, ბაღარი, ჭურ-მარანი, ტალავერი... ყველაფერი ჩახატულ-ჩანკრიალებული იყო. ერთ ნახვად ღირდა. მცირედი მიპატიჟება კმაროდა, რომ ყველანი აშლილიყვნენ.

დიმი ქუთაისიდან ოც კილომეტრზე მდებარეობს. მზიან ფერდობზე შეფენილ, ნითელ კრამიტთან ოდა-სახლებს შორის ჩვენიც მოჩანდა. ჩხეიძეების უბანი. თეთრ ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდნენ. ოჯახში ყველანი მღეროდნენ, დიდები თუ პა-



ტარები. ძველ ქართულ საგალობლებს აგუგუნებდნენ. საამო მოსასმენი იყო. რა დასამალა და დიმიში ლხინს სხვა ეშხი ჰქონდა. ღვინოც საუკეთესო იყო. ხმაც უკეთესად ჟღერდა. თითქოს მთელი ეს კუთხე განგებას ლხინისთვის გაეჩინა. მეუღლის დეიდები, ბიძები ამ საქმის დიდოსტატები იყვნენ. სტუმრის გამორჩენა და მათი დატრიალება ერთი იყო. ბიცოლა ნუშოიან მჭადებს აკრავდა კეცებზე, ბიძას ქვევრიდან ღვინო ამოჰქონდა. სუფრა იშლებოდა. ჭყინტი ყველი, მოხარული დედალი, მწნილი.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა...

მოკლედ, იცოდა, სად უნდა მიეყვანა მეგობრები. როგორ გამაჰსინძლებოდნენ. დარწმუნებული იყო, თავსაც ისახელებდნენ და მასაც ასახელებდნენ... ამიტომ იყო, ხშირად გვეწვეოდნენ: რეზო ჭეიშვილი, ელდარ შენგელია, ანზორ სალუქვაძე, სულიკო ჟღენტო, მხატვარი გურამ გაგოშიძე. „შვიდკაცას“ წევრები, მისი სიყრმის მეგობრები. ისინი ქალაქის თავმომწონე ახალგაზრდები იყვნენ, ხალხური თუ ქალაქური სიმღერების უბადლო შემსრულებლები... ზოგჯერ ისე ხდებოდა, შინ არავინ იყო (ქუთაისში ვცხოვრობდით), დიმი სტუმრების მიყვანა კვლავაც გრძელდებოდა. მოიგუნებდნენ და გასწევდნენ. ჩაკეტილ ეზო-კარს ჭილყვავებივით შეესვოდნენ, იქაურობას აახმურებდნენ. თბილისიდან ჩამოსული ანზორ სალუქვაძე ლობზე სტუმრობდა და ჩაკეტილ ჭიშკარს ალებდა. „მიყვარს ყველაფერი, მიყვარს გაგიჟებები სუნი იასამანის“. გემოვნებით ეცვა, გარეგნობაც საამო ჰქონდა... ინყებოდა ლექსების კითხვა, კამათი. კინოზე, თეატრზე, ახალ ნივთებზე... ერთად ყოფნა უხაროდა.

ჭაბუა ამირეჯიბის სტუმრობა განსაკუთრებით სამახსოვრო აღმოჩნდა.

ქუთაისში კინოფესტივალი ტარდებოდა. მონვეულ სტუმრებს შორის ბატონი ჭაბუაც იმყოფებოდა. საღამო-გასეირნებები არ აკლდათ, არც მიპატიჟებები. ერთ ამგვარ საღამოზე ბატონ ჭაბუას ჰკითხეს: „თუ ინებებთ დიმი ქვევრთან ლხინს ზინიკოს გიტარის თანხლებით?!“ რალაც მაცდუნებელი იყო ამ კითხვაში. „ზინიკო ვინ არის?“ — იკითხა ჭაბუამ. „წამობრძანდით და გააცნობთ“. დათანხმდა. ზინიკო მეზობელი იყო — ცოტა „შებრტყილი“ ქალი. ოთხი შვილია დედა. გვარად ნითაძე. ნითური, სახეჭოფლიანი ქალი. სამართლიანობის მაძიებლად მიაჩნდა თავი. ამბობდნენ, რაიკომის მდივანმა რომ არ მიიღო, ნიხლით შეუწვრიდა კაბინეტის კარიო. ახლადამწებულ სახლისთვის სახურავს ითხოვდა. „ოთხი შვილის დედა ვარ, მანვიმს და მათოვს, შენ დამჯდარხარ აქ სითბოში!“ ქუჩაში ისმოდა მისი ხავილა ხმა. მდივანმა თავად მიუტანა შიფერი, სანამ არ დაცალეს მანქანა, არ წასულა ის კაცი. ასე ჰყვებოდნენ სოფელში. უცნაური ვინმე იყო. პირველი ქმარი რომ გარდაეცვალა, მეორე პირდაპირ კოლონიიდან გამოიწერა. უცნობ კახელ კაცს, პატიმრობიდან განთავისუფლებულს, თავის სოფელში მიბრუნება არ შეეძლო (კარის მეზობელი გაეტანა მანქანით). ვიდაცას ზინიკოს მისამართი მიეცა, ქვრივი ქალია, ვაჟკაცური ბუნების, მისწერე, ეგებ მიგიღოსო... მიიღო. ორი შვილი პირველი ქმრიდან ჰყავდა, ორიც მასთან გააჩინა. ეს უცნაური ქალი, თავისი ჩახლენილი ხმით,

სიმღერისა და ქეიფის დიდოსტატი გახლდათ. იმგვარი ეშხით უკრავდა გიტარას, ისეთი თავგამოდებით, ჟინით, სურვილით, არ შეიძლებოდა, არ აჰყოლოდა კაცი, მით უმეტეს, ნასვამი, „გრადუსში“ მყოფი. უკრავდა მუხლზე, თეძოზე, ზურგზე შემოდებულ გიტარას... გაფრენები სჩვეოდა.

ასეთ ქალთან შესახვედრად მიჰყავდათ ჭაბუა.

სუფრა გაიშალა. კეციდან მჭადები ალაგეს, ღვინო ჩამოასხეს. ბუხარში დიდ ქვაბში პირქვე ჩამხობილი ინდაური იხარშებდა, ტკაცატკუცი გაუდის ცეცხლს. ზინიკო არ ჩანს.

ბუხრიდან გამოვარდნილი ალის ნარინჯისფერი მოკლე და მკვრივი ენები მაგიდის ირგვლივ მსხდომთა სახეებს ანათებს. ანათებს ჭაბუას. რალაც მაგიური იგრძნობა მის უხმო ჯდომში, გამოხედვაში... წინაპართა ჯიში და გენი ამკარად ეტყობა. ზის მღუმარედ, პირქუში სერიოზულობით, მარმარილოს ქანდაკებასავით უძრავად და ცივად. საერთო მხიარულებაში ნაკლებად ერევა. ეს დასანყისში, ხოლო შემდეგ... შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.

დაღამდა და გამორჩდა ზინიკო. გრძელ ჩრდილებს შემოჰყვა. შალში გახვეული გიტარა კედელთან მიაყუდა. სკამზე მოხატრებული ჩამოჯდა. ოჯახიდან გამოპარულ ქალს ჰგავდა, დაბინდებისას რომ გამოიღალა, ჩრდილებს გამოჰყვებოდა.

მაგიდას მხოლოდ მამაკაცები უსხდნენ.

— მთელი დღე არ დამისვენია, — უჩრჩულა მასპინძელს, — ოთხი ტომარა ხახვი ამოვიღეთ მინიდან, ჩაყვნილი. გაცივებული ვარ. ხმაც არ მაქვს...

— ხმა არც მე მაქვს... — გაეპასუხა ჭაბუა. ყელზე ხელი აქვს აფარებული, იღიმის.

მაღალი, ხმელ-ხმელი, წარმოსადეგი მამაკაცი ეუცხოვა ზინიკოს.

— ვინაა ეს კაცი?! — შეათვალა.

— ცნობილი მწერალია. თავადი ამირეჯიბი.

— გატყუებენ, ქალბატონო! გამოქცეული კატორღელი ვარ. ოცი წელი ციმბირში გავატარე, — ხირხილებს ჭაბუა.

— არ მიკვირს, ბატონო, ერთი მაგნაირი კატორღელი მეც მყავს სახლში. ლაგერიდან „პასილოტი“ გამოვიწერე.

— როგორ?!

— მწერდა, კახელი კაცი ვარ, დანაშაული ჩავიდინე, თორმეტი წელი ციხეში ვიჯექი. შინ დაბრუნება არ შემეძლო, თუ მიმიღებ, ჩამოვალ. ჰორდა, მივიღე.

— ყოჩაღ! — ხმიანება ჭაბუა.

— ერთი ჭიქა შესვი, ზინიკო! — ჭიქას უყვებს მასპინძელი.

— გაცივებული ვარ.

— მოგიხდება.

ამ ქალს, სოფელში ზინიკოს ნაცვლად „ზინიკას“ რომ ეძახდნენ, მათი გაოცება შეეძლო. აღფრთოვანებაც. საამისოდ დრო იყო საჭირო. მამაკაცებმა ყურადღებით შეათვალა იგი. საშუალო ტანის, მკერდავსე ქალი აღმოჩნდა. ნაშრომ-ნაწვავლები ჩანდა. შუბლი, ყელი, კისერი ნაოჭებით დასეროდა. გამოქარული სახე უჩანდა. უღალი თმა გასწვნიდა. ყვრიმალბზე ჭოროფი მოსდებოდა. რაც იყო, ეგ იყო! თავდაპირველად მორცხვად შემოაბიჯა და კუთხეში მოხატრებული ჩამოჯდა, ორიოდე ჭიქის შემდეგ გახალისდა, გათამამდა კიდევ. კაბის ზედა ღლი შეიხსნა. გიტარა მოიძია და სიმებს თითები ფრთხილად ჩამოჰკრა... ოთახს თუ სტუმრებს ხმები შეაპარა. შეაჩვია. გარდაქმნა ერთბაშად მოხდა. მთელი დღის ნაშრომ-ნაწვავლები ქალი, დაღლილი და ხახვის სუნი ანჭორებული, თითქოს შეიცვალა. აშკარად ჩანდა, წამოსვლისას საგულდაგულად დაებანა ხელ-პირი, სამოსიც გამოეცვალა, მაგრამ მთელ მის სხეულს, ნასუნთქ ჰაერსაც კი, ხახვის სუნი ასდიოდა. მინაში ნაგებები თუ ახლად ამოღებული ხახვის სუნი. მისი სიმძაფრე იდგა ოთახში... კარს უკან მამალული დიასახლისი, დედა, დედა, ბიცოლა, მათ შორის მეც, ველოდით, როდის გამოისტუმრებდნენ ზინიკოს ოთახიდან. როდის შემოვიერთდებოდა, მაგრამ არაფერი შეგიშალათ! თამამად იჯდა, კარგა ხნის მივიწყებულს ჰანგს არჩევდა გიტარაზე... უცებ ამღერდა: „ბოლშევი-

კის დედაცაო, მენშევიკის მამაცაო, ერთი წუთის სიცოცხლე მაქვს, პატარა ხანს დამაცაო!“

ჭაბუამ გადაიხარხარა. აშკარად ეამა. ცოტაც და... აღარც ხახვის სუნი ახსოვდათ და აღარც აუნყოფელი გიტარა. ახლა დამწვრისას მღეროდა ზინიკო, ლამის ტიროდა: „ჩამოიარე შენ ჩემს საფლავზე, მინა მაცვივა, მეყრება გულზე, კუბოს ფიცარი ჩატეხილია, მთელი სიმძიმე მანვება გულზე.“

უხმოდ ისხდნენ მამაკაცები, აბოლებდნენ, საფიქრალს აჰყოლოდნენ.

უცნობი ქალი, რომელსაც არც გიტარა უვარგოდა და აღარც ხმა ჰქოდა საამო, თავისკენ ითრეფდა მათ. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვებოდა... ეშხი და ლაზათი მოემატა. აგიჟმაჟდა გიტარა. ისედაც ნითური ზინიკო უფრო აღაჟღაჟდა, ააღდა. ჩამოჰკრა და ჩამოჰკრა სიმებს. პატრუქივით ოდნავ დაუნევედა ხმას, ჩანაწელებდა, ხელახლა აამაღლებდა. ხომ გითხარით, დიდოსტატი იყო. სუფრასთან მსხდომ მამაკაცებს თითქოს იმორჩილებდა, თავისი გავლენის ქვეშ აქცევდა...

— ამორძალების დროს რომ ეცხოვრა ზინიკოს, ბელადობა არ აცდებოდა... — ხირხილებს ჭაბუა. სხვებიც იცინიან.

— მშვილდ-ისრის სროლა რომ გაადვილებოდათ, მარჯვენა ძუძუს იმანთავდნენ...

ზინიკო გაოცებული შესჩერებია ჭაბუას. რალაც უცნაურს ჰყვებოდა ეს კაცი. ზინიკომ არ იცის, ვინ არიან ამორძალები, იგი არც ჭაბუას იცნობს, მის შესახებ არაფერი სმენია, არც მისი რომანი ნაუკითხავს (ნიგნისთვის სად სცალია), არც ფილმი უნახავს („დათა თუთაშხიას“ გადაღება ახალი დაწყებულია). მარტო ის იცის, რომ ციმბირიდან რამდენჯერმე გამოიქცა და თოვლიან ტაიგაში, სამოც გრადუს ყინვაში, ფეხით იარა. ამას თავად ჰყვება სტუმარი. სუფრასთან მსხდომ მამაკაცებს შორის იგი ყველაზე განსხვავებულია... მსგავსი არსად არავინ ენახა...

წუთები შეუმჩვენად გადიოდა. ნელ-ნელა, ლიცლიცით. აშკარად ჩანდა, ზინიკოს მთელი დღის შრომამ უნია. არ თვლემდა, მაგრამ უძალოდ იჯდა, თავისთვის, ცოტას ლაპარაკობდა, უფრო ცოტას მღეროდა. წამოდგომა და სტუმრების მიტოვება არც უფიქრია. მერე თითქოს ეშმაკი შეუჩნდა, ძალა მოიკრიფა, ფეხზე წამოდგა, თმა თითებით გადაივარცხნა, გიტარა თეძოზე მიიკრა და დაამღერა: „ჩემი ქმარი ციხეშია, ნურც გამოვა მის დღეშია, მე წავალ და ვიქეიფებ, ახალგაზრდა ბიჭებშია“.

— ბრავო, ზინიკო! — ატყდა სიცილი.

შემპარავად შემოვიდა განთიადი. ყველა მიყუჩნდა, მინვა. ზოგმა მაგიდაზე ჩამოდო თავი, ზოგმა ბუხართან ჩამოუხლა. განთიადის სხივებს მხოლოდ ჭაბუა შეეგება. აივანზე იდგა, შორეულ სივრცეს გასცქეროდა. საირმის მთებს, ზეკარის გადასასვლელს. მამლების ყივილს უსმენდა, რალაც ბიბლიური იგრძნობოდა გარინდულ სამყაროში. გვერდით ზინიკო ედგა. არ მღეროდა ქალი, უცხო სტუმარს იმაზე უამბობდა, რაც ყველაზე მეტად ანუხებდა... ქმარზე, შვილებზე... რომ ტრაქტორზე არ დასვეს კაცი, რომ უშეშევიდა...

— ჩამოდი თბილისში, ქმარიც ჩამოიყვანე. მივიდეთ პროკურორთან. ვნახოთ, რას გვეტყვის... — მისამართი მისცა ჭაბუამ, ტელეფონის ნომერიც ჩაუწერა.

თვის ბოლოს, შემთხვევით, ქუთაისში გადავეყარე ზინიკოს. სიხარულისგან ბრწყინავდა. „ჭაბუას ოჯახში ვიყავი, სტუმრად მიმიღო. დიდებული მუღუღე ჰყოლია. მე და ჩემი ბედოვლათი ქმარი „სპალნაში“ დაგვანვინა. დილით პროკურორთან გაგვყვა, რაც ვთხოვეთ, აგვისრულა“. აშარი ქალის სტუმრობა ჭაბუას ოჯახში უდაოდ არ მეამა... ყველაზე მეტად თამრიკოსი შემეცხვა. მეგონა, მე და ჩემი ოჯახი დამნაშავე ვიყავით, ეს უცნაური ქალი რომ გავაცანი. ამდენი წელი გავიდა და არსად, არავისთვის მიამბინა ეს ამბავი...

ახლა, დეკემბრის ამ ცივ, მიუსაფარ საღამოს, პირველად ვიგონებ...

ნათელში დიდი მწერლის, დიდი მამულიშვილის სული!

რედაქტორი

ინა იმედაშვილი

რამდენიმე თვეა, ქართულ პერიოდიკას ახალი გამოცემა შეემატა — ლიტერატურულ-საინფორმაციო ჟურნალი „ბუქსითი“.

განსაკუთრებული აქცენტი რეგიონებზე კეთდება. ჟურნალი „ბუქსითი“ საქართველოს ას სოფელში ვრცელდება, დედაქალაქში კი მისი შექმნა ბიბლუსის ქსელსა და ელვა-პრესის ჯიხურებშია შესაძლებელი.

ჟურნალ „ბუქსითის“ დაარსება დაკავშირებულია ნიგნის მალაზიათა ქსელს „ბუქსითის“, „ქარჩხაძის გამოცემლობასა“ და „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ — მათი ერთობლივი პროექტია.

როგორც ვიცი, ჟურნალის დაარსება უკავშირდება განათლებისა და ნიგნის პირობების პრობლემას და განსაკუთრებით რეგიონებში მისი მოგვარების ერთგვარი მცდელობაა.

ჟურნალის შექმნას ბევრი რამ უძღოდა წინ. უფრო გასაგები რომ იყოს, რატომ დაარსდა ამ სახის გამოცემა, შორიდან დავიწყებ.

თვითონ რაიონიდან ვარ. კარგად ვიცი, რომ იქაურების ყოფასა და პრობლემებს. ყოველთვის მინდოდა, საგანმანათლებლო კუთხით რაღაც გამეკეთებინა მათთვის.

რა სახის ლიტერატურა იყიდება იქ? ფილიალებში თანამედროვე თუ კლასიკური ლიტერატურა საკმარისადაა წარმოდგენილი, როგორც ორიგინალური, ისე — თარგმნილი.

ოვკითხვით, რატომ არ ყიდულობდნენ თანამედროვე ლიტერატურას. მიზეზი ინფორმაციის სრული უქონლობა გახლდათ.



„ ჟურნალი ექვნიება ნიგნებს “

ნოდარ დუმბაძე და სხვები. — ნიგნები, ზოგადად, ძვირია. იქნებ, ერთ-ერთი მიზეზი ფინანსური პრობლემაც არის.

ფიქრობ, ამ შემთხვევაში ფინანსებზე არ არის საქმე, რადგან, მაგალითად, ჩვენს მალაზიაში დიდი მოთხოვნა იყო „მეგნის“ ენციკლოპედიისა, რომელიც 30 ლარამდე ღირდა.

არ აინტერესებთ და პრობლემაც ესაა?

ჩვენი მიზანია, ადამიანები დაინტერესდნენ ნიგნით. ეს მიზანი დაედო საფუძვლად ჩემი და გია ქარჩხაძის მცდელობას, გვემუშავა პერიოდულ გამოცემაზე, რომელშიც მოვეყვებოდით ნიგნებსა და მათ ავტორებზე, ანუ მკითხველს მივანდვინდებოდა ინფორმაციას ლიტერატურულ სიახლეებზე.

თვის მაინც ბავშვები და ახალგაზრდებია, მათი მიყვანა ნიგნთან, მათი დაინტერესება.

მაშინ რუბრიკებზე უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ.

რამდენიმე მუდმივი რუბრიკა გვაქვს. ვფიქრობ, მათგან ძალიან მნიშვნელოვანია „პროფესია და განათლება“, რომელშიც აბიტურიენტები, მათი მშობლები ბევრ საინტერესო რჩევასა თუ ინფორმაციას მოიძიებენ.

გაზრდებს სწორი არჩევანის გაკეთებას ასწავლიან, გარკვეულ გეზს აძლევენ, ურჩევენ, თუ რა უნდა გაითვალისწინონ სპეციალობის არჩევასა.

ჩვენი მიზანი სწორედ ისაა, რომ მოზარდებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს, უფროსი თაობის წარმომადგენლებსაც ნიგნებზე დაყრდნობით, გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაში დავეხმაროთ.

საინტერესო რუბრიკაა „ხედვა“, რომელშიც ვცდილობთ, ესა თუ ის სოციალური პრობლემა ან სამოქალაქო თემები რომელიმე ნიგნის განხილვის ფონზე გავშალოთ, წარმოვაჩინოთ.

რომელი რუბრიკა ეხება უშუალოდ მხატვრულ ტექსტებს, კონკრეტულ ნიგნებს ან მათ ავტორებს?

საერთოდ, ყველა რუბრიკა პირდაპირ თუ ირიბად ნიგნს ეხება, მთელი ჟურნალი ეძღვნება ნიგნს. კონკრეტულ ავტორებს გაცნობით რუბრიკაში „ინტერვიუ“.

ბუქსითი №1. ლიტერატურული-საინფორმაციო ჟურნალი. ჟანრები: ლიტერატურა, ინფორმაცია, კრიტიკა, რევიუები.

ბუქსითი №2. ლიტერატურული-საინფორმაციო ჟურნალი. ჟანრები: ლიტერატურა, ინფორმაცია, კრიტიკა, რევიუები.

ბუქსითი №3. ლიტერატურული-საინფორმაციო ჟურნალი. ჟანრები: ლიტერატურა, ინფორმაცია, კრიტიკა, რევიუები.

ბუქსითი №4. ლიტერატურული-საინფორმაციო ჟურნალი. ჟანრები: ლიტერატურა, ინფორმაცია, კრიტიკა, რევიუები.

მწერლებთან. გვინდა, მოსახლეობა დავაინტერესოთ ჟანრული პროზითაც, განსაკუთრებით ფენტეზით, რომელიც ასე პოპულარულია მთელ მსოფლიოში. რუბრიკით „ბიოგრაფია“ მწერლების ბიოგრაფიებიდან უცნობ და შთამბეჭდავ ისტორიებს ვცვებით.

ჩვენი ჟურნალის ენა ძალიან სადა და უბრალოა. ჩვენთან წერენ ბლოგერები, ჟურნალისტები, ავტორებიც, მათ შორის, გიორგი კეკელიძე, დიანა ანფიმიადი და სხვები, ისინი ძალიან საინტერესო სტატიებს გვთავაზობენ. ჟურნალში მხატვრული ტექსტები არ იბეჭდება, ალბათ, ამიტაც განვსხვავდებით სხვა პერიოდული ლიტერატურული გამოცემებისგან.

— თქვენ ბეჭდავთ ინფორმაციას წიგნებზე, ბეჭდავთ რევიუებს. ფაქტობრივად, მკითხველები ყველაზე ნაკითხულ წიგნებზე. ამგვარ რეკომენდაციებს დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანი და ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს კიდევ მათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველთვიურად ძალიან ბევრი წიგნი გამოდის, მათში გარკვევა კი ინფორმაციის გარეშე რთულია, ამგვარი რევიუები მართლაც ძალიან ეხმარება მკითხველს არჩევანში.


— რევიუები ძალიან პოპულარულია უცხოურ ჟურნალებში, მათი ავტორები ადამიანს ანუ ინფორმაციას წიგნებზე, უყვებიან შთაბეჭდილებებს. თანამედროვე ადამიანს იმდენად ცოტა დრო აქვს, წიგნი კი იმდენი გამოდის, რომ აუცილებელია მსგავსი გზამკვლევები.

ჩვენ გამოცხადებული გვაქვს კონკურსი რევიუებზე. პირობები ძალიან მარტივია — წიგნი უნდა იყოს დაბეჭდილი ქართულ ენაზე და გამოცემული ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. კონკურსში მონაწილეობა ყველას შეუძლია — სტუდენტებს, ბლოგერებს, უბრალოდ, მკითხველს. ტექსტებს რედაქციაში განვიხილავთ და ვბეჭდავთ საუკეთესოს, იმას, რაც ჟურნალის მოთხოვნებს ყველაზე მეტად აკმაყოფილებს. თუმცა, არის ხოლმე შემთხვევები, როცა ავტორებს თემას ვთავაზობთ, მაგალითად, როგორც გითხარით, ბოლო, მეხუთე ნომერში ჩვენი თემა ცხოველებია, რევიუებისთვისაც შესაბამისი ლიტერატურა აირჩიეს ავტორებმა.

— რა გეგმები გაქვთ?

— უახლოესი გეგმა ის არის, რომ მიწადა, დაჩრდილი ნომრები ამ ზაფხულს უფასოდ დავარიგოთ რეგიონებში. ჟურნალი რომ გამოვიშვით, პრეზენტაციები სოფლებში გავმართოთ, ყველა ძალიან გახარებული იყო, „ბუქსითი“ მოინონეს — ამბობდნენ, ასეთ შეხვედრებს, ასეთ სიახლეს, საზრდოს ძალიან მოკლებულები ვართო. სამომავლოდ, გვსურს, ჟურნალს შევმატოს ახალი რუბრიკა — ვწეროთ საბჭოთა ლიტერატურაზე, განვიხილოთ იმ პერიოდში შექმნილი ტექსტები. ვგეგმავთ, უცხოეთში ქართულ წიგნებზე გამოქვეყნებული რეცენზიების თარგმნას, ასეთი პუბლიკაციები ბევრია და საინტერესო. ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებზე უცხოურ პრესაში დაბეჭდილი სტატიები რომ ვთარგმნოთ და ჩვენს ჟურნალში დავბეჭდოთ, ძალიან საინტერესო იქნებოდა მკითხველისთვის. გვინდა სკოლებში ლიტერატურული აქტივობების მონაწილეობა. ახალგაზრდა მკითხველთან ურთიერთობა ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება. გეგმები ბევრია, ვნახოთ, რა გამოვა.

ესაუბრა თამარ ჟურული



თეა თოფურია

ცხოვრება, რომორც ყელში გაჩხარული ბურთი



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის — „ცოცხალი წიგნები“ — ფარგლებში გამართული შემოქმედებითი ტურნე სამეგრელოში

მთელი აფხაზეთის ომის პერიოდში იქ გავატარე. მაშინ სამეგრელოს ხან მხედრონი აკონტროლებდა, ხან — ლოთი ქობალია. მე წამოვედი და ცოტა ხანში გავიგეთ, მარტივი დაბომბესო. გამეცინა კიდევ — ეგექ ბერლინი არ ყოფილიყო, რა ნახეს დასაბომბი?!
 კარგა 15 წელია, არ ვყოფილვარ და ცხენისწყალზე რომ გადავედი, გაკვირვებული დავრჩი — გზები, ტროტუარები გაეკეთებინათ. სადაც, ხუთი წლის წინათ, სიზმარში ვნახე ასეთი მარტივი და მაშინ სიზმარს დავაბრალებდი. ან რა მთები ჰქონია, ადრე ვერ ვამჩნევდი. ბავშვობაში ყველაფერი ბუნებრივი ჩანს, მათ შორის ბუნებაც.

მარტივლამდე ფოთი იყო. ზღვაზე გავედით და ცხელ ქვიშაში ვიბორიალეთ. პირველად იქ დამწყდა გული, რომ პოეზიის საღამოები გამგებობის თუ თეატრების შენობებში იმართება. გავსულიყავით ზღვაზე, დავსხდებოდით და ნავიკითხავდით ჩვენ-ჩვენ ლექსებს თუ მოთხრობებს. უფრო გავიგებდნენ.

კიდევ ერთი კარგი ადგილი, სადაც ლექსების ნაკითხვა შეიძლებოდა, ციხე გოჯი იყო, ნოქალაქეში. ნანახი არ მქონდა და გაცემული დავრჩი, რამხელა ყოფილა. ჩემს გაცემას კიდევ ისიც დაემატა, რომ გალავანი თურმე ტყეშია და ხეები ეფარება. ძალიან კარგი ტურისტული ადგილი გაკეთდებოდა ამ ციხისგან. ნეტავ, ჩვენს მოსამენდაც აქ მოეყვანათ ხალხი, ერთდროულად ჩვენც გვნახავდნენ და ციხესაც. რეგიონებში თუ რამეა კარგი — ბუნებაა. ამიტომ გენანება, რომ



მელები, მხოლოდ სამი თვის მერე, წამოსვლისას ჩავიცვი. ქვაზე, მინდორში, ეკალში თუ ბარდში ფეხშიშველა დავბრბოდი.


სადმე პლასტიკატის კედლებიან გამგეობის შენობაში შეიწურთო ლექსების საკითხად.

სენაკსა და აბაშაში ისეთი ქარი იყო, ლამის მზე გადადენა ციდან. მე ყველანაირი სტიქია მიყვარს და ქარიც მომეწონა. თუმცა, გავცივდი და მეორე დღეს ფოთის აფთიაქების შემოვლა მომიწია ცალკე გაციების წამლის და ცალკე კოლოს საწინააღმდეგო საშუალებების საყიდლად. რალაც დასახროლებელი მომცეს, კოლოს კლავსო. დავაბოლე იქაურობა, მაგრამ რა?! დამე ისევ მშობლიურმა ბზუილმა გამაღვიძა. სხვათა შორის, კოლოს და ფუტკარს კარგად ვაჯავრებ, რა შუაშია, მაგრამ მაინც.

ერთმა ქალმა გვითხრა, არ იცით, რა ნიჭი გაქვთ, კესოს და ბესოს თუ გავრითმავ, სხვა არაფერი გამომივაო. იაზე ლექსის დაწერას ვცდილობდი... ეცინებოდა. მარტივის მთების არ იყოს, გაქვს და ვერ ამჩნევ, თორემ ამ ნიჭის გარეშე ადამიანის ცხოვრება ყელში გაჩხარული ბურთივითაა. შეგმთხვევა რამე ცუდი, ათჯერ მოყვები, მაგრამ მაინც ვერ გამოთქვამ. ან კარგი მოხდება რამე, იის ბუჩქივით, და ეს ამბავიც ვერ მიგიტანია სახლამდე.

პოეზია ადამიანის მოგონილი არ არის, რასაც ჩვენ ვწერთ, ეს უკვე იყო. ციხე გოჯში მუზეუმის თანამშრომელმა გვითხრა, ამ კიბეებს ექვსი ისეთი საფეხური აქვს, ზედ ქუჯი რომ დადიოდაო. ეს ექვსი საფეხური უკვე პოეზიაა, მე კი უბრალოდ შემიძლია კიბის თავში ავიტუზო და ვიფიქრო, ნეტავ, ეგონა ქუჯს, აქამდე რომ მოვატანდი? რანაირი ადამიანი იყო? რა უყვარდა? რა ეჯავრებოდა? მასაც ასე სასტიკად კბენდნენ კოლოები? ან ქარი თუ უყვარდა, მე რომ მიყვარს ისე, მოუბერებლად, გაცივბამდე?..





იოსებ ბროდსკი

მეტყველების ნაწილი

*** ფშენის ჩრდილოეთი მეტალს, მაგრამ იბრალეებს შუშას. სიტყვა „შემიშვის“ წართქმას სწავლობს ყანყრატო ურჩი. სუსხმა აღმზარდა და კალამი ჩამიდო ქუშად – მთოშავ თითებში, რომ თითები გამეთბო მუჭში.

ვიყინები და მზე ზღვის გაღმა ჩანს ელვარ ლანდად, სხვას ვეღარავის ვხედავ ირგვლივ, ვერავის ვუსმენ. ალბათ ფეხსაცმლის ქუსლი სხლტება ყინულზე, ანდა – ეს დედამინა დამრგვალებას ამთავრებს ქუსლქვეშ.

და ჩემ ყელს, რასაც მეტყველება უფრო შეჰფერის, ან ცხელი ჩაი, ან სიცილი, ან თუნდაც „ბრაჲო“ – უმაღ აცივებს და შავდება თოვლი ბებერი, შენი სედოვი რაა, ანდა „მშვიდობით, თავო!“

*** ვიცანი ქარი, ბალახებს რომ ნენავს და ბურღავს და ყველა ფეხქვეშ უნევს, როგორც თათართა ურდოს. ვცნობ ამ ფოთოლსაც, ტალახში რომ ვარდება გზისპირს, როგორც დაჭრილი თავადი და მოწვეთავს სისხლი. იფინება რა, უცხო ცისქვეშ, ხის სახლის დამრეც ლავინზე ფართო ისრად, როგორც ბატები ცაზე – ეს შემოდგომა, ქვემოთ ფანჯრის შუშაში მჭვრეტი, მიცნობს – ლოყაზე დაგორებულ, მხურვალე წვეთით. და ვუცქერ ქერს და არ ვიფინებ სასტუმროს ნომერს, როგორც ლამქრობას იგორისას, ოღონდაც რომელ მსახურს შევჩვივო!

რუსს თქმა თათრულ სახელის უჭირს, როგორც უჭირდა იქ, ურდოში მის სიგელ-გუჯარს...

*** ფეხსაცმლის ქუსლი თუ კვალს ტოვებს – ვმასპინძლობთ ზამთარს და, სახლებს, როგორც თხელ სამოსში, სცივდებათ ხეში და გამვლელებით თუ იცნობენ თავიანთ თავს და... საღამოს რა ვთქვა მომავალზე, თუ დღისით ვხვნივნი და თუ ღამეში, ხსოვნა შენი სითბოსი – საშვი – როდესაც გძინავს, სულიდან ხორც კედელზე აგდებს იმგვარად, როგორც სანთელი ჩრდილს სკამიდან მაშინ, როცა საღამო სამოსივით დაფარვს ნაკეთებს, ხოლო დათოვლილ ტყის მხარ-ბეჭზე, მშვენიერ სუფრად გაფენილ ცისქვეშ და სილოსის, საოცრად მოვლილ, გოდოლის თავზე, ჭილყავის ფრთით, სარკეზე უფრო განმედილ ჰაერს, ვერ ათეთრებს ჩხვლეტია თოვლი!

*** ვარსკვლავები კი – სულ არიან შუქთა მთესავი, ანუ – თუ ერთი გამოჩნდება, სხვები მოსდევენ, თუმც ცქერა მათაც შეუძლიათ ჩვენს ჩვენსავით, საღამოს რვიდან, როცა ფრთები უნდათ ოცნებებს. ცა უმათოდაც ღამაზია და ცად – ნისლებიც, თუმცა კოსმოსის ათვისება – მათთან ჯობია, ოღონდაც – თუკი ადგილიდან არ დაიძვრები და ვერანდაში მჯდომარს გიპყრობს ფილოსოფია. და, როგორც სახის ნახევარით ჩრდილში მყოფელი პილოტი ამბობს, ალბათ, ერთშიც არ ჩანს სიცოცხლე, მაგრამ მათ მზერის დახმობასაც ნულარ მოველით და რანი ვართ და თუ რა შეგვწევს – ესეც ვიცოდეთ.

*** მუქ-ლურჯი დილა გადათოვლილ ჩარჩოში უჩვენებს მოგავს ანთებულფარნებთან პატარა ქუჩას,

ყინულის ბლიკს, გზაჯვარედინს, ნამქერსაც ნეტარს და აღმოსავლეთ ევროპაში გასახდლის ჯგლეტას, სადაც „ჰანიბალს“ უკრავს სკამზე ტომარა ნუნე, სპორტდარბაზებში ორძელებს აქეთ ილღის სუნი. შავ ფიცრამდე კი რაც ჩანს, რისიც გვცემს შიშის ზარი, შავადვე რჩება. ზურგსუკანაც იგივე არი... დააკრისტალა ზარი ჭირხლმა ვერცხლისფერ გზაზე, რაც შეეხება პარალელურ ხაზს, მსგავსი ხაზი მართლაც არსებობს და ვერ ნაშლის მას ბური შურთა. დილით ადგომა არა მსურს და არასდროს მსურდა.

*** ჰაერის აზრით, დედამინას აქვს კიდე ყველგან და ის, ღრუბელთა თიბვით რაც უნდ დაფარონ კვალი, მაინც ძალიან ემთხვეოდა, ემთხვევა ეხლაც – ფეხსაცმლის ქუსლის შეგრძნებას და, თვალი კი, თვალი, რომელიც მუდამ გასცქერს ირგვლივ, ვერ-მინდვრებს თიბავს, მასთან ნამგალი რაა შენი, პურს რომ მკის თრთოლვით! შესაკრებლების ადგილთა ცვლით არც ავლენს ხიფათს ჯამი, ისეა უმნიშვნელო და ნულთა ტოლი. ღიმილი სხლტება, ვით ღობეზე ჭილყავის ჩრდილი, როცა საამურ ასკილის ბუჩქს დაჰხარის თავზე და თან გაჰკივის, პირში წერნას ნაყოფით თბილით, პირგაუხსნელად, ისე არის სიამით სავსე...

*** დაინყო სუსხი, გამელოტდნენ ტყეები უცებ, ცას სახურავის რკინასავით მორუხოს უცქერ. ეზოში გინდა კენტ ოქტომბერს სითბო მოსავდეს და სიარულში რიცხვს ამრგვალებ „ოხ შე ბოზამდე“. შენ ჩიტი არ ხარ, რომ აქიდან გაფრინდე, რადგან, როგორც საამურ რამეების ძებნაში, მართლაც მთელი სამყარო გაიარე როგორღაც დღემდე და ბუნებას რომ შეუერთდე – ამისთვის შემდეგ არაა გვერდი... მაშ, ამ შავი გარეკნის გვერდით გამოვიზამთროთ, შიგ შევიდეთ სუსხთან და ერთიც შევხედოთ ფურცლის სუფთა ველზე, რაც იმედს აფენს, კირილიცასგან კალმით ნაპობ სიტყვათა შტაბელს...

*** მაშ ასე, დათბა. და ხსოვნაა სამანი თითქოს. და ჯერ მადლიან პურეულად მოჩანს ღვარძლი და სამხრეთში მინდვრად (შეიძლება ეს უკვე ითქვას) თესვენ სორგოს, ჩრდილოეთს კი გრძობენ არსიდან. ჭილყავთა ფეხქვეშ დედამინა თბილია ძალუმ, სუნია ყავრის, ახალ დღვილის და ხედავ, დიად მნათის მცხუნვარე სხივებისგან მოჭუტულ თვალით, კლერკის გაპუდრულ ლოყას, ხოლო ტალანში რბიან... იქაა ტამტიც მინანქრისა, კაციც ვარამით, დაკბილულ შლაპით, წარბშეკრული. მეორე უკეთ ჩანს და ანათებს, არა ჩვენ რომ გვანთოს, არამედ ანთოს თავისი სისხლით სავსე მოზრდილი გუბე.

აპვისტო

მართალს პატარა ქალაქებში გეტყვიან არსად. ნურც გინდათ, იქ სულ გუშინაა და ჭორებს ფუთნის. მატარებლების ნაცნობსლა თუ უკრავენ ლანდშაფტს კვერს ფანჯარაში თელები და ხმა ისმის ფუტკრის.

გზაჯვარედინის ჯვრით აღზევდა რაინდი რახან – იშუქნიშანებს თავს და მის წინ – მდინარეც მიდის. და განსხვავება იმ სარკესა, რაც გაქცევთ ლალად და ვინც დაგკარგათ – მათ შორისაც არაა დიდი...

დარბებს, ბულში ჩაკეტილებს, ეხვევათ ჭორი, ან სურო, რომ არ გაეხვიონ უეცრად შარში... ბიჭი წინკარში, რუჯითა და ტრუსებით, სწორედ თქვენ გამოგტაცებთ მომავალს და ამგვარად დაგსჯით.

დიდხანს ბინდდება ამიტომაც. მწუხრი ჩვეულად ისხმება ვაგ ზღის მოედანის ფორმაში დროზე, სად მზერა, რაშიც იკითხება „იყავ წყეულიმც“ – პროპორციული აღმოჩნდება არყოფილ ბრბოსი...

*** ერთ ადგილს ვტკეპნი რახანია, მეტყობა ქუსლზეც. აბლაბუდასაც ვერ ვიშორებ შუბლიდან თითით. მაშლის ყივილში საამოა ისიც, რომ უსმენ მას, როგორც გუშინ უსმენდი და ცხოვრება მიდის. ჩასწვდომით ვერც შავ აზრს ამყარებ,

როგორც ჩამოშლილ კულულებს შუბლზე და სიზმარშიც ვერაფერს ხედავ, რომ ასახდენი არცრა გქონდეს ამ სამყაროში და უფრო ცოტა იარსებო, რომ უფრო მეტად დრო არ დასვარო. ხოლო მზერას სარკმელში რიყავს უღარიბესი კვარტალი, რომ თვალს თავის დროზე დაამახსოვრდეს იმ კვარტალში მცხოვრები ვილაც, არა ის, რაც იმ ვილაცას სურს. მე თვითონ ვმოსე ჩემი თავი და, შამანივით, მე ვიხვევ ირგვლივ სიცარიელეს ოთახისას, როგორც დიდ გორგალს, რათა იცოდეს ჩემმა სულმა წესი და რიგი რამის, რაც ღმერთმა იცის, ანდა რაზედაც ბორგავს.

დედალოსი სიცილიაში

ის სულ რაღაცას აშენებდა და იგონებდა: ხან, კრეტას ავხორც დედოფლისთვის, ხელოვნურ ძროხას, ქმრისათვის რქების დასადგმელად, ხანაც – ლაბირინთს, რომ მეფეს, მოცილილ მზერებისთვის, გადაემალა ცოდვის ნამატი... ხოლო ხანაც – მფრინავ აპარატს, როდესაც მეფე მიხვდა მას თუ ვინ უზრუნველყო თავისი თავი სამსახურით სამეფოს ცისქვეშ... მისი რჩევა კი ვაჟიშვილმა არ შეისმინა და, ფაეტონის მსგავსად, ზღვაში ჩავარდა კიდეც... დღეს კი, კრეტადან რკინის ფრთებით გამოფრენილი, სველ სანაპიროს ლოდზე, სადღაც სიცილიაში, ზის თავის თავის შემყურე, ღრმად მოხუცებული, რომელსაც გადაადგილება ძალუმს ჰაერით, თუ ხმელეთით და ზღვით აღმოჩნდა შეუძლებელი... მუდამ რაღაცას აშენებდა და იგონებდა და სულ ამ გამოგონებისგან, აშენებისგან თავის დაღწევა უხდებოდა, თითქოს ისინი მიისწრაფვიან გამოყოფას ნახაზებისგან – მშობლებისადმი ბავშვურ რიდით, რაც არის შიში განმეორების და ქვიშაზე გარბიან, როგორც ტალღები ზღვისა შარიშურით, და ლურჯდებიან ზურგსუკან მთები დაკბილული... დედალოსმა კი, ხერხი ჯერ კიდევ ახალგაზრდამ გამოიგონა, გამოიყენა გარეგნული მსგავსება როცა სტატიკისა და ამქვეყნიურ მოძრაობისა... და ბერიკაცი კოჭას გრძელ ძაფს მიაბამს მოხრით, რომ სადმე გზა არ აერიოს გულმავიწყობით და ხმიანობით მიესწრაფვის მკვდართა სამეფოს.

*** მწუხრი. ნანგრევი გეომეტრიის. კუთხის ნარჩენი. გამოვლილ შორეთს აუსაგნოებს შორს ნასვლა მეტი და ამნაირად შიშვლდება სწორედ.

და წინ მაღავენ შარას ბარდები, როგორც წერილის შინაარსს – ბეჭდვა. საქმე კი, თითქოს სხვაგვარ გვარდება და გიჯობს მისი დანყება ეჭვთან...

და მონღოლეთში მანათობელად ნაძერნი მთვარე შუშაზე აწვენს მაგნოლიის ხის სამართებელით სუფთად გაპარსულ, ბუგრიან ღანწებს.

როგორც ჯარს, უფრო ფუნთუშის მჭამელს, ვიდრე „ვაშასი“ მძახებელს ქუჩით, ისე ანმყოსაც, მომავალ ჟამად გადასაქცევად, ჭირდება გუშინ...

ამ ძეგლებს ასხამს ბნელთან ზავი და იღუმალ შეკვრა, ძალთა ანთება... ადამიანი თავის თავისგან უიმედობით თუ განსხვავდება.

ზამთრის საღამო იალტაში

ლევანტიური ხმელი სახე, ჩოფურა სახე იარებს ბაკში მაღავს, თითქოს აშინებს ცხადი და როცა ეძებს სიგარეტს და ხელს კოლოფს ახებს, მის არათითზე, ბეჭედიდან, ორასი ვატი

გაივლებს და ჩემთა თვალთა ბროლები ველარ უძლებენ მას და მეხუჭება ორივე თვალი, მაშინ ის ურტყამს ნაფაზებს და რატომღაც წელან ვერტქმულ „შეცვილი“-ს წარმოთქვამს და უფროა მკრთალი.

იანვარია ყირიმში და შავი ზღვის პირას ზამთარი, თავის შესაქცევად, ჩვენსავით მოდის, არ ძალუძს თოვლი დაამჩნიოს ცისაკენ მზირალ აგავის სამართებლებზე და დაამჩნევს როდის! რესტორნები კი იცლებიან და, ხმელეთსგაცლილ, იქითიზავრებს ზღვა აბოლებს, რეიდზე მდგარებს, და ამოვრებულ დაფნის ფოთლებს სურნელი ასდით. „ეს საძაგლობა ჩამოვიხსნათ?“ „დაახსით ბარემ!“

მამ – ღიმილი და გრაფინი და დაისის ღველფი. შორს მებუფეტე წრეზე დადის, მუშტარზე ფიქრით, როგორც სწვევია ახალგაზრდა, მხიარულ ლელფინს, მხტუნავს, ხამსებით გავსებული, ფელუკის ირგვლივ. ფანჯრის კვადრადი. ქოთნებს ჟაბო უღერებს კისერს და ჩაიფრენენ ფანტელები ნიავის გამო... წამო, შეჩერდი! მშვენიერი შენ არ ხარ ისე, როგორც განუმეორებელი... შეჩერდი, წამო!

მელაქმანს ტაქარი

ინევა ფარდა: დუელია სცენაზე, ვაგლახ! სეკუნდანტს მოსავს ყავისფერი შინელი ახლაც... ვილაც თოვალში დაეცა და აღმოხდა „ვახმე!“ თუმც მიხანს არვინ ახვედრებს და რაშია საქმე!

ზის ფანჯარასთან პლედმოსხმული, მწუხარე ქალი – ჯერაც არსებობს სიმორე და სამზერად – თვალი... სრულიად ავსებს როიალი იმხელა ოთახს, სადაც შემოდის ექიმი და, ვწუხვარო, შფოთავს.

დაულაგებელ ლოგინზე ჩანს სხეული მკვდარის. ბუქი ვერმიშელს ჰგავს სარკელში და ცივი ქარი ღრიჭოებიდან უბერავს და ხელებსაც იშვერს... ქალი შეანჯღრევს მის მხრებსა და გაჰკვივის: „მიშელ,

ორასი წელი გადის, მაგრამ არა ხართ კენტად!.. გამოიღვიძეთ! როლებს თავი გავართვით ჩვენ და... ამ კოსტიუმებს ხრავდა ჩრჩილი, ლაქავდნენ წლები!“ მიშელი უცებ წამოდგება და დარბაზს შვებით

შეეკითხება: „უთუატროდ, ცხოვრების მგესლავ დროში, თქვენ როგორ გაიგებდით არსობას ჩვენსას, ანდა – პირიქით?!“ ხოლო დარბაზს, პასუხის მსგავსი, შეკავებული ქვითინიდა აღმოხდა წამსვე...

საარსული ისარი

ვერონიკა შულცს

ტარი გაგებრწა და დრო-ჟამმა ის ტანიც გახრწა, რომელსაც ველარ მოგახვედრეს ოდესღაც, ერთ დროს, შენ კი დაჟანგდი, მაგრამ მაინც ჩემამდე ნაღდად მიტომ მოფრინდი ზენონისგან, რომ წარსულს შემოთო.

კი, ტიკტიკებენ საათები, მაგრამ ისინი, – მნიგნობრულ ენით, როგორც დახშულ ჭურჭელში სითხე, უძრავნი ჩანან. შენ კი, დღემდე, მოფრენ სისინით მათი გულგრილი წამებისკენ, რომლებსაც ვითმენთ...

ნეტავ თუ გრძნობდი, რანაირი, როგორი გაყრა გელოდა ლართან და რომ აღარ გენერა უკვე გამოზრუნება აღარასდროს, როცა მშვილდს მაგრად მოსწყედი ევფრატის გაღმიდან და ჰაერი ბუგე?!

თბილ ხელისგულზეც როცა ნევხარ მსუსხავ შუადლით, გარემოცული შენთვის უცხო სისხლით სრულიად, გამწვანებული ბრინჯაოსებრ, დაფნის ჟრუანტლით, – ვერ იჯერებ, რომ ყველაფერი დაკარგულია...

და გამალებით მოძრაობ და ველარ გენევა ქარიშხალიც კი უდაბნოში – ჩქარობ ძალიან, რადგანაც სითბო ყოველგვარი, უფრო მეტნილად ხელისგულისა, ხანმოკლე და წარმავალია.

შენიშვნა აიხდის პროზოზაისთვის

ამ ხეივანში – გადაჩეხილ ხეებსა ჰგვანან გამაგრებული ლაფ-ტალახის ქანდაკებები. ბევრს სახით ვიცნობ, დანარჩენებს პირველად ვხედავ. ჩანს, რომ ესენი აქაური ტყეებისა და მდინარეების ღმერთნი არიან, მფარველები მყუდროებისა, ანდა სულაც –

შენადელები ჩემთვის ბუნდოვან მოგონებათა. რაც შეეხება ქალთა ფიგურებს – ნიშნებსა და მაგათნაირებს, ისინი გამოიყურებიან აზრებივით დაუმთავრებლად და ყველა იმას ცდილობს, რომ აქაც შეინარჩუნოს სტუმრის სტატუსი...

არ გადაირბენს თრია ბილიკებს, არც ფრინველების ხმა გაისმის, არც მანქანების:

მომავალია არის მათი პანაცეისა, რომლებსაც ჩვევად აქვთ – განმეორდნენ. და ცაად, უცოლოს ნივთებივით მიმოყრილან ლევა ღრუბლები, თან, თითქოს, ამოაბრუნეს და დააუთოეს... სურნელებსა წინვებისა – ეს ჩხვლექიები სუბსტანციები არიანო ნაკლებად ცნობილ ადგილებსა... ხოლო ტალახის ქანდაკებები დაკიდებული ჩანან ბნელაში და შავდებიან ერთმანეთის მეზობლობით და გარემომცველი ლანდშაფტის გულგრილობითაც.

რომ ამეტყველდეს უცებ მათგან ნებისმიერი, გერჩინოს მოკვდე, ვიდრე შეძრუნდე. მოგესმება რა ნაცნობი ხმა, მოგესმება რა, თუნდაც ასეთი „შენს ბავშვს როდი ვზრდი!“ ან „მე ვანახე მას, ოლონდ შიშით და არა ეჭვით“ – უმნიშვნელო და ოცნლიანი საიდუმლო ბრმა გულებისა, რომლებიც იყვნენ შეპყრობილნი ძალაუფლების უაზროდ მსურველ, თავიანთ მსგავსს და შეუმჩნეველ ტავტოლოგიით...

კარგია, სხვათა მოგონებანი შენს მოგონებებს რომ ეზავება. კარგია, რომ ამ ფიგურებიდან შენ ზოგიერთი გერჩენება უცხოად, გარეშედ. მათი დასწრება გადაკვრია სხვა მოვლენებზე, ბედის სულ სხვაგვარ ვარიანტზე – შესაძლო არი უკეთესი არაა, მაგრამ აუცილებლად – შენი ხელიდან გაშვებული. ეს, რა თქმა უნდა, ათავისუფლებს წარმოსახვას კი არა – ხსოვნას, თანაც დიდი ხნით, თუკი არა სამარადისოდ. უკიდურესად უსიამო არის გაგება, რომ მოგატყუეს, რომ სრულიად აღარ ახსოვხართ, ანდა – პირიქით – რომ შენ დღემდე სძულხართ საშინლად. მაგრამ თავისა წარმოდგენა, თუნდაც ამ უშნო სამყაროს ცენტრად – არის სწორედ ურიდობა, აუტანლობა.

ამ ადგილების მთავალიერებელს – იშვიათსა და, შეიძლება ერთადერთსაც კი, ვფიქრობ, მაქვს ნება, გაზვიადების გარეშე და სადად აღვწერო, რაც დავინახე: აი, ჩვენი მცირე ვალჰალა, ჩვენი, ძალიან მოუვლელი, მამულ-დედული – დროში, ნამცეცა რევიზიულ სულით და კიდევ საამებლებით, სადაც ძალზე მგრძნობიარე გულს, მგონია, რომ არ ენავარდება, და სადაც ფიფქნი ფრიალებენ ძალიან ნელა – ვაკუუმში ქცევის ნიმუშად.

წარწერა ნიბნა

როდესაც ქარი ჩადგება და მწყემსის აბგაში, ინერციის თუ სიმშვიდის გამო, თრთიან ფოთლები და უცქერის თვალი გადაშლილ შპალერის სურათს და კალენდრის ციფრსა და ამო ობლიგაციას, მთლად დახარჯულს სწორედ ნულების კოლიზუმი, შენ – თუკი შენ გაუჩნდი მაშინ შვილად მესაჭის გინებას, ვაშლს, გრიგალის ხმაში, აუცილებლად მის გარჩევას შეძლებ სრულებით, როგორ ხმიანებს კალმის პირი, მელნით სოველი, მწვანე ბალახს რომ ათქმევინოს „მორჩა ყოველი“.

ბედნიერ ზამთრის საგალობლები

საგალობლები ბედნიერ ზამთრის ძღვენად გეძღვევა სწორედამ ამ დროს, რომ გაიხსენო ნელ-ნელა, გზაში, მათი სიყრუის ბგერები მლაშე. ხოლო ალაგი, სად თავის დარად მიცუნცულვებ და მიილტვი ჩქარა, სამკაული თუ არაა ფლორის, მშვენივრად ჩაჯდა მათ რითმებს შორის.

ასე რომ – დღეებს იხსენებ მკაცრებს და, პირის ფრენით, წინ ისე გასცქერ, როგორც გასცქერის, თვალების კრთომით, ჭერს ანგელოზი გაფრენის მნდომი. გარეთ კი, თოვლის ხნარცვებში მნათი, საბურველები თეთრობენ მათი, რომლებმაც გვჩუმქერეს და გვექცნენ მცველად, მაგრამ ზამთრისა ვერ შეძლეს შველა.

მამ გაზაფხულდა. სისხლს უჭირს დენა, რადგანაც ვინრო გაუხდა ვენა... რღვევა მოგინევს ასეთი ვენის, რაშიც ზღვა გრძნობა იხუვლებს შენი. უკვდავებაში შესასვლელს ერთვი მზერით, თუ მისკენ მიდიხარ ერთი. გაორებული – რწმენაში თუ ხარ, უკვდავების კარს გასცქერი ნულარ!

საგალობლები ბედნიერ ზამთრის ძღვენად გეძღვევა სწორედამ ამ დროს. მათში დამალულ განსჯათა საგანთ, სხვანაირთ ვერსად იპოვი სხვაგან. სწორედ აქ, თოვლის წყალობით სუფთა ბუჩქები ჰაერს კუნწვენ სულმთლად, სადაც ირხევა ტოტების ხელით შენი სიცოცხლის სიამე მთელი.

მ. ბ.

ამ ჩემ ფანჯრებში, ხის ფანჯრებში, თუკი შეხედავ, ორმაგ იცავენ ხენი სოფელს წვიმის შემდეგ და, ტბორთა წყალობით, ყარაულებს ჰგვანან სრულებით, დგანან და, თითქოს, აძლიერებთ მკვდარი სულებიც...

უმიწოდ დგანან... წვერნი უგავთ ცაში შეჭრილებს... და ანარეკლი შენი მოჩანს შენს თვალბშივე...

ამ ხეებს ფიქრში ვიყოფ, მაგრამ ხსნას ვერ ვიპოვი – აღმოვაჩინე, რომ ახალი ვარ ჩიჩიკოვი...

ყირაზე მდგარი ხე, ჯეროვნად რაკი მათსაებს – ხელს აფათურებს გარეთ წყალში, როგორც კაბაზე...

ნავი ხმელეთის ტალღებზე ხტის – იხდენს დანაჟინს და ხენი ორჯერ მეტნი ჩანან ხის ფანჯარაში...

ელეზი

წლის თავზე ვსტუმრობ ბრძოლის ადგილს, რომელმაც ფხიან სამართებელთან ფრთების გაშლა მასწავლა ფრიად, ანდა – უკეთეს შემთხვევაში – ფრინველთა შემკრთალ, დაის-სისხლისფერ წარბთან. მე აქ ზღვა ჭირი შემხვდა.

დღეს აქ ვაჭრობენ შენი წვივის ნატეხით, რვალით, გატრუსულ აბჯრით და დაშრეტილ ღიმილით, მყარალი აზრითაც ახალ რეზერვზე თუ ლალატის ხსოვნით, დრომის კალთაზე სხეულების ტვიფართა პოვნით.

შეხორცდებიან ნანგრევები — ჯიუტი ფორმის არქიტექტურით. და სხვაობა გულსა და ორმოს შორის იმდენი როდი არის, რომ შიშით, მყისვე, ბრმა კვერცხებივით შევეჯახოთ ერთმანეთს ისევე.

როს არვინ გიცქერთ და თქვენც არვის უცქერით დილით, მაშინ ვენვევი ძეგლს, ჩამოსხმულს უმძიმეს ძილით... და იკითხება წარწერილი მასზე „დამპყრობი“, როგორც „დამყეფი“. შუადლით კი – როგორც „გამყოფი“.

გოლსონიტყვაობა ივანისთვის

„შენ, ებრაელო ფრინველო ყვაგო, რად ყვარობ ყველს, თუ არაფერს წველი? ნუთუ იმიტომ, რომ მაშინ ჩხავი, როს გივარდება პირიდან ყველი?!“

„არა! საერთო არ აქვს ყველს ბზასთან, რაც სიმალლითლა იმშვენებს იერს, ყველის ნაჭერი მთვარის რკალს ჰგავს და მის პროფილს მიტომ შევნატრი ძლიერ“.

„შენ – ასტრონომი ყოფილხარ, ყვაგო, ვიდრე მსუნაგი მელიის მსხვერპლი, ხოლო როდესაც ტირი და ჩხავი, შენც ლამაზი გაქვს პროფილი კერპი“.

„ქორწინებაზე ვოცნებობ, ოლონდ ველარსად შევხვდი მელიას დღემდე და გავამრავლო ნეტავი როგორ ჩემი პროფილი ყველზე და ცრემლზე“.

თარგმნა ბათუ დანელიამ



ვაჟა გიგაშვილი



შედეგი

დასასრული

...მართლაც არსად მიამბნია იმ ნად-
ირობის ამბავი... ექვსი წლის შემდეგ, უმ-
ბაზე, ზამთრის ასვლისას, თარხნიკა რომ
დაიღუპა, მერეც არ მიამბნია... დღეს კი
„ვიდეო-ფირზე“ ვნახე ისევე დეტალურად
და ვფიქრობ: იქნებ საჭიროა, ითქვას ეს
ამბავი?..

...ჩავეცეცხლე მომზადებული ულუფაც,
დავაცოლე მოყვითალო-მომწვანო, მოხარ-
შული მსხვილი ალუჩა (კომპოტი კი არა,
უშაქროდ მოხარშული), მისივე კარგად
გაცივებული ნახარში-წვენიც ყლუპიც
მივაყოლე (ძალიან ნაზად მომწავო და
არომატულია)... სათქმელია, რომ დასაყ-
ოლებელი ლუკმების, თავიდან ასეთი სახ-
ალისო „შეთხზვაცა“ და დაგემოვნებაც
შემდეგი და შემდეგი ულუფებისას სულ
უფრო და უფრო ხშირად გავიწყდება და
მხოლოდ რაიმე სითხის (ამ ალუჩის წვენიც,
სოკოს მარინადის, საყინულეში გაცივბუ-
ლი მწვანე ჩაის) ყლუპით ჩანაცვლდება...
ესევე ვაბოლებ და ცეცხლს ვუყურებ...
...ინერციით ველოდები, რომელი „ფირი“
„გაეშვება“ ამჯერად... ჩვეულებრივ ველო-
დები, რომ ანი უკვე სინამდვილეში არ-
მომხდარი გაგრძელება წამოვა და საინ-
ტერესო ვარიანტებს ვნახავ... მაგრამ უცებ
რაღაც უცნაური, ცუდი მოლოდინი დაი-
ბადა... მოლოდინი იმისა, რისი გახსენებაც
არ მინდა... მართალი რომ ვთქვა, ჯერჯერ-
ობით აზრზედაც არა ვარ, რა?... რაღაცა
ისეთი, რაც ქვეცნობიერმა თავის დროზე
ისე მიჩქმალა, რომ მართლაც აღარასოდეს
ამოტივტივებულა და თითქოს მართლაც
სულაც წაიშალა... თუმცა... იგივე ქვეცნო-
ბიერი, რაღაც ფარული ინტუიცია გკარ-
ნახობს: ...არა... არა მგონია, წასაშლელ-
იდან ყველაფერი ბოლომდე წაიშალოს...
რაღაცა რჩება... რა?... რა რჩება?... არ იცი...
ვერ ხვდები... და თავიდან ვერც ხერხდება
აღდგენა... და ეს ინვერსი გაუცნობიერებელ
შიშს... იბადება ცნება — **მეორე მესხიერე-
ბა**... არის მეორე, შენახული მესხიერება,
პირველს ამოფარებული... ამ ამოფარე-
ბულ ფაქტებსა და ინტერპრეტაციებს, თუ
შესძლებ და წინა პოზიციაზე გადმოაწყ-
ობ, შეიძლება, სულ სხვანაირი აღმოჩნდეს
შენი საკუთარი ბიოგრაფია... და აღ-
მოჩნდეს ისეთი, როგორც შენ **არ გინდა
და არ გაწყობს**... რომელიც სრულიად
უცხოა და წარმოუდგენელი და რომლის-
განაც გაქცევა გინდება, უკანმოუხედა-
ვად...

ნუთუ, მართლა იმ ჯურღმულიდან ამო-
ატივტივებს რაიმე ფირს?... რა შეიძლება
აღმოჩნდეს?..
...ავწრივდი... უსიამოვნო გრძნობა
გაჩნდა... აღარ მინდოდა!... რა?... რა აღარ
მინდოდა?... არ ვიცოდი... ავდექი, გავიარე,

ჩავიმუხლე, ცეცხლს შევუჩინებინე...
როგორღაც, თითქოს, დავიბენი... დაბნეუ-
ლი ვიდექი და არ ვიცოდი, რა უნდა მექ-
ნა... ის კი არა, თუ რა უნდა მექნა, ისიც არ
ვიცოდი, რა უნდა მეფიქრა... ვიდექი
უაზროდ და მფრთხალი და არც ერთი აზრი
თავში არ ჭაჭანებდა... ან რამ დამა-
ფრთხობ?... ან რას ველოდი?... ან რა მინდო-
და?... ან როგორ უნდა მოვეცეულიყავი, რა
მექნა?... ვიდექი გაშუმებული და ცარიელი...
და ბოლოს ისევე ინსტიქტმა დამძრა... ვებ-
დღვენი ბოთლს, ჩამოვასხი არაყი და ჩავხ-
უხე... მერე გავვიდი სამზარეულოში ყავის
მოსახარშად...

...თითქმის გამოვფხიზლდი... თავში
რაღაც თეორიებმა დაიწყეს დამნიფება-
ჩამოყალიბება... უსიამოვნო იყო, როგორც
ცეცხლისპირა სითბოდან გამჭოლ სინეს-
ტივი გადაადგილება (ზოგჯერ ხომ პირი-
ქითაა: მხოლოდ სითბოდან — მაცოცხ-
ლებელ ყინვიან ჰაერში?...). მაგრამ იყო
რაღაც იძულება, რომელსაც ვერ, თუ არ
ვეწინააღმდეგებოდი...

...რამ დამაფრთხო?... ესეა ვიცოდი,
რამაც დამაფრთხო... შემეშინდა, არ მენახა
რომელიღაც „მოთვალთვალე კამერის“
მიერ თავის დროზე ჩანერილი „ვიდეო-
ფირი“, რომელიც დამინგრევდა, გამიბი-
თურებდა თავის დროზევე მტკიცედ
ჩამოყალიბებულ თავდაცვის „თავის გამ-
ამართლებელ“ კონცეფციას...

...რა უფრო მწარე სანახავია?... დოკუ-
მენტური ფირი იმაზე, თუ როგორ მურდ-
ლად გადაგარეს და ბოლმა ამოულელებლი
დაგრჩა და ვითომ მიჩუმათა დროის სიბ-
ნელებში... თუ დოკუმენტური ფირი იმაზე,
შენ თითონ როგორ დაუნდობლად და უს-
ინდისოდ გადაუარე სხვებს და შეგრჩა,
ესევე მიჩუმათე დროის სიბნელებში?... მგო-
ნი, პირველი მაინც უფრო?... არაა!... ორივე
საზიზღრად აუტანელია... არ შეიძლება
ამეებში კიდევ გავლა, თანაც ისე, რომ კვან-
ძების გახსნა სამუდამოდ შეუძლებელი
რჩება... არაა!... სასწრაფოდ ვებდღვენი
ისევე არაყს, ვვლივ და ვვლივ ორჯერ
ზედიზედ... სასწრაფოდ უნდა გავაბუნ-
დოვნო ყველაფერი, მივაჩუმათო ისევე სიბ-
ნელებში... ესეა სასწრაფოდ მჭირდება წა-
მოვიდეს **შემდეგი**, სინამდვილეში არმომხ-
დარის გაგრძელება... ვუყურებ ცეცხლს,
მაგრამ სიბნელის მეტი არაფერი ჩანს...
გაივლავა შიშმა, მიჩუმათებული რომ გაიჩი-
თოს **შემდეგი**?... მაგრამ ვითიშები... უკვე
ორჯერ გავითიშე... ეს კარგია!... ჩაიარა!...
ამჯერად ჩაიარა!... მივდივარ ძილბურან-
ში (დაგროვდა ალკოჰოლი), მაგრამ თან
მომდევს ბუნდოვანი შიში... ხვალ და ზეგ?...
შემდეგი რომ ჩამისახლდეს ის მიჩუმათე-
ბული?..

„ლიტერატურული გაზეთის“ გამომწერის მსურველები
დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლეილა მესხი

ფიქრის კრიალოსანი

სიყვარულის ბარათი

ერთი ცნობილი მწერალი, რომელთ-
ანაც ახალგაზრდობის წლები მაკავშირებ-
და და ოჯახებით ვმეგობრობდით, შეყ-
ვარებული იყო თავის მშვენიერ
მეუღლეზე, შვილზე. ოჯახის ერთგული
კაცი გახლდათ, პატიოსანი და ღირსებით
სავსე. ყველასთვის მოულოდნელად გარ-
დაიცვალა. თავზარდამცემი აღმოჩნდა
მისი სიკვდილი. ძალზე განვიცადეთ. კარ-
გა ხნის შემდეგ, მოულოდნელად, მისი
მეუღლე მირეკავს და შინ მეპატიჟება.
ორნი მივედით, ძველი მეგობრები. მიგვი-
ლო, მაგრამ... ვაი იმ მიღებას, თითქოს ჩვენ
ვიყავით დამნაშავე! ჭკუიდან გადასულს
ჰგავდა ქალი. „ქმარს აღარ ვიტყვებო,
წლისთავს არ გადავუხდით, აღარც
საფლავს მივხედავო“... გავოცდით.



სავსე, სიყვარულის განცდით დაწერილი.
სხვებისგან მალულად ცნობილ პოეტ ქალ-
ბატონთან უსათუთესი მიმონერა ჰქონია.
ასევე განცდით პასუხობდა ქალიც. წყ-
ალქვეშა მდინარეების იდუმალებაზე და
პირად განცდებზე სწერდა იგი. უმშვენიერ-
ესი ბარათები იყო... მსგავსი არაფერი წა-
მიკითხავს.

თმაგაშლილი არ იჯდა და მოთქმით არ
შეგვგებებია, თორემ არაფერი აკლდა.
„მთელი ცხოვრება მატყუებდა... სხვაზე
ყოფილა შეყვარებული. მძულს... მეზიზღე-
ბა!“

გაოცებამ მიხვედრის უნარი დაგ-
ვაკარგვინა. ვერც კითხვას ვუბედავთ, ვე-
ლარც მიზეზს ვხვდებით. როგორც იქნა,
ამოღერდა... ქმრის ბიბლიოთეკა დალა-
გა, ზედა თაროზე, რომელსაც წიგნში,
შემთხვევით კონვერტი იპოვა. ქმრის წერ-
ილები აღმოჩნდა, ლექსები, სურათები.
ყოველი მათგანი ნახვის მონატრებით იყო

— ახლა რა ვქნა? როგორ მოვიქცე? —
ტირილს უმატა ქალმა.

— რა უნდა ჰქნა, შესანიშნავი წერ-
ილებია, მათი განადგურების უფლება არა
გაქვს! შეინახე, — ვპასუხობ მე.

ლამის გარეთ გამოგვყარა. შემდგომ არ
ვიცი, შეინახა ბარათები თუ გაანადგურა.
ოლონდ, წლისთავიც გადაუხადა მეუღლეს
და საფლავსაც უპატრონა...
შეუცნობია ქალის ბუნება!

კულტურისა და კავშირთა დაცვის
სამინისტროსა
და მწერალთა სახლის
ლიტერატურული პრემია

ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ
დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია,

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
• წლის საუკეთესო პოეტური კრებული
• წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
• წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
• წლის საუკეთესო დებიუტი

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია
4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/
ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული
ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები.

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა.
წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია
მხოლოდ გამომცემლობის მიერ.

გამომცემლობებმა თითოეულ ნომინაციაში შეიძლება,
წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული
კონფიდენციალური ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება. ჟიურის
შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენ ის მწერლები
და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ
განიხილება. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 დეკემბერი.
მოკლე სიას ჟიური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში,
საზეიმოდ დაჯილდოების ცერემონიაზე, გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის
მისამართზე (მანაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი, საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით,
მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;
• საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად).

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განაცხადება, ინფორმაცია და
წიგნის ბმული მოგვანოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge.
დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით info@writershouse.ge.
ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772 346 794 004